პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 13—80
ექსპედიციის 5—48.

შაბათი, 12 ივნისი 1926 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 132 (1587)

დღიური

პარიზში მოჰკლეს გრიგოლ ვეშაპელი.

საბჭოთა კავშირსა და მონღოლეთს შორის დაიდვა ხელშეკრულება ნაოსნობის შესახებ.

ოსმალეთის საგარეო საქმეთა კომისარი ტევფიკ-რუშდი-ბეი მოსკოვში ინიშნება ელჩად.

პოლონეთის ფინანსების გამოსაკვლევად [illegible] და ამერიკელი ფინანსისტი კემერერი.

პორტუგალიაში დაითხოვეს დეპუტატთა პალატა.

გაიხსნა ეგვიპტის პარლამენტი.

პოზნანში პილსუდსკის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის შეტაკება მოხდა.

ცაკის სესიის გამო

საკავშირო ცაკის სესიის მუშაობა შარშან თბილისში, ამიერ-კავკასიის ცაკის სესიის გახსნა მიმდინარე წელს ერევანში, ბოლოს, საქართველოს ცაკის სესიის ეხლანდელი გამგზავრება ჩვენს მოკავშირე რესპუბლიკის, აფხაზეთის დედა-ქალაქ სოხუმში, ერთი და იმავე ხასიათის ფაქტებია, ფაქტები, რომლებიც შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში. მსგავსი რამ წარმოუდგენელი იყო წინანდელ მთავრობების დროს, რომელთა პოლიტიკას სარჩული ედვა მცირე და „განაპირა" ხალხთა ჩაგვრა-შევიწროება.

მრავალ სხვა ერებთან ერთად ეს თავის ზურგზე მწვავედ განიცადეს აფხაზეთის ხალხებმა. მეფის მთავრობისათვის აფხაზეთი იმპერიალისტური კოლონიზაციის, რუსიფიკაციის, ადგილობრივი ელემენტების დევნის ასპარეზს წარმოადგენდა; ამ ქვეყნის საუკეთესო მამულებს და სიმდიდრეს ოლდენბურგები და თვითმპყრობელობის სხვა „წარჩინებული გვამები" ეუფლებოდენ.

არც მენშევიკების ბატონობის დროს უგრძვნია აფხაზეთს თვისი მძიმე ხვედრის შემსუბუქება. არსებითად იგი ისევე უფლებააყრილი დარჩა, როგორც წინედ. მენშევიკების კაციქამია ნაციონალიზმი აფხაზეთის მშრომელთ გასაქანს, თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა. არა ერთხელ აღუმართავთ მათ აჯანყების დროშა მოძალადე მენშევიკების წინააღმდეგ. არა ერთხელ დაღვრილა უკანასკნელთა თავისუფლებისათვის მებრძოლთა სისხლი აფხაზეთში.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებით მოეღო ბოლო ყველაფერ ამას. მუშურ-გლეხურ მთავრობამ სავსებით უზრუნველჰყო თვითეული ხალხის უფლებები და ფართე გზა გაუხსნა მათ ეკონომიურ და კულტურულ აღორძინებას. ჩვენმა ნაციონალურმა პოლიტიკამ მკვიდრი საძირკველი ჩაუყარა ცალკე ერთა სოლიდარობას და ძმურ თანამშრომლობას. ამიტომაა, რომ თუ, მაგალითად, აფხაზეთი მენშევიკების დროს საქართველოდან სრული გამოყოფისაკენ მიილტვოდა, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ის ნებაყოფლობით მჭიდროდ დაუკავშირდა მას.

ჩვენი ცაკის მორიგი სესიის გახსნა სოხუმში ერთხელ კიდევ ზედმეტჯერ ნათელყოფს იმ დებულებას, რომ საქართველოში, ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, მცხოვრები ყველა ხალხები სავსებით თანასწორნი არიან დღეს. ამავე დროს ეს ფაქტი მოწმობს ხელისუფლების სიახლოვეს, მჭიდრო კავშირს მშრომელ მოსახლეობასთან.

საქართველოს მთავრობა სოხუმის სესიაზე წარადგენს თავის მოღვაწეობის ანგარიშს. ამ მოხსენებიდან ნათელი გახდება, რომ ეს მოღვაწეობა ერთნაირად მიმართული იყო საქართველოში მოსახლე ყველა ხალხების კეთილდღეობის შექმნისაკენ.

სესია აგრეთვე მოისმენს აფხაზეთის მთავრობის საანგარიშო მოხსენებას. აფხაზეთს უკანასკნელ წლეების განმავლობაში, უეჭველია, თვალსაჩინო მიღწევები აქვს მრეწველობის და სასოფლო-მეურნეობის აღდგენის, სახალხო განათლების და სხვა დარგებში. მაგრამ აქ გასაკეთებელი უამრავი რამაა. აფხაზეთში ნორმალურ აღმშენებლობითი მუშაობა რთულია, სხვა მიზეზების გარდა, მისი მოსახლეობის ზედმეტი ნაციონალური სიჭრელის გამოც. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნაციონალურ ურთიერთობათა მხრივ ისეთი მოწამლული ატმოსფერა იყო შექმნილი ძველ დროს, რომ წარსულის ნაშთები ამ დარგში კიდევ არ არის საბოლოოდ აღმოფხვრილი. ამაზე სპეციალური მსჯელობაც ჰქონდა ამას წინად შემდგარ საქართველოს კომპარტიის ცეკას პლენუმს. პარტიის ნაციონალურ პოლიტიკის გადაუხვევლად გატარება და ფართე მასსების აქტიური ჩაბმა ქვეყნის მმართვის და აღმშენებლობის საქმეში—უტყუარი საწინდარი იქნება აფხაზეთის აყვავების.

სოხუმის სესიის დღის წესრიგში მრავალი სხვა უაღრესი მნიშვნელობის საკითხები დგანან. ასეთია, მაგალითად, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის განხილვა. ეხლა მოქმედი კონსტიტუცია რამდენიმედ მოძველდა, ვინაიდან მას შემდეგ, რაც ის იყო მიღებული, მოხდა მთელი რიგი ცვლილებები საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთ დამოკიდებულებაში, როგორიც: ა.-კ. ფედერაციის დაარსება, საბჭოთა კავშირის შექმნა, და სხ. ეს ცვლილებები იპოვიან გამოხატულებას ახალ კონსტიტუციაში. საბჭოთა კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები კი, რა თქმა უნდა, ხელუხლებელი დარჩებიან. მშრომელ მასსების ბატონობა, მჭიდრო კავშირი ხალხთა შორის, ამავე დროს ყველა ერების თანასწორუფლებიანობა,—აი რა საფუძველზე ემყარება ჩვენი კონსტიტუცია.

სესია გაარჩევს მთელ რიგ საკითხებს სასამართლოს დარგიდან. სასამართლოს უფრო მეტი დაახლოვება მოსახლეობასთან, თანამედროვე პირობებთან შეფარდებით საჭირო ცვლილებების შეტანა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და შრომა-გასწორების კოდექსში,—ყველაფერი ეს, რაზედაც სესია თავის გადაწყვეტილებას მიიღებს, დიდი მნიშვნელობისაა სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოწესრიგებისათვის.

სესიას წარედგინება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებულ დებულების პროექტი საბჭოთა სამაზრო ყრილობებისა და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტების შესახებ. ამ დებულებაში ჩამოყალიბებულია ორივე მათგანის უფლება-მოვალეობანი და სამაზრო აღმასკომის ახალი სტრუქტურა. ადგილობრივი მუშაკები, შექმნილ გამოცდილების მიხედვით, უეჭველია წამოაყენებენ თავიანთ მოსაზრებებს ხსენებულ დებულების შესახებ. ეს დებულება ხელს შეუწყობს მაზრის უმაღლეს საბჭოთა ორგანოების მუშაობის უფრო გარკვეულ კალაპოტში ჩაყენებას.

სესია მოისმენს მოხსენებას განვლილ საბჭოთა არჩევნების შესახებ. საერთოდ არჩევნები დიდი წარმატებით ჩატარდა, მაგრამ აქა-იქ მრავალ ნაკლულოვანებასაც ჰქონდა ადგილი. სესია გაითვალისწინებს არჩევნების დროს გამოაშკარავებულ როგორც მიღწევებს, ისე უარყოფით მხარეებს ჩვენს მმართვა-გამგეობასა და აღმშენებლობაში, და მიიღებს ზომებს პირველთა განსამტკიცებლად და მეორეთა შემდეგისათვის ასაცილებლად.

ბოლოს, დამტკიცებული იქნება სესიიდან სესიამდე ცაკის პრეზიდიუმის მიერ მიღებული კანონები.

ცაკის სესიას სოხუმში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, და ეს არა მარტო იმ საკითხების გამო, რომლებსაც ის გადასწყვეტს. სესია იქნება ერთა თანასწორობის, მათი მტკიცე სოლიდარობის, რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოთა ორგანოს მასსებთან უშუალო სიახლოვის მჭერმეტყველური დემონსტრაცია.

რევოლვერის ხმა სასოწარკვეთილთა ბანაკიდან

— კარლო ჩხეიძემ თვითმკვლელობის მიზნით მძიმედ დაიჭრა თავი პარიზში; იმავე პარიზში მოკლულ იქნა გრ. ვეშაპელი—აი, ორი უკანასკნელი მეტად საყურადღებო ფაქტი ქართულ ემიგრაციის ცხოვრებიდან, რაც რადიომ მშრალად და მოკლედ გვაუწყა.

მიუხედავათ ასეთი სიმშრალისა და სიმოკლისა, ეს ცნობა თავის თავად მეტყველებს ცოცხლად, ის ფარდას ხდის მთელი ემიგრაციის მდგომარეობას. ამასთან, ჩხეიძის თვითმკვლელობის ცდა და ვეშაპელის მოკვლა თუმცა გარეგნულად ერთი მეორესთან არ არის გადაბმული, მაგრამ ორივე ერთ წყაროდან გამომდინარეობს, მათ შორის ღრმა შინაგანი კავშირი არსებობს.

ჩხეიძის საქციელზე ჩვენ არც კი შევჩერდებოდით, რომ მას ვიწრო პიროვნული ხასიათი არ ჰქონდეს, რომ ეს არ იყოს კონტრ-რევოლიუციონური ემიგრაციის უკიდურესი კრიზისის მკაფიო გამოხატულება. რამ მიიყვანა ასეთ სასოწარკვეთილებამდე ეს ყოფილი ადამიანი?

სწორედ იმან, რომ ის ყოფილი ადამიანია, რომელსაც არ აღმოაჩნდა უნარი და გამბედაობა თავის პარტიის შეცდომების და ხალხისთვის დამღუპველ მოქმედების აღიარების, მენშევიკური პოლიტიკის რევიზიის; სწორედ იმან, რომ მისთვის საბოლოოდ გამოირკვა, რომ ძველი დროის დაბრუნება ყოვლად შეუძლებელია, ხოლო ოქტომბრის რევოლიუციით საქართველოსა და მთელ საბჭოთა კავშირში შექმნილ პირობებთან შერიგება მის ბუნებას აღემატებოდა.

აბა განსაჯეთ. საქართველოს მთელმა მშრომელ ხალხმა, რომლის უდიდესი ნაწილი ერთ დროს ჩხეიძეებს მიჰყვებოდა, გადაჭრით შეაქცია მათ ზურგი და საბჭოთა ხელისუფლებას ამოუდგა გვერდში. მენშევიკების ყოველი ცდა, მიმართული მშრომელთა ბატონობის დამხობისაკენ, გათავდა სრული დამარცხებით, თვით მენშევიკურ და მათ მოკავშირე კონტრ-რევოლიუციონურ ჯგუფების ორგანიზაციული და მორალური დაშლა-გაკოტრებით. რღვევის პროცესი ფართედ მოედვა ემიგრაციასაც. მისი ჯანსაღი, კერძოდ მუშური ნაწილი განზე გაუდგა „ბელადებს", გადაჭრით გაიმიჯნა მათგან და საბჭოთა პლატფორმაზე დადგა. ბევრი მათგანი კიდეც გამოეშურა განახლებულ სამშობლოსაკენ, მშრომელთა სამფლობელოსაკენ. ჩხეიძეები დარჩენ „უჯარო ჰენერლების" სამარცხვინო როლში. ბანდიტების და ნაძირალების შეთხელებული ჯგუფები—აი მთელი მათი „არმია". ასეთი „ლაშქრით" აბა ვის მოუგია ომი!

საბჭოთა ხელისუფლება განმტკიცდა. მის დასამხობად კაპიტალისტურ სახელმწიფოებზე დამყარებული იმედი გაქარწყლდა. ჩხეიძე ერთი იმათგანი იყო, რომელიც დახეტიალობდა ბურჟუაზიულ ქვეყნებში და ყველა გამვლელს ემუდარებოდა „ეხსნათ" საქართველო. ამ ხვეწნამ არავითარი ნაყოფი არ გამოიღო, არა იმიტომ, რა თქმა უნდა, რომ იმპერიალისტებს არ სურდათ ჩვენი განადგურება,—სურვილი და მეცადინეობა არ აკლდათ, რომ საქართველოსა და მთელი საბჭოთა კავშირისთვის მონობის უღელი დაედგათ,—არამედ იმიტომ,რომ მათ ხელები მოკლე აღმოაჩნდათ, მათი ყოველი ცდა ამ მხრივ დაიმსხვრა საბჭოთა მიუვალ ციხე-სიმაგრეზე.

ჩხეიძეები დარჩენ ყველგან გარიყულნი, ხალხის მოღალატეების და ავანტიურისტების წარუხოცელი დაღით შუბლზე. ჩხეიძის საქციელი მაჩვენებელია კონტრ - რევოლიუციური ემიგრაციის ჩიხში მომწყვდევის, მისი სრული უიმედობის.

მაგრამ რამიშვილები მაინც არ ისვენებენ. რაკი ისინი ხედავენ, რომ „მრევლი" თანდათან ეცლებათ, მათ სხვა გზა არ დარჩენიათ, თუ არ ტერორი მის შესანარჩუნებლად. დაშინება, თეთრი ტერორი ემიგრაციის გამოფხიზლების და დაშლის წინააღმდეგ,—ამ მეთოდს ისინი დიდი ხანია რაც მიმართავენ. ამის ფაქტები ჩვენ ბევრი ვიცით. ეხლა კიდევ ერთი მიემატა—ვეშაპელის მოკვლა. ვიღაც მერაბიშვილი, რამიშვილის ბრმა იარაღი და მოსყიდული აგენტი, სიცოცხლეს უსპობს მას. ვეშაპელი, როგორც ვიცით, ემიგრაციის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყო, რომელმაც აგვისტოს ავანტიურის შემდეგ უკუაგდო ძველი პოლიტიკა პარიტეტული კონტრ-რევოლიუციის და საბჭოთა პლატფორმა აღიარა. მის ორგანოს „ახალი საქართველო"-ს თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვის ემიგრაციის გამოფხიზლებაში. მის მუ[illegible]

ცხადია, ვერ ურიგდებოდენ რამიშვილის ბანდები. დღეს მათ შური იძიეს მასზე.

მაგრამ რას მიაღწევენ ისინი ამ ტერორისტული აქტით? მოახერხებენ ემიგრაციის დაფრთხობას, მის საბოლოო დაშლის პროცესის შეჩერებას, თუ გინდ ოდნავ შენელებას? რა თქმა უნდა, ეს თვითონაც არ სჯერათ მათ. ემიგრაციის ერთხელ დაწყებული რღვევა თავის ლოღიკურ დასკვნამდე მივა. მუშები გამოეთიშენ რამიშვილებს, მიუხედავათ მათ მიერ დღემდეც წარმოებულ ტერორისა. ასე იქნება შემდეგში. ვეშაპელის მკვლელობა მხოლოდ უძლური ბოროტების გამოხატულებაა.

ჩხეიძის საქციელი და ვეშაპელის მკვლელობა, ორივე ემიგრაციის აღსასრულის, სიკვდილის აშკარა დამამტკიცებელია. მორალურად და პოლიტიკურად მენშევიკები დიდი ხანია მოკვდენ. ისინი ახლა ადგებიან ფიზიკური თვითმკვლელობის გზას. ეს მათი საქმეა. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება ვერ მოითმენს თავზე ხელაღებულ ბანდიტების მხრით თეთრ ტერორს იმათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობს მასთან თანამშრომლობას. საბჭოთა მთავრობას საკმაო საშუალებები მოეპოვება მათი ყაჩაღურ ხელის მოსაკვეთად.

ზედმეტად არ მიგვაჩნია ამაზე მოვაგონოთ იმათ, ვისაც ეს შეეხება.

ინგლისის სამთა-მადნო მუშების ბრძოლა

მთავრობას განზრახვა აქვს ჩაერიოს კონფლიქტში მხარეთა შეთანხმების მიზნით

ესპანეთი და ბრაზილია ერთა-ლიგიდან გამოსვლას აპირებენ

პოლონეთში მუშავდება კანონპროექტი პრეზიდენტის უფლებების გაფართოების შესახებ

შეტაკება მუშებსა და პოლიციას შორის ვარშავაში

გაფიცვა ინგლისში

კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ

ლონდონი, 10 ივნისი. ლორდ როტერმერის პრესა განაგრძობს გაფართოებულ კამპანიას საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ.

„ივნინგ ნიუზ" და დანარჩენი გაზეთებიც აჰყვენ „დეილი მეილს".

საინტერესოა ის გარემოება, რომ ეს გაზეთები საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტსაც იმ „მაიკის" წევრად სთვლიან, რომელიც საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობაში თითქოს რაღაც ოინებს მიმართავენ ინგლისის იმპერიის დამხობის მიზნით; გაზეთები მოითხოვენ ამ „მაიკის" გაძევებას.

ბურჟუაზიის შურისძიება

ლონდონი, 10 ივნისი. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ქვა-ნახშირის სამრეწველო რაიონებში ცენტრალური ხელისუფლების ინსტრუქციების თანახმად მეტად მკაცრ ღონისძიებებს მიმართავენ გაჭირვებულთა დახმარების მოწესრიგების საქმეში. მაგალითად, იორკშირის სამხრეთ ნაწილში **საგრაფოს საბჭომ დაადგინა სკოლებში ბავშვებს მხოლოდ ნაღდ ფულზე მიაწოდონ საჭმელი,** გარდა ამისა ღარიბთა მზრუნველებმა იმავე რაიონში **სამთომადნო მუშების ცოლებს მხოლოდ იმ პირობით უნდა აღმოუჩინონ დახმარება, თუ ფული უკანვე იქნება დაბრუნებული.**

სამთამადნო მუშის ჩვეულებრივი ოჯახის დავალიანება, ამრიგად, 22 შილინგს შეადგენს კვირაში. ეს იმას ნიშნავს, რომ სამთამადნო მუშების სამუშაო ხელფასს კონფლიქტის დასრულების შემდეგაც დიდი ხნის განმავლობაში თანდათანობითი შემცირება მოელის.

სამხრეთ-უელსის ბევრ რაიონში ღარიბთა მზრუნველები მუშებს დახმარებიდან უკლებენ იმ სურსათის ღირებულებას, რომელიც სამთამადნო მუშებმა და მათმა ოჯახებმა მიიღეს სამთამადნო მუშების ფედერაციისაგან. ბევრ ადგილას **ჯანმრთელობის განყოფილებებმა შესწყვიტეს რძის მიცემა ორსულად მყოფ ქალებისათვის.**

დამახასიათებელია თავისი უხეშობით ზოგიერთ გაზეთების კორესპონდენტთა განცხადება, რომ სამთამადნო მუშების მოწოდებას დახმარების შესახებ ყურადღება არ უნდა ექცეოდეს, რადგან სტატისტიკა დღემდე არ აჩვენებს ბავშვთა სიკვდილიანობის გადიდებას.

ქვა-ნახშირის ფასი

ლონდონი, 10 ივნისი. ფინანსიურ წრეებში ეწინააღმდეგებიან სამთამადნო მუშების ფედერაციის თავმჯდომარის სმიტის წინადადებას, რომელიც საჭიროდ სთვლის მტკიცე ფასების დაწესებას იმ ქვა-ნახშირზე, რომელიც შინაურ ბაზარზე საღდება.

ამ წრეებში ლაპარაკობენ, რომ ეს სერიოზულ უპირატესობას მისცემდა მრეწველობის დანარჩენ დარგებს, განსაკუთრებით მძიმე ინდუსტრიას.

ბრძოლა ხანგრძლივი იქნება

ლონდონი, 10 ივნისი. მოლაპარაკების შეწყვეტამ მაღაროს მუშებსა და მეპატრონეებს შორის საერთო შთაბეჭდილება დასტოვა, რომ ბრძოლა საკმაოთ ხანგრძლივი იქნება.

ოპტიმისტურად განწყობილი პირებიც კი აღნიშნავენ, რომ მუშაობის განახლება ექვს კვირის ადრე არ არის მოსალოდნელი.

ეს თვალსაზრისი გვიმტკიცებს ნახშირით სარგებლობის შეზღუდვით ისეთ ქალაქებშიც, სადაც დღემდის მისი საკმაო მარაგი მოიპოვებოდა.

მაღაროს მუშების ორგანო, რომელიც ნარტუმბერლენში გამოდის, სწერს:— მოპირდაპირეთა ძალაზეა დამოკიდებული ის, თუ ვინ გამოვა გამარჯვებული, მაგრამ უძლიერესმა რომ გაიმარჯვოს კიდეც, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მშვიდობიანობა დამყარდება".

შეთანხმების ცდა

ლონდონი, 11 ივნისი. მაღაროს მუშათა ფედერაციის პოზიცია ნახშირის მრეწველობაში მომხდარი კონფლიქტში გამოხატულებას პოულობს იმ მანიფესტში, რომელიც აიძულებს მთავრობას კვლავ ჩაერიოს კონფლიქტში შეთანხმების მიღწევის მიზნით. მანიფესტი გათვალისწინებულია ისეთი მეთოდებით, რომლებიც მომავალში შეუწყობენ ხელს სამუშაო ხელფასის და მუშაობის პირობების მოგვარებას. თუმცა მანიფესტის ნამდვილი მიზანი გაურკვეველია, მაგრამ აზრის მიხედვით იგი წარმოადგენს საკითხის გადაწყვეტის ახალ ცდას.

იმედი აქვთ, რომ საკითხს კვლავ განიხილავს მუშათა სექცია, რომელიც ელის ისეთ მომენტს, როცა უფრო მტკიცე ბაზისი იქნება მოლაპარაკების დაწყებისათვის, ვიდრე ის, რომელმაც სამშაბათს მოლაპარაკება უშედეგოთ დაამთავრა.

გუშინ ბირმინგამში, სანახშირო მრეწველობის კონფლიქტის შესახებ მსჯელობის დროს, კოლონიათა მინისტრმა ემერმა სთქვა, რომ ორთავე სამართლიანობის საფუძველზე სდგანან.

იგი ფიქრობს, რომ მაღაროს პატრონები სავსებით მართალნი არიან, როცა ამბობენ, რომ მათ არ შეუძლიათ წარმოების გაძღოლა წაგებით. შესაძლოა, მემაღაროებმა ცოტა რამ დაჰკარგეს საერთო სიმპატიის მხრივ იმის გამო, რომ მეტად გადაჭარბებული მოთხოვნილებანი წამოაყენეს, **მაგრამ ის პრინციპი, რომლისათვისაც ისინი იბრძვიან, სამართლიანია.** ეს პრინციპი სამართლიანია იმდენათ, რამდენათაც ისინი იცავენ იმ თვალსაზრისს, რომ სამუშაო ხელფასის ზომიერი დონე არსებითი პირობაა მრეწველობისათვის და რომ სამუშაო ხელფასი არ უნდა წესდებოდეს პროდუქციის ღირებულებით კონკურენტთა ბაზარზე, ვინაიდან იქ არსებობს მინიმუმი უფრო დაბალია, ვიდრე ჩვენთან და გადასახადებით ნაკლებია. ეს დავა არაა ჭეშმარიტების და შემცდარ შეხედულების შეჯახება. ესაა ორი პრინციპის დავა, რომლებიც ჩვენ გვსურს შევარიგოთ, თუ კი შესაძლოა ამას.

სამხედრო მინისტრმა კოლჩესტერში სთქვა, რომ მთავრობის მოვალეობა სავსებით ნათელია. მთავრობის მოვალეობაა განზე დადგეს დავის დროს. მაგრამ იმოქმედოს, როგორც შემარიგებელმა, შეკრიბოს ერთად მუშათა და მესაკუთრეთა წარმომადგენლები და ყოველგვარი ზომები მიიღოს იმისათვის, რომ ისინი შეხვდენ ერთმანეთს მეგობრულად და შეთანხმდენ. იგი ჰფიქრობს, რომ საკითხის გადაწყვეტა შესაძლოა სამუშაო დროის გადიდებით.

რეფერენდუმი სამთამადნო მუშათა შორის

ლონდონი, 10 ივნისი. იმ ხმების დამატებით, რომ მთავრობას განზრახვა აქვს თავისი კონტროლის ქვეშ მოახდინოს რეფერენდუმი სამთამადნო მუშათა შორის, ამბობენ აგრეთვე, რომ მთავრობას განზრახვა აქვს, შესწორება შეიტანოს მაღაროებში 7 საათის სამუშაო დღის კანონში, რომ შესაძლო გახდეს სამუშაო დროის გადიდება 8 საათამდე.

მოღალატეები გაკიცხეს

ლონდონი, 10 ივნისი. ავტორიტეტულ წყაროებიდან მიღებულ ცნობებით მაღაროს მუშათა ფედერაციის აღმასკომმა, განიხილა რა საკითხი ვარლისა და ხოჯჯესის შესახებ, რომლებიც დამოუკიდებლად გამოვიდენ კომპრომისული წინადადებებით, ერთხმად გაკიცხა მათი მოქმედება.

აღიარებულ იქნა, რომ ვარლი უკანონოდ მოქმედებდა.

საკითხს ხოჯჯესის შესახებ აღმასკომი განიხილავს მაღაროს მუშათა საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომთან ერთად ლოკაუტის დამთავრების შემდეგ.

„მემაღაროეს ლამპის" დღე

ლონდონი, 10 ივნისი. 10 ივნისს მთელ ინგლისში მუშათა პარტიის ინიციატივით მოეწყო „მემაღაროეს ლამპის" დღე. ამ დღეს გამოშვებულ იქმნა მემაღაროეთა ლამპის 1 მილ. კარტონისა და ლითონის ნიშანი, რომელსაც ჰყიდდენ ქუჩებში გაფიცულ სამთამადნო მუშათა სასარგებლოდ. „მემაღაროეს ლამპის" დღე. ამ დღეს გამოშვებულ იქნა რამოდენიმე საათის განმავლობაში, მიუხედავად დიდი წვიმისა, გაიყიდა 1 მილიონი ნიშანი, რომელზედაც მემაღაროეს ლამპა იყო გამოხატული.

მაღაროს მეპატრონეები შეეცადენ ხელი შეეშალათ შემოწირულებათა შეგროვებისათვის. ზოგიერთ ქალაქებში ადგილობრივმა ხელისუფლებამ აკრძალა შემოწირულებათა მოწყობა სამთამადნო მუშების სასარგებლოდ.

ტრედ-იუნიონების გენერალურმა საბჭომ სამთამადნო მუშების ფედერაციას გაუგზავნა 10.000 გირვანქა სტერლინგი.

გემების დაქირავება ინგლისისათვის

ლონდონი, 10 ივნისი. ლონდონის გემთა მიმოსვლის ბირჟა გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს გემების დასაქირავებლად ამერიკიდან ნახშირის შემოსაზიდათ.

უცხოეთის ნახშირი

ლონდონი, 10 ივნისი. ინგლისის სარკინიგზო კომპანიები იტყობინებიან, რომ რკინისგზელებს აქამდე უარი არ უთქვამთ უცხოეთიდან მიღებულ ქვა-ნახშირის გადაზიდვაზე.

მდგომარეობა პოლონეთში

გენ. სოსნოვსკი

ვარშავა, 10 ივნისი. პოზნანიდან მიღებული ცნობით, გენ. სოსნოვსკი, რომლის დაჭრის საიდუმლოება ჯერ კიდევ არ გამორკვეულა, ეხლა უკეთ არის.

დემონსტრაციები პოზნანში

ვარშავა, 10 ივნისი. პილსუდსკისადმი თანაგრძნობისათვის ნაციონალური მუშათა პარტიიდან გამორიცხულმა ნიშაკმა პოზნანში მოაწყო დიდი მიტინგ-დემონსტრაცია. პოლიციამ განდევნა დემონსტრანტები. **დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის შეტაკება მოხდა.**

ზემო-სილეზიის ნახშირის მრეწველობა

ვარშავა, 10 ივნისი. „კურიერ პორანნი"-ს მიერ მიღებულ ცნობების თანახმად, ზემო-სილეზიის ნახშირის მრეწველობაში, ინგლისში მაღაროს მუშების გაფიცვის გამო, მდგომარეობა გაუმჯობესდა.

გაზეთის კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ნახშირის ექსპორტის ზრდას ხელს უშლის დანციგის ნავთსადგურისა და პოლონეთის რკინის გზების მოუწყობლობა.

ამერიკელი ფინანსისტის ჩამოსვლა

ვარშავა, 10 ივნისი. ვინაიდან პრესა ათასგვარ ხმებს ავრცელებს პოლონეთში ამერიკელ ფინანსისტ კემერერის ჩამოსვლასთან დაკავშირებით, გაზეთებს დაეგზავნა ოფიციალური ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ კემერერი არ ჩამოდის პოლონეთში, როგორც ამერიკელი ფინანსისტების წარმომადგენელი. **იგი მოწვეულია მთავრობის მიერ პოლონეთის ფინანსიური მდგომარეობის შესასწავლათ და მისი დასკვნებით პოლონეთის მთავრობა ისარგებლებს შეძლებისდაგვარად.**

ოფიციალური ცნობა, ამრიგად, უარყოფს ხმებს, თითქო კემერერს მოაქვს პოლონეთისათვის დიდი სესხი, მიღებული ამერიკელ ბანკირებისაგან.

სავაჭრო კრიზისი

ვარშავა, 10 ივნისი. პოლონეთის სავაჭრო დაწესებულებათა გაერთიანების მთავარმა საბჭომ გამოაქვეყნა მემორანდუმი, რომელშიაც ნათქვამია, რომ მაისის ამბებმა თითქოს ყველას დაავიწყა **ვაჭრობის მდგომარეობა და კრიზისი, რომელიც საშიშ ფორმებს იღებს.**

ვაჭრები კრიზისის მიზეზად თვლიან გარკვეულ გეგმის უქონლობას სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობაში. მემორანდუმი მოითხოვს კონსტიტუციის შეცვლას—პრეზიდენტის, მთავრობის და სენატის უფლებების გაფართოებას, საარჩევნო კანონის შეცვლას, ადმინისტრატიული და საგადასახადო აპარატის გამარტივებას, სოციალური კანონმდებლობის შეცვლას და სასტიკი მომჭირნეობის დაცვას საბიუჯეტო წონასწორობის მისაღწევად.

მემორანდუმი სასტიკად ილაშქრებს ქაღალდის ფულების ახალი პარტიის გამოშვების წინააღმდეგ.

პოლიციისა და მუშების შეტაკება პოლონეთში

ვარშავა, 10 ივნისი. ოსტროვეცის და კელეცკის ლითონის სადნობ ქარხნებში, სადაც მუშაობს 5.1000 კაცი. ამ დღეებში თავი იჩინა კონფლიქტმა ეკონომიურ ნიადაგზე. მუშებმა ძალით გაიყვანეს ქარხნის დირექტორი ქარხნების რაიონიდან. ადმინისტრაციამ ამის გამო დაიხურა ქარხნების ერთი ნაწილი, ხოლო პოლიციამ 3 მუშა დააპატიმრა ღამით.

გუშინ მუშები პროფკავშირის დროშით გაემართენ პოლიციის სამმართველოსაკენ და მოითხოვეს დაპატიმრებულთა განთავისუფლება.

უარის შემდეგ, 2.000 კაცისაგან შემდგარმა ბრბომ ალყა შემოარტყა პოლიციის სამმართველოს და შეტაკებაზე გადავიდა. დაიწყო სისხლის მღვრელი შეტაკება, რომელიც რამოდენიმე საათს გაგრძელდა. მუშებმა გაანიარაღეს პოლიციელები, მაგრამ საღამოს 8 საათზე პოლიციის და ჯარების გაძლიერებულ რაზმების საშუალებით ბრბო გაფანტულ იქნა.

მოკლულია 5 კაცი, დაჭრილია 9, მათ შორის 5 სასიკვდილოთაა.

გაზეთები იუწყებიან, რომ აჯანყებას კომუნისტები ხელმძღვანელობენ.

ოსტროვეცში ჩავიდა კელეცკის ვოევოდა.

20.000 შეიარაღებული ფაშისტი

ვარშავა, 10 ივნისი. გაზეთებს მოჰყავს ანგარიში ვიტოსის გამოსვლის შესახებ მიტინგზე ვესხოსლავიცში, სადაც მან განაცხადა, რომ პოზნანში 20.000 შეიარაღებული ფაშისტია. ვიტოსმა დაუმატა, რომ ერთი წლის შემდეგ ის კვლავ ჩაიგდებს ხელში ძალაუფლებას.

პილსუდსკის დაუთმეს

ვარშავა, 11 ივნისი. როგორც იუსტიციის მინისტრმა მაკოვსკიმ განაცხადა, **მოსალოდნელია სახელმწიფო საბჭოს მიერ კონსტიტუციის შეცვლა. ახალი კონსტიტუცია პრეზიდენტს მიანიჭებს ვეტოს, სეიმის დათხოვნის და ისეთი დეკრეტების გამოცემის უფლებას, რომელთაც ძალა ექნებათ სეიმის დათხოვნის და მისი მუშაობის შეწყვეტის დროს.** მაკოვსკიმ განაცხადა აგრეთვე, რომ საარჩევნო კანონებში შეტანილ უნდა იქნეს ცვლილებები, რომელთა შესახებ ის დაწვრილებით ჯერ ვერაფერს იტყვის.

„ან ეხლა ან არასოდეს"

ვარშავა, 10 ივნისი. ბრილისა და დომბსკის ჯგუფის გლეხთა პარტიამ გამოაქვეყნა მოწოდება გლეხებისადმი, სადაც ნათქვამია:

„დადგა ჟამი, როდესაც ჩვენ უნდა მოვიპოვოთ ჩვენთვის მიწა. **ან ეხლა ან არასოდეს.** ჩვენთვის არავინ იბრძოლებს ჩვენს გარდა, ემზადეთ ბრძოლისათვის. ჯარმა შესაძლოა ესროლოს გლეხობას, მაგრამ თქვენ უნდა შთააგონოთ თქვენს შვილებს, რომლებიც ჯარში მიდიან, რომ მათ ყოველთვის დაიცვან სიმართლე და სამართლიანობა. გლეხები მზად უნდა იყვენ ბრძოლისათვის მხოლოდ თავის დროშის გარშემო".

ფრანგული ფრანკი და საფრანგეთის დემოკრატია

საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში დღეს ბატონობს ფრანკის სტაბილიზაციის საკითხი.

საფრანგეთში ელოდენ, რომ გამარჯვება მაროკოში, ვალების მოწესრიგება ამერიკისა და ინგლისის მიმართ პირდაპირ ნდობისა და ნეტარების განწყობილებას შექმნიდა ფრანკის კურსისა და ბრიანის მთავრობისადმი. ეს იმედი თავდაპირველად თითქო სრულიად უსაფუძვლო არ იყო. ფრანკის კურსი გაუმჯობესდა, ბრიანის მთავრობას პარლამენტმა ნდობა გამოუცხადა. პარიზის გაზეთებმა ეს მდგომარეობა გამოიყენეს, რათა ფრანგის ხალხისთვის ოპტიმიზმი შთაეგონებიათ, მათ განაცხადეს, რომ არც სახელმწიფო სა-[illegible] მდგომარეობა ფრანკის დაცემას არ ამართლებსო, ხოლო მთავრობას საშუალება აქვს, რომ ბოროტ სპეკულიაციას, რომელიც ყოველი უბედურების ერთად ერთი მიზეზია, ბოლო მოუღოსო. მაგრამ ოპტიმიზმი მწარე სინამდვილემ ჩქარა გააბათილა, ნაადრევი გაზაფხულის გრძნობა ჩქარა განელდა.

მოკლე შეჩერების შემდეგ ფრანკის კურსის დაცემა გრძელდება და ამასთანავე მწვავდება ბრძოლა პარიზის პარლამენტის პარტიებს შორის. ბრძოლა სახელმწიფო მეურნეობის გაჯანსაღებისა და ფრანკის სტაბილიზაციისთვის, რაიცა საფრანგეთის შინაური პოლიტიკის ისტორიის შინაარსს წარმოადგენს უკანასკნელ [illegible], არსებითად ძალა[illegible]ჟუაზიასა და წვრილ ბურჟუაზიას შორის, რომელიც გლეხკაცობასა და მუშათა კლასის ერთ ნაწილთან არის შეკავშირებული. საფრანგეთის წვრილმა ბურჟუაზიამ 1924 წელს, მემარცხენე ბლოკის სახით, მემარცხენე უმრავლესობა შექმნა და ხელისუფლება მიიღო. მსხვილი ბურჟუაზია, რომლის ინტერესი ინფლიაციის გაგრძობას მოითხოვს, ხელს არ უშლიდა წვრილბურჟუაზიული მთავრობის არსებობას, რამდენადაც ეს უკანასკნელი არ აფერხებდა ინფლიაციის თავისუფალ მიმდინარეობას. მაგრამ როგორც კი მემარცხენე ბლოკის მთავრობამ სცადა სახელმწიფოს ფინანსების მოწესრიგება და ფრანკის სტაბილიზაცია მოეხდინა მსხვილი ბურჟუაზიის ხარჯზე, ამ უკანასკნელმა ერთი მეორის მიყოლებით დასცა წვრილი ბურჟუაზიის მიერ შედგენილი მთავრობები: ეს მან მოახდინა სახელმწიფო ფინანსების საბოტაჟისა, სენატისა, მემარცხენე ბლოკის ზომიერი ჯგუფების მიმხრობის, შემწეობით. თუ ვალიუტის სტაბილიზაცია აუცილებელია, ეს მსხვილი ბურჟუაზიის მორჩილმა მთავრობამ უნდა მოახდინოს მშრომელი მასსების ხარჯზე. ეს არის საფრანგეთის შინაური პოლიტიკის აზრი უკანასკნელ წელს. ამიტომ მსხვილი ბურჟუაზია პარლამენტური ოინებით, ფაშისტური მოძრაობის გაღვივებით, წვრილბურჟუაზიული მთავრობისა და პარტიების სახელის გატეხით თავისი მორჩილი მთავრობის შედგენას ამზადებს.

ახლანდელი მთავრობა, ბრიანის კაბინეტი, გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს გარკვეულ მსხვილბურჟუაზიულ მთავრობისა, მსხვილი ბურჟუაზიის აშკარა დიქტატურისკენ. ამის მაჩვენებელია არა მარტო ის გარემოება, რომ ფინანსთა მინისტრის პერეს ახალი [illegible] ბურჟუაზიულ და პროლეტარულ მასსებს აწვებიან მხრებზე, არამედ სხვადასხვა კანონპროექტების განხილვაც პარლამენტში. უკანასკნელი შეკითხვებით გამოწვეულ კამათის დროს, მთავრობა დაემხობოდა, თუ მემარჯვენე ნაციონალისტურ და ანტირესპუბლიკურ ელემენტებს, უკიდურეს მომენტში, ხმა არ მიეცათ მთავრობისათვის. „მემარცხენე მთავრობა" აგრეთვე მემარჯვენე პარტიებმა იხსნეს იმ პარლამენტარული კამათის დროს, რომელიც არჩეულთა რიცხვის შეზღუდვასა და სამხედრო სამსახურის რეფორმას შეეხებოდა.

ამ რიგად საფრანგეთში დღეს პოლიტიკურ ძალთა გადაჯგუფება ხდება. მემარცხენე პარტიები, რომელთაც 1924 წლის 11 მაისს ბრწყინვალედ გაიმარჯვეს, დღეს პოლიტიკური მნიშვნელობის უკანასკნელ ნატამალს ჰკარგავენ.

„დემოკრატიული" საფრანგეთი ფაშისტური საფრთხის წინაშე სდგას. ფრანკთან ერთად ღირებულებას ჰკარგავს „დემოკრატიის" იდეაც. საფრანგეთის ფინანსების გაჯანსაღება არ შეიძლება „დემოკრატიული" საშუალებით, პარლამენტარული გზით. საფრანგეთის ბურჟუაზიას მხოლოდ აშკარა ძალმომრეობით, ნიღაბჩამოხსნილი დიქტატურით შეუძლია პროლეტარიატი აიძულოს, რომ მან გადასახადების ახალი ტვირთი იკისროს. ფრანკის სტაბილიზაციას აუცილებლად მასსიური გალატაკება, უმუშევრობა, სახელმწიფო ქონების უცხო კაპიტალზე გადაცემა მოჰყვება.

ეს კი კლასთა ბრძოლის გამწვავებას, კლასობრივ ზავის დასასრულს მოასწავებს. ფრანგული ფრანკის ხსნა მხოლოდ საფრანგეთის დემოკრატიის მსხვერპლად შეწირვის გზით შეიძლება.

პარიზში მოჰკლეს გრ. ვეშაპელი

პარიზი, 10 ივნისი. მერაბიშვილმა რევოლვერით მოჰკლა გაზეთ „ახალი საქართველო"-ს რედაქტორი გრიგოლ ვეშაპელი, როდესაც ეს უკანასკნელი სასამართლოს დარბაზიდან გამოდიოდა.

როგორ მოხდა მკვლელობა

პარიზი, 10 ივნისი. გაზეთ „ახალ საქართველოს" რედაქტორი გრ. ვეშაპელი მოკლულ იქნა სასამართლოს სხდომის დარბაზიდან გამოსვლის დროს. სასამართლოში ირჩეოდა საქმე ქართველ - თეთრგვარდიელთა მიერ ქართულ საბჭოთა კოლონიის სხდომაზე თავდასხმის შესახებ. ვეშაპელი სასამართლოს სხდომას ესწრებოდა, როგორც მესარჩელე.

მესარჩელეებს მოწმეები არ წამოუყვანებიათ და ამის გამო სასამართლოში საქმის გარჩევა ერთი სხდომის განმავლობაში დამთავრდა.

თეთრგვარდიელთა სასარგებლოთ ჩვენებას აძლევდენ საფრანგეთის ყოფილი კომისარი საქართველოში (საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე) შევალიე და პრელატი ბოდრიარი, რომელიც ქართველებს შორის კათოლიკურ პროპაგანდას აწარმოებს.

განაჩენის გამოტანა ერთი კვირით გადაიდო.

როცა ვეშაპელი ავტომობილში ჯდებოდა, იგი მოკლულ იქნა სამი ტყვიით ყოფ. მსახიობ მერაბიშვილის მიერ (20 წლისა).

მერაბიშვილი უკანასკნელ ხანებში ქარხანა „რენოში" მუშაობდა.

თეთრგვარდიელ ქართველ სტუდენტთა ასოციაცამ, რომელსაც მერაბიშვილი ეკუთვნოდა, განაცხადა, რომ მერაბიშვილი თითქოს გამორიცხული იყო ასოციაციიდან, რადგან მას სწამებდენ ბოლშევიკებთან კავშირს.

მერაბიშვილმა განაცხადა, რომ მან მოჰკლა ვეშაპელი შურისძიების გამო, რადგან ვეშაპელს ვითომდა დანაშაული მიუძღოდა მისი ნათესავების მკვლელობაში.

ერთა ლიგის საბჭოს სესია

უნგრეთი და ერთა ლიგა

ლონდონი, 11 ივნისი. ჟენევიდან მიღებული ცნობით ერთა ლიგის საბჭომ მიიღო დადგენილება ივნისის ბოლო რიცხვებიდან უნგრეთში ლიგის უმაღლესი კომისარის თანამდებობის გაუქმების შესახებ.

ესპანეთის დელეგატის განცხადება

ლონდონი, 11 ივნისი. ესპანეთის დელეგატმა განაცხადა, რომ ესპანეთმა მიიღო ლიგის მეოთხე სტატუტის მუხლის დამატება ლიგის საბჭოს არამუდმივ წევრთა შეცვლის შესახებ. ეს დამატება უკვე ძალაში შედის.

ბრაზილია გავიდა ლიგის საბჭოდან

ლონდონი, 11 ივნისი. **ბრაზილიის დელეგატმა მელლომ ფრანკომ ლიგის გენერალურ მდივანს გადასცა განცხადება ბრაზილიის ლიგის საბჭოდან გამოსვლის შესახებ.** ეს აქტი არ ნიშნავს ბრაზილიის გამოსვლას ერთა ლიგის შემადგენლობიდან.

ესპანეთი მუდმივ ადგილს მოითხოვს

პარიზი, 11 ივნისი. ერთა ლიგის საბჭოს სხდომაზე **ესპანეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ესპანეთი არ არის დაინტერესებული მისი ეხლანდელი მდგომარეობით საბჭოში და მოითხოვს, რათა მას მუდმივი ადგილი მიეცეს.**

პ. ბონკური მოითხოვს

პარიზი, 11 ივნისი. პოლ-ბონკური მოითხოვდა, რომ ერთა ლიგამ უზრუნველყოს რეპრესიები უცხოეთის სახელმწიფოს ყალბი ფულების დამზადებისათვის და ასეთ მოქმედებას საერთაშორისო ბოროტმოქმედება უწოდა. პოლბონკურის წინადადებას მხარი დაუჭირეს ბენეშმა და ჩემბერლენმა.

ბრაზილია უარს აცხადებს ერთა ლიგაში შესვლაზე

ბერლინი, 10 ივნის. ერთა ლიგის საბჭოს სხდომაზე ბრაზილიის წარმომადგენელმა წაიკითხა დეკლარაცია, რომლითაც ბრაზილია უკვე ეხლავე უარს აცხადებს საბჭოში არა მუდმივ ადგილზე. დეკლარაციის წაკითხვის შემდეგ ბრაზილიის წარმომადგენელმა დასტოვა სხდომის დარბაზი. საბჭოს სესია ამით დამთავრდა.

ჩემბერლენი ნიანგის ცრემლებს ღვრის

ლონდონი, 11 ივნისი. ესპანეთის დელეგატის განცხადების შემდეგ, ჩემბერლენმა აღნიშნა, რომ მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ესპანეთის თანამშრომლობას ლიგაში. მან განაცხადა, რომ მეტად სამწუხარო იქნებოდა, თუ ის სახელმწიფოები, რომლებსაც არ მიეცემოდათ მუდმივი ადგილები ლიგის საბჭოში, უკმაყოფილო იქნებოდენ თავისი მდგომარეობით და შეუძლებლად თვლის ისეთი სახელმწიფოს მიერ, როგორიც ესპანეთი არის, უარის თქმას ლიგაში თანამშრომლობაზე.

ჩემბერლენმა აგრეთვე მწუხარება გამოსთქვა ლიგიდან ბრაზილიის გასვლის შესაძლებლობის გამო. ჩემბერლენმა განაცხადა, რომ მას არ შეუძლია დაუშვას ის აზრი, თითქოს პირადი სიმპატიები გავლენას ახდენენ საბჭოს შემადგენლობაზე. საბჭოს ზედმეტად გაფართოება შეუძლებელია, ვინაიდან ამ შემთხვევაში საბჭო ვერ შესძლებდა იმ ვალდებულებათა შესრულებას, რომლებზედაც დამოკიდებულია საყოველთაო მშვიდობიანობა.

პრესის გამოძახილი

ლონდონი, 11 ივნისი. ჩემბერლენის მიერ გამოთქმული აზრები გამოხმაურებას პოულობენ ინგლისის პრესაში. პრესა აღნიშნავს, რომ არავითარი დაბრკოლებები არ უშლიან ხელს გერმანიისათვის ადგილის მიცემას ლიგის საბჭოში.

პრესა ამავე დროს მხურვალე თანაგრძნობას უცხადებს ესპანეთსა და ბრაზილიას, რომელთა დამსახურებას ერთა ლიგის წინაშე პრესა ერთხმად აღიარებს.

გაზ. „ტაიმსი" ფიქრობს, რომ თუ ბრაზილიამ და ესპანეთმა განახორციელეს თავისი მუქარა ლიგიდან გასვლის შესახებ, მათ მიერ ლიგაში აქტიურ მუშაობაზე ხელის აღებას დროებითი ხასიათი ექნება".

„ეკო-დე-პარი"-ს მწუხარება

პარიზი, 11 ივნისი. „ეკო-დე-პარი" მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ გერმანიის შესვლა ერთა ლიგაში იწვევს ბრაზილიის გამოსვლას ლიგის საბჭოს შემადგენლობიდან.

მონღოლეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმება

ულან-ბატორი, 11 ივნისი. საბჭოთა კავშირსა და მონღოლეთს შორის დაიდვა ხელშეკრულება, რომელიც შეეხება მონღოლეთის მდინარეებზე სალენძინის სახელმწიფო სანაოსნო სამმართველოს გემების მიმოსვლას. ხელშეკრულებას საბჭოთა კავშირის მხრივ ხელი მოაწერა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა **ნიკიფოროვმა,** ხოლო მონღოლეთის მხრივ—სახალხო მეურნეობის მინისტრმა—**ამორმა** და გარეშე საქმეთა მინისტრმა **დარლიკაუმმა.**

ხელშეკრულება დადებულია ათი წლის ვადით. შეთანხმება ხელს შეუწყობს ტრანსპორტის განვითარებას მონღოლეთში და საზღვარგარეთიდან შეტანილ საქონლის გაიაფებას. ხელშეკრულება საბოლოოდ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ უნდა დაამტკიცოს.

მოსულის საკითხის გარშემო

ოსმალეთის პრესა ხელშეკრულების შესახებ

სტამბოლი, 10 ივნისი. „იენი გიუნ" ეხება შეთანხმებას მოსულის შესახებ და სწერს:

„ოსმალეთი მწუხარების გრძნობით აწერს ხელს მოსულის ხელშეკრულებას. მოსული ოსმალეთის იყო, არის და დარჩება კიდეც. ჩვენს მხარეზეა უფლება და სამართლიანობა. ინგლისის მხარეზეა ძალა. ჩვენ ვამჯობინეთ ომის თავიდან აცდენა".

„იკდამ" სწერს:

„ინგლისსა და ირაქთან დადებული ხელშეკრულება ჩვენ უნდა გვაკმაყოფილებდეს. ყოველი საკითხის გადაჭრის დროს აუცილებელია ურთიერთ დათმობა. ეკონომიური თვალსაზრისით ხელშეკრულება ოსმალეთისათვის ხელსაყრელია, რადგან ამტკიცებს ეკონომიურ დამოკიდებულებას ირაქთან".

„ვაკიტ" აღნიშნავს, რომ ხელშეკრულებამ ეკონომიური უპირატესობა უნდა მიანიჭოს ოსმალეთს და უზრუნველყოს მისი საზღვრების უშიშროება. გაზეთი ამასთანავე აყენებს კითხვას—განზრახული აქვთ თუ არა ინგლისს თავის თავზე დაკისრებულ მოვალეობათა სისწორით დაცვა, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ოსმალეთს შეუძლია შესცვალოს თავისი პოზიცია და დამოკიდებულება ინგლისის მიმართ.

ოსმალეთის ახალი ელჩი მოსკოვში

სტამბოლი, 10 ივნისი. „ვაკიტ" იტყობინება, რომ გარეშე საქმეთა კომისარი ტევფიკ რუშდი-ბეი ინიშნება ელჩად მოსკოვში, ხოლო ეხლანდელ ელჩის მოსკოვში ზეკია-ბეის ქალაქ უფიდან წარმომადგენლად ასახელებენ ნაციონალურ კრებაში.

ეგვიპტის პარლამენტის გახსნა

ადლი-ფაშას განცხადება

ლონდონი, 11 ივნისი. ქაირიდან მიღებული ცნობით, გუშინ მოხდა ეგვიპტის პარლამენტის გახსნა. ახალმა პრემიერმა **ადლი-ფაშამ** გამოაქვეყნა მეფის სიტყვა, რომელშიაც ნათქვამია, რომ მთავრობა განსაკუთრებით ცდილობს მეგობრული ურთიერთობა დაამყაროს ინგლისთან ეგვიპტის დამოუკიდებლობის საფუძველზე. სიტყვაში აღნიშნულია აგრეთვე, რომ სუდანში გატარებულმა ღონისძიებებმა არ უნდა შელახოს ეგვიპტის კანონიერი უფლებები და რომ მთავრობა გააკეთებს ყველაფერს, რათა დამაკმაყოფილებლად იქნეს საკითხი გადაჭრილი.

საქართველოს ცაკის სესია სოხუმში

სესიის გახსნის წინ

სოხუმი ემზადება

სოხუმი, 11 ივნისი. აფხაზეთის მშრომელნი ემზადებიან სესიის საზეიმოთ შესახვედრათ. განზრახულია დემონსტრაციო მოწყობა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ სოხუმის ყველა პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

პროფსაბჭომ დაადგინა მოიწვიოს პროფკავშირთა საერთო საქალაქო კრება, რომელზედაც გამოვლენ სესიის წევრები.

სესიის წევრები სოხუმში ჩამოვლენ 11 ივნისს გემზე „სევასტოპოლ"-ით, რომელიც სპეციალურად ამისათვის გამოვიდა ბათომიდან.

გუშინ სესიაზე ჩამოვიდა ამხ. კახიანი.

დელეგატებს ეგებებიან

სოხუმი, 11 ივნისი. ქალაქმა სადღესასწაულო ხასიათი მიიღო. მოსახლეობა მოუთმენლად მოელის დელეგატების ჩამოსვლას. ათასი დროშებით მორთული ნაპირი გაჭედილია ხალხით. პროფორგანიზაციების წევრები თავს იყრიან სასახლესთან და იქიდან მიემართებიან ნავთსადგურისაკენ.

ცაკის წევრების მოსვლა სოხუმში

სოხუმი, 11 ივნისი. დღეს, დილის 4 საათზე გემ „სევასტოპოლი"-თ ჩამოვიდენ საქართველოს ცაკის წევრები. საზეიმო შეხვედრაში, რომელიც ცაკის წევრების ჩამოსვლის გამო მოეწყო მონაწილეობა მიიღეს გლეხებმა, აფხაზეთის ცაკის წევრებმა და ქალაქის პროფორგანიზაციებმა.

აფხაზეთისათვის ისტორიულ დღეს, სოხუმი საზეიმოთ მოირთო. შენობები მორთულია წითელი დროშებით. ქალაქში განუწყვეტლივ უკრავს სამხედრო ორკესტრი. სანაპირო ქუჩა გავსილია ხალხით. სამ საათზე ჰორიზონტზე გამოჩნდა „სევასტოპოლ"-ი. სტუმრების შესახვედრათ კატერ „სოკოლი"-თ გაემგზავრენ აფხაზეთის მთავრობის წევრები. შეხვედრა ზღვაზე ხდება. მახარაძე სდგას გემზე, აქნევს ცხვირსახოცს და იძახი: „გაუმარჯოს აფხაზეთის მშრომელთ". კატერიდან უშვებენ მაშხალებს. გემი და კატერი ნელ-ნელა უახლოვდებიან ნაპირს. აფხაზეთის მშრომელები განუწყვეტელი ვაშას ძახილით ხვდებიან სტუმრებს. ორკესტრი უკრავს ინტერნაციონალს. პროფკავშირები ჩამწკრივებული არიან ორ წყებათ. ცაკის წევრებმა ჩამოიარეს ჩამწკრივებული წევრები და მიესალმენ მათ.

საუბარი ამხ. გეგეჭკორთან

სოხუმი, 11 ივნისი. ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან საუბარში ამხ. გეგეჭკორმა განაცხადა:

„საქართველოს ცაკის სესიის მოწვევა სოხუმში მოწმობს, რომ ჩვენს ოჯახში სრულუფლებიანი წევრია მუშურ-გლეხური აფხაზეთი—მეფის რეჟიმის და მენშევიკების „დემოკრატიული ხელისუფლების" ეს „გერი".

როგორც დიდ საბჭოთა ფედერაციაში არ არსებობს განსხვავება უკრაინელებსა და ბელორუსებს შორის, ისე საბჭოთა საქართველოში არ არსებობს „გაბატონებული ერი", არ არსებობს „ცენტრი" და „განაპირა ადგილები".

მორიგი სესია სოხუმში არის გამომხატველი იმ ძმური კავშირის, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დროს დამყარდა საქართველოსა და აფხაზეთს შორის. საქართველოს ხელისუფლების უზენაესი ორგანო სხდომებს მართავს აფხაზეთის დედა ქალაქში. სოხუმში მიღებული საკანონმდებლო აქტებს სავალდებულო ძალა ექნება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

თუ წინად აფხაზეთი იძულებული იყო შეესრულებია „ცენტრიდან" გამოგზავნილი განკარგულებები, დღეს აქედან, როგორც ცენტრიდან, საქართველოს ბატონ-პატრონი, მისი უზენაესი ორგანო უკარნახებს მთელ რესპუბლიკას თავის სურვილს და გადაწყვეტილებებს.

სესიის დღის წესრიგი ყურადღებას იპყრობს განსახილველი საკითხების მნიშვნელოვანობით. დღის წესრიგში სდგას კონსტიტუციის პროექტი, რომელმაც უნდა გამოხატოს ყველა ის ცვლილებები, რომელიც შეიქვს ჩვენს სახელმწიფო სტრუქტურაში საბჭოთა კავშირის და ა.-კ. ფედერაციის არსებობას".

საუბარი ამხ. მათიკაშვილთან

სოხუმი, 11 ივნისი. ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან საუბრის დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. **მათიკაშვილმა** სამაზრო აღმასკომის ახალი დებულების შესახებ განაცხადა:

„ახალი დებულების პროექტით გათვალისწინებულია შექმნა განსაკუთრებული აპარატის, რომელიც უხელმძღვანელებს საბჭოთა ორგანოების მუშაობას მაზრაში. სამაზრო აღმასკომებთან არსებული საერთო განყოფილება, რომლის კომპეტენციაში შედიოდა სოც. უზრუნველყოფის, ჯანმრთელობისა და განათლების საკითხები, უსიცოცხლო აღმოჩნდა. ახალი პროექტით გათვალისწინებულია ყველა ამ ფუნქციების სასტიკათ გამიჯვნა სამაზრო აღმასკომებთან სათანადო განყოფილებების დაარსებით".

შეეხო რა საბჭოების ხელახალი არჩევნების შედეგებს, ამხ. **მათიკაშვილმა** სთქვა:

„ჩვენ ღრმა კმაყოფილების გრძნობით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ახლახან ჩატარებულმა არჩევნებმა ცხადჰყო საბჭოების მუშაობისადმი ინტერესის გაძლიერება და გლეხობის აქტივობის ზრდა. თუ წინად არჩევნებში მონაწილეობას იღებდა გლეხობის 45%, ეხლა ეს პროცენტი 56-მდი გაიზარდა. ყველაფერი ეს იმის დამამტკიცებელია, რომ საქართველოს და მასში შემავალ რესპუბლიკების გლეხობაში ინტერესი საბჭოთა აღმშენებლობისადმი დღითი დღე იზრდება".

საუბარი ამხ. ჩანბასთან

სოხუმი, 11 ივნისი. აფხაზეთის ცაკის თავმჯდომარემ ამხ. **ჩანბამ** ა.-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან საუბრის დროს განაცხადა:

„სესიის დღის წესრიგში მდგომ საკითხებიდან, აფხაზეთისათვის ყველაზე საინტერესოა აფხაზეთისა და საქართველოს მთავრობების მოხსენება და კონსტიტუციის ჩამოყალიბება.

ორი მთავრობის ანგარიშის მიხედვით საქართველოს და აფხაზეთის მშრომელნი ჯამს გაუკეთებენ ორი ძმური რესპუბლიკის 5 წლის მუშაობის შედეგებს. სესიის მუშაობას თვალყურს ადევნებს არა მარტო საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელი მასა, არამედ კაპიტალისტური სამყაროც. უკანასკნელი ერთხელ კიდევ დარწმუნდება, რომ ამიერ-კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დასუსტების და დაშლის იმედი უნაყოფოა.

აფხაზეთი—დიდი შესაძლებლობათა რესპუბლიკაა. ხოდორის მაზრაში სოციალისტური წერაქვის დაკვრას მოელის მრავალი ასეული მილიონი ფუთი ტყვარჩელის ქვანახშირისა. აფხაზეთის მშრომელთა წინაშე უდიდესი ამოცანებია დასმული და ძალებს მათ განსახორციელებლათ იგი ჰპოვებს ძმურ რესპუბლიკებთან თანამშრომლობაში".

სესიის გახსნა

პირველი საზეიმო სხდომა

სოხუმი, 11 ივნისი. საქართველოს ცაკის მესამე სესიის საზეიმო სხდომა გახსნა ამხ. **მახარაძემ**. ამხ. მახარაძემ თავის სიტყვაში სთქვა:

„საქართველოს ცაკის ამ სესიის სხდომები საბჭოთა აფხაზეთის დედა-ქალაქ სოხუმში ხდება. ამ გარემოებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც საქართველოს, ისე აფხაზეთის ხალხისათვის.

რისთვის შევიკრიბეთ ჩვენ აქ საქართველოს ყველა კუთხიდან? იმისთვის, რომ კიდევ უფრო ახლო გავეცნოთ აფხაზეთის მშრომელთ და უფრო მჭიდროთ დაუკავშირდეთ ერთმანეთს!

აფხაზეთი საუცხოვო მხარეა, მშვენიერი კუთხე, იშვიათი არა მარტო საქართველოს და ამიერ-კავკასიის ფარგლებში, არამედ მთელ ჩვენს საბჭოთა კავშირში. აფხაზეთი—ეს ის ხალხია, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში იტანჯებოდა მეფეების, თავადებისა და აგრეთვე მტრებისაგან. ჯერ კიდევ უძველეს დროიდან ბერძნები და რომაელები, საშუალო საუკუნოებში თურქები და სხვა ევროპიელი მტაცებლები მოდიოდენ აქ, რომ შეევიწროვებინათ და გაეძარცვათ მკვიდრი მცხოვრებნი. ყოველივე ამის შედეგათ აფხაზეთის ხალხი ეხლა ძალიან ჩამორჩენილია ეკონომიურად და კულტურულად.

ამ ჟამად, საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა საზოგადოთ და კერძოთ საბჭოთა საქართველოს პოლიტიკა მდგომარეობს იმაში, რომ მოსპოს ეს უთანასწორობა".

შემდეგ, შეეხო რა საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობას, ორატორმა სთქვა:

„არსებითად აქ არაა ცვლილება, მაგრამ თვით ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში და მათ ურთიერთ დამოკიდებულებაში უკანასკნელ ხანებში მოხდა საკმაოდ სერიოზული ცვლილებანი. გაფიცვათა მთელი რიგი, რომლებსაც ადგილი აქვს ევროპის ყველა სახელმწიფოებში, უმთავრესად, ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში, პოლონეთში და ამერიკაში, მოწმობს იმას, რომ იმპერიალიზმი სასიკვდილოდაა ავად. მის წიაღში მწიფდება ისეთი რამ, რასაც ყოველ წუთში შეუძლია კატასტროფის გამოწვევა.

განსაკუთრებით დამახასიათებელია უკანასკნელი საყოველთაო გაფიცვა ინგლისში. საგაფიცვო მოძრაობა ყველა ქვეყნებში იზრდება. კომპარტიის გავლენა ყველგან ძლიერდება, მიუხედავად იმ დრაკონურ ზომებისა, რომლებსაც კომუნისტებს წინააღმდეგ მიმართავენ. ამ ჟამად ჩვენი შინაური მდგომარეობა მეტად მტკიცეა. ჩვენ მივაღწიეთ ომის წინადროის ხანის დონეს როგორც სასოფლო-მეურნეობაში, ისე საქალაქო მრეწველობაში, ყოველ შემთხვევაში 95%-ით.

ეხლა ჩვენ ვდგევართ ახალი, სერიოზული და რთული ამოცანის წინაშე: ჩვენ უნდა გადავახალისოთ მთელი მრეწველობა. ჩვენ უნდა მოვაწყოთ მრეწველობა ისე, რომ წარმოების ყველა საშუალებები ქვეყნის შიგნით დავამზადოთ".

შემდეგ ამხ. მახარაძე აღნიშნავს, რა ზოგიერთ დეფექტებს ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში, ამბობს:

„ეხლანდელი მდგომარეობა, წინანდელთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესდა. არსებული ნაკლისა და შეცდომების მიუხედავათ, ჩვენ მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ დიდი წარმატება გვაქვს აღმშენებლობის ყოველ დარგში.

სასოფლო მეურნეობა ვითარდება, მრეწველობა იზრდება, ამასთანავე ერთად საფუძველი ეყრება ახალ მრეწველობას, რომელიც ჩვენ დღემდის არ გვქონდა".

ამთავრებს რა თავის სიტყვას, ორატორი ამბობს: „თუ ჩვენ გავითვალისწინებთ ყველა შეცდომებს, თუ წავალთ იმ გზით, რომელიც ავირჩიეთ რამოდენიმე წლის წინ, გამარჯვება უზრუნველყოფილია".

(ხანგრძლივი, მხურვალე ტაში).

ამხ. ალამალი-ოღლის სიტყვა

შემდეგ სიტყვა მისალმებისათვის მიეცა ამიერ-კავკასიის ცაკის თავმჯდომარეს ამხ. ალამალი-ოღლის, რომელიც ამბობს:

„ამხანაგებო, ამიერ-კავკასიის ცაკის სახელით გულწრფელად მივესალმები საქართველოს ცაკის სესიის გახსნას აფხაზეთის დედა-ქალაქში (მხურვალე ტაში).

იყო დრო, შავბნელი მეფის დრო, როცა პროფესორებსა და მოხელეებს სწამდათ, რომ თითქოს მათ აღმოსავლეთში ისტორიული მისია ჰქონდათ დაკისრებული. უბრალო ენაზე რომ გადმოვთარგმნოთ ეგრედ წოდებული „ისტორიული მისია", ის შემდეგს ნიშნავდა: ჩვენ უნდა წავიდეთ აღმოსავლეთში, გავძარცვოთ ის, წავართვათ მონები, დავჩაგროთ და დავიმონოთ ხალხები.

მაგრამ მოვიდა ოქტომბრის რევოლიუცია, რომელმაც ნაფოტსავით გადაისროლა შორს მჩაგვრელები და დასახა თავისი ისტორიული ამოცანები.

ერთ-ერთი ისტორიული ამოცანა—ხალხთა განთავისუფლება, ერთი ერის მიერ მეორეს ჩაგვრის მოსპობა დედამიწაზე, თავისუფალ ხალხთა კავშირის დაწესება.

აი, სწორედ ეხლა, აქ ვხედავთ ჩვენ თავისუფალ კავშირის მაგალითს.

გაუმარჯოს ხალხთა ერთობას!

გაუმარჯოს დიდ რევოლიუციას, რომელიც გაანადგურებს ყველაფერს ძველს და შექმნის ახალს!

გაუმარჯოს ჩვენს დიად კავშირს!

(მხურვალე ტაში).

აფხაზეთის ცაკის თავმჯდომარის ჩანბას სიტყვა

მისალმებისათვის სიტყვა ეძლევა აფხაზეთის ცაკის თავმჯდომარეს, ჩანბას, რომელიც ამბობს:

„საბჭოთა აფხაზეთის მშრომელთა სახელით მხურვალედ მივესალმები საქართველოს ცაკის მესამე სესიას, რომელიც აფხაზეთში შეიკრიბა (მხურვალე ევლოდისმენტი).

დღევანდელი დღე სიხარულის დღეა აფხაზეთის მშრომელთათვის. დღეს აფხაზეთის მშრომელნი მიესალმებიან მოძმე რესპუბლიკების საუკეთესო წარმომადგენლებს. საქართველოს ცაკის სესიის აფხაზეთში გახსნას უდიდესი აზრი და მნიშვნელობა აქვს აფხაზეთის მშრომელთა ცხოვრებაში. საქ. ცაკის სესია ხელს შეუწყობს აფხაზეთსა და საქართველოს მშრომელთა შეკავშირებას, რომლებიც წარსულ ისტორიულ დროშიაც ერთის ცხოვრებით ცხოვრობდენ.

როგორი სურვილიც არ უნდა ჰქონდეთ ჩვენს მტრებს, რომ ეს ასე არ მოხდეს, ჩვენ მაინც ძმურ სოლიდარობისა და მჭიდრო თანამშრომლობის ნიადაგზე ვიცხოვრებთ ერთად. მხოლოდ საბჭოთა კავშირმა შესძლო ეროვნული საკითხის სწორად გადაწყვეტა.

საქართველოს მრავალეროვან რესპუბლიკაში მენშევიკები უძლურნი იყვენ დაემყარებინათ ეროვნული მშვიდობიანობა და ხალხთა შორის თანამშრომლობა, პირიქით, თავიანთი შოვინისტური პოლიტიკით ეროვნული შუღლის ცეცხლი დაანთეს. მხოლოდ საბჭოთა კავშირმა სავსებით უზრუნველჰყო ეროვნული მშვიდობიანობა და ძმობა ხალხთა შორის. არავის არასოდეს არ შეეძლება ძირი გამოუთხაროს ამ ეროვნულ მშვიდობიანობას. ჩვენ შევსძლებთ აღვგავოთ ყველა ის, ვინც განიზრახავს ჩვენი ხალხის სურვილის წინააღმდეგ მშვიდობიანობისა და ძმურად ცხოვრების წინააღმდეგ იმოქმედოს.

დასმული საკითხების სწორად გადაწყვეტას უდიდესი მნიშვნელობა ექნება მთელი საქართველოს რესპუბლიკისათვის და კერძოთ აფხაზეთისათვის.

გაუმარჯოს ყველა ერების ძმობას (მხურვალე ტაში. ორკესტრი ასრულებს „ინტერნაციონალს").

სიგვიანის გამო მისასალმებელი სიტყვები ხვალ საღამოს სხდომისათვის გადაიდო.

დასასრულ სესიამ დაამტკიცა დღის წესრიგი, რის შემდეგაც სხდომა დაიხურა.

ამხ. სტალინი ქუთაისში

ქუთაისი, 11 ივნისი. **11 საათზე საგანგებო მატარებლით ჩამოვიდა ამხ. სტალინი. მასთან ერთად ჩამოვიდენ: ამხ. მიკოიანი, ორჯონიკიძე, გოგობერიძე, პავლუნოვსკი, ბერია და ტოროშელიძე.** სადგურზე მათ შეხვდენ აღმასკომის, სამაზრო კომიტეტის, პროფესიონალური და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლები. იმავე დღის სტუმრები გაემგზავრენ შოვის აგარაკზე.

ზინოვიევის „ახალ წერილს" ამზადებენ

ლონდონი, 10 ივნისი. „დეილი-ჰერალდის" დიპლომატიური კორესპონდენტი გაკვრით ლაპარაკობს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ანაზდეულად რაღაც „ყუმბარის გასკდომას" შესაძლებლობის შესახებ. ეს ახალი „ყუმბარა" „ზინოვიევის წერილის" მსგავსი რამ უნდა იყოს. „ჩვენ უნდა ვიცოდეთ, სწერს კორესპონდენტი, რომ ყუმბარა შესაძლოა ყოველ წუთში გასკდეს".

იმპერიალისტები კოლონიებში

„რესპუბლიკა"—საფრანგეთის ნებართვით

ანგორა, 10 ივნისი. ლივანი რესპუბლიკად გამოცხადდა. ლივანის კონსტიტუციაში არის მუხლები, რომელიც საფრანგეთის ბატონობას აკანონებს ლივანში. მიუხედავად ლივანის „დამოუკიდებლობის" გამოცხადებისა, აჯანყებულთა მოძრაობა არ ცხრება. ქვეყნის ყოველ კუთხეში, განსაკუთრებით ბეკის რაიონში, განუწყვეტლივ შეტაკებები ხდება აჯანყებულებსა და საფრანგეთის ჯარებს შორის.

საფრანგეთის „სამშვიდობო" პირობები

ანგორა, 10 ივნისი. საფრანგეთის ჯარების სარდალმა ჯებელ-დრუზში გენერალმა ანდრემ შემდეგი სამშვიდობო პირობები გამოაქვეყნა:

დრუზებმა კონტრიბუციის სახით უნდა გადაიხადონ 20.000 ოსმალური ოქროს ლირა, ჩააბარონ ხელისუფლებას 6.000 შაშხანა თოფი, 300 ბომბა, აანაზღაურონ ხარჯები სუეიდის სიმაგრის აღსადგენად, რომელიც აჯანყებულებმა დაანგრიეს.

საფრანგეთში

იმპორტის შემცირება

პარიზი, 11 ივნისი. იმპორტის შემმცირებელმა კომისიამ გადასწყვიტა დაწესებულ იქნეს კონტროლი ფართე მოხმარების პროდუქტების იმპორტზე.

ტანჟერი

პარიზი, 11 ივნისი. ტანჟერიდან მიღებული ცნობით, საკანონმდებლო კრებამ გააუქმა სანაპირო რაზმი ტანჟერისა და ესპანეთის ზონას შორის.

ოსმალეთი და საფრანგეთი

პარიზი, 11 ივნისი. ანგორიდან ჩამოვიდა ალბერ სარო, რომელმაც განაცხადა, რომ ამ ჟამად ოსმალეთის მთავრობა „ანხორციელებს დასავლეთ ცივილიზაციასთან დაახლოების საინტერესო ამოცანას".

ოსმალეთს ესმის, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება მისთვის საფრანგეთთან ფართე ეკონომიური ურთი-ერთობის დამყარებას.

მიულოცეს

პარიზი, 11 ივნისი. დე ჟუვენელმა დეპუტატთა პალატის გარეშე საქმეთა კომისიაში გააკეთა მოხსენება სირიის აღორძინებისათვის მიღებულ ღონისძიებების შესახებ. კომისიამ ერთხმად მიულოცა დე ჟუვენელს ნაყოფიერი მუშაობა.

უკანასკნელი ცნობები

ყოფილ თავადთათვის ასანაზღაურებელ ჯილდოს მიცემის საკითხი

ბერლინი, 10 ივნისი. გერმანიის მთავრობა 10 ივნისს რეიხსტაგში შეიტანს კანონპროექტს ყოფილ საგვარეულო ქონების მფლობელთათვის ქონების ღირებულების ანაზღაურების შესახებ, რომელიც პირველი წაკითხვის შემდეგ გადაეცემა რეიხსტაგის იურიდიულ კომისიას და ხელმეორედ განიხილება მხოლოდ სახალხო კენჭის ყრის შემდეგ. მთავრობა შეიტანს რეიხსტაგში განსახილველად აგრეთვე გერმანია-საბჭოთა ხელშეკრულებას ნეიტრალიტეტის შესახებ.

პარიზი—ტოკიო

პარიზი, 10 ივნისი. დღეს დილის 9 საათზე პელლეტე დუაზიმ დაიწყო თავისი საჰაერო გადაფრენა პარიზი-ტოკიო.

საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს პლენუმის დახურვა.

მოსკოვი, 11 ივნისი. 11 ივნისს, საღამოთი დაიხურა საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს პლენუმი. უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ და მიღებულ იქნა რეზოლიუციები დღის წესრიგში დასმულ ყველა საკითხების შესახებ.

საკავშირო ს. ს. რ—ის პროფკავშირთა მე-7 ყრილობის დღედ პლენუმმა 7 დეკემბერი დანიშნა.

უმუშევართა დელეგაცია პოლონეთის სეიმში

ვარშავა, 10 ივნისი. სეიმში მივიდა გადასცა მთავრობას მემორანდუმი უმუ- დომბროვის რაიონის და ზემო სილეზიის შევართა მდგომარეობის შესახებ. მემორანდუმში აღნიშნულია, რომ დომბროვის რაიონში და ზემო სილეზიის პოლონურ ნაწილში 120.000 უმუშევარია. დახმარებას მხოლოდ ამ რიცხვის ნახევარი ღებულობს, ისიც ძალიან მცირე რაოდენობით.

დიქტატურის გზაზე

ვარშავა, 10 ივნისი. პეპეესოვლების ორგანო „რაბოტნიკი" მოწინავე წერილში ილაშქრებს პოლონეთის სახელმწიფოებრივი აპარატის ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ და აღნიშნავს, რომ ბიუროკრატიზმი სახელმწიფოს აბსოლიუტიზმამდე მიიყვანს. „რაბოტნიკი" წინააღმდეგია აგრეთვე საპარლამენტო რეჟიმის დარღვევისა და საარჩევნო უფლების შეცვლისა. ეხლანდელი სეიმი უნდა იქნეს დათხოვნილი, მაგრამ სეიმით უკმაყოფილება საზოგადოთ პარლამენტარიზმის წინააღმდეგ არ უნდა იქნას გადატანილი.

ზარალი გაფიცვის გამო

ბერლინი, 10 ივნისი. რკინის, სანახშირო და აღმშენებლობის მრეწველობაში ეხლახან დამთავრებულ გაფიცვით გამოწვეული ზარალი 40 მილიონ კრონამდე აღწევს.

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლის განცხადება

ლონდონი, 9 ივნისი. საბჭოთა კავშირის საქმეების რწმუნებულებმა ლონდონის პრესაში გამოაქვეყნეს შემდეგი წერილი:

„შინაგან საქმეთა მინისტრი, თემთა პალატაში გუშინ წარმოთქმულ სიტყვაში, საბჭოთა მთავრობას სდებდა ბრალს იმაში, რომ იგი საყოველთაო გაფიცვის ხელის შეწყობის მიზნით ფულს გზავნიდა ინგლისში. მე ვიმეორებ ჩემს წინანდელ განცხადებას ამ საკითხის შესახებ და კვლავ კატეგორიულად ვაცხადებ, რომ საბჭოთა მთავრობას არასდროს არ გამოუგზავნია ფული ინგლისის გაფიცულ მუშათა ფონდისთვის.

კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და ნავთი.

ლონდონი, 10 ივნისი. „დეილი ჰერალდი" აღნიშნავს, რომ კამპანია, რომელიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დაიწყო, დაკავშირებულია საბჭოთა ნავთის საკითხთან. ასე, მაგალითად, „დეილი მეილ"-ში გამოქვეყნებულია პარლამენტის წევრის გრახან დოილის განცხადება, რომელშიაც ის მოითხოვს ინგლისიდან ყველა საბჭოთა ორგანიზაციების გაძევებას.

გრახან-დოილი იმ კამპანიის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო, რომელიც სწარმოებდა რამოდენიმე თვის წინეთ საბჭოთა ნავთის წინააღმდეგ.

პილსუდსკის პირობები.

ვარშავა, 10 ივნისი. ბარტელმა წინადადება მისცა პილსუდსკის დაიჭიროს სამხედრო მინისტრის თანამდებობა. პილსუდსკიმ წამოაყენა შემდეგი პირობები: არმიის მმართველობა უნდა იყოს ერთი პირის ხელში; სამხედრო მინისტრი პასუხს აგებს მხოლოდ პრეზიდენტის წინაშე; აღდგენილ უნდა იქნეს პილსუდსკის დეკრეტი, რომელიც მან 1921 წელს გამოსცა უზენაესი სარდლობის ორგანიზაციის შესახებ.

პილსუდსკის პირობები მიღებულ იქნა.

ახალ სიყალბის ჩადენის წინ

ლონდონი, 10 ივნისი. შინაგან საქმეთა მინისტრმა ხიქსმა, თემთა პალატაში განაცხადა, რომ ინგლისის კომპარტიის ბინის გაჩხრეკის დროს აღმოჩენილი საბუთების ასლი გადაეცა განსახილველად საგარეო საქმეთა მინისტრს.

„დეილი-მეილ"-ი იუწყება, რომ მთავრობის მიერ ამის გამო დანიშნულია კომისია, რომელშიაც სასამართლოს წარმომადგენლებიც შედიან.

კომუნისტური გაზეთი „უორკერს უიკლი" აცხადებს, რომ ახლო ხანში მოსალოდნელია ახალი ყალბი საბუთის გამოქვეყნება, რომელსაც მთავრობა გამოიყენებს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შესაწყვეტად.

ბირკენხედის გამოსვლა

ლონდონი, 10 ივნისი. საიმპერიო საკავშირო საბჭოში საუზმეზე ბირკენხედი გამოვიდა სიტყვით, რომელშიაც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გაილაშქრა. იგი სცდილობდა ჩირქი მოეცხო საბჭოთა კავშირისათვის საბჭოთა პროფკავშირების მიერ ინგლისის მემაღაროეებისადმი აღმოჩენილ დახმარების გამო და ეს დახმარება გამოეყვანა ისე, როგორც საბჭოთა მთავრობის შეთქმულება ინგლისის წინააღმდეგ.

კუკმა ბირკენხედის სიტყვის გამო განაცხადა:—„გაფიცულთათვის სულ ერთია გამოიგზავნება ფული საბჭოთა კავშირიდან, ამერიკიდან თუ გერმანიიდან. თუ კი ლაპარაკი შეიძლება შეთქმულების შესახებ, უნდა ვილაპარაკოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომელსაც, როგორც ეხლა გამოირკვა, ბირკენხედი უჭერს მხარს და, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ აიძულოს ინგლისის მემაღაროენი მორჩილება განაცხადონ. გამოგზავნილ ფულს მიზნად აქვს მუშათა ცოლშვილის გადარჩენა სიმშილით სიკვდილისაგან".

ჯონსონ ხიქსის განცხადება

ლონდონი, 10 ივნისი. უპასუხა რა შეკითხვაზე თემთა პალატაში, შინაგან საქმეთა მინისტრმა ხიქსმა განაცხადა, რომ კომუნისტების მოქმედებას ინგლისში, როგორც უცხოელების, ისე ინგლისელების, სათანადო ყურადღება ექცევა და იგი ბრძანებას იძლევა კიდეც უცხოელთა გადასახლების შესახებ. აუცილებელ შემთხვევაში.

შემდეგ ხიქსმა სთქვა:—„მთავრობამ იცის, რომ საბჭოთა კავშირიდან გამოგზავნილი იყო თანხა, რომლის განუსაზღვრელ ნაწილს საბჭოთა მთავრობა გზავნიდა საყოველთაო გაფიცვის მოხდენის მიზნით. ეხლა ფული იგზავნება სხვადასხვა ორგანიზაციებიდან მაღაროს გაფიცულ მუშებისათვის. მაგრამ დღემდე არაა გამოირკვეული, რომ ფული უშუალოდ საბჭოთა მთავრობიდან იყო გაგზავნილი. მთავრობას ჯერ არ გადაუწყვეტია, როგორ მოიქცეს იმ ფულის მიღების გამო, რომელიც გამოგზავნილი იყო საყოველთაო გაფიცვის ხელის შესაწყობად და იმ ფულის, რომელიც გაფიცულ მემაღაროეთა დასახმარებლად იყო გაგზავნილი. მე იმედი მაქვს, რომ სწორედ ერთი კვირის შემდეგ შევძლებ სავსებით ამომწურავი განცხადება გავაკეთო.

მთავრობა მონარქიის სადარაჯოზე

ბერლინი, 10 ივნისი. 10 ივნისს რეიხსტაგის სხდომაზე ცხარე კამათი გამოიწვია სახელმწიფო ახალი დებულების განხილვამ, რომელიც ყოფილ სამეფო საგვარეულო ქონების ჩამორთმევის საკითხს ეხება. აღძრულია საკითხი ამ დღეებში გამოაქვეყნონ ლებესადმი მოწერილი ჰინდენბურგის „კერძო" წერილი.

რეიხსკანცლერმა მარქსმა, როცა ის განმარტავდა მთავრობის ახალ საკომპრომისო წინადადების მოტივებს, ხაზი გაუსვა იმას, რომ საგვარეულო ქონების უფასოდ ჩამორთმევა, უფლებრივ სახელმწიფოს ძირითად საფუძვლებს ეწინააღმდეგება.

სოციალ-დემოკრატმა ჰერმან მიულერმა პროტესტი განაცხადა სოციალ-დემოკრატიულ პარტიის სახელით ჰინდენბურგის ლებესადმი მოწერილი წერილის გამოქვეყნების წინააღმდეგ, ვინაიდან, ამის გამო ჰინდენბურგი გადაუხვევს იმ პოზიციას, რომელიც კონსტიტუციის თანახმად, უნდა დაიცვას პრეზიდენტმა ასეთ საკითხებში.

უპასუხა რა მიულერს, მარქსმა აღნიშნა, რომ ჰინდენბურგის წერილი კერძო საქმეა. ამასთან ერთად მარქსმა ხაზი გაუსვა იმას, რომ გერმანიის მთავრობა სავსებით იზიარებს ჰინდენბურგის თვალსაზრისს და ქონების კონფისკაციის კანონის საწინააღმდეგო აქტად სთვლის.

მთავრობის განცხადებამ მწვავე კამათი და დიდი მღელვარება გამოიწვია რეიხსტაგში.

ჰინდენბურგის საქციელის სასტიკი კრიტიკით გამოვიდა კომუნისტი **ნეიბაუერი.**

კომუნისტების მიერ შეტანილ მთავრობისადმი უნდობლობის ვოტუმის განხილვა 11 ივნისისათვის გადაიდო, სოციალ-დემოკრატების მხრივ წინააღმდეგობის გამო.

ამის შემდეგ რეიხსტაგი შეუდგა საბჭოთა გერმანიის ნეიტრალიტეტის შესახებ ხელშეკრულების განხილვას.

შეკრულების განხილვის შესახებ.

პარტიული ცხოვრება

ახალციხის სამაზრო კომიტეტის პლენუმი

28 და 29 მაისს ჩატარდა სამაზრო პარტიული კომიტეტის გაფართოვებული პლენუმი.

პლენუმის დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები:

1. პრეზიდიუმის ანგარიში ნახევარი წლის მუშაობის შესახებ, 2. ცენტრალური კომიტეტის და საკონტროლო კომისიის ცირკულიარის განხილვა, მომჭირნეობის შესახებ, 3. მოხსენება საკავშირო კომპარტიის ცკას აპრილის პლენუმის შედეგებზე, 4. მოხსენება ამიერ-კავკასიის გაფართოებული პარტიული თათბირის შედეგებზე, 5. მიმდინარე კითხვები.

პრეზიდიუმის საანგარიშო მუშაობა შეეხებოდა პერიოდს 1925 წლის 23 ნოემბრიდან 1926 წლის 23 მაისამდი.

კომიტეტის პ. მ. მდივნის მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიდაც მონაწილეობა მიიღო პლენუმის უმრავლესობამ. ყველა საქმიანი თვალსაზრისით უდგებოდა საკითხს, აღნიშნავდენ მიღწევებს და მიუთითებდენ მასზე, რის გაკეთებაც ჯერ ვერ მოასწრო მაზრკომმა.

კამათის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომლითაც პრეზიდიუმის მუშაობა ცნობილია ფრიად დამაკმაყოფილებლად.

მიღწევათა შორის აღნიშნულია:

1) ორგანიზაციის მთლიანობა, ჯგუფობრიობის და კინკლაობის აღმოფხვრა, 2) ნაციონალიზმთან ბრძოლაში სწორი ხაზის აღება,

3) კომუჯრედების გეგმიან მუშაობაზე გადასვლა, მათი მუშაობის შინაარსის გაუმჯობესება და კომუჯრედების დაახლოება მასასთან, მათი რეორგანიზაციით და უჯრედების საწარმოო პრინციპის მიხედვით შექმნით, 4) სწორი და მუდმივი ხელმძღვანელობა. კომკავშირზე და სამხედრო უჯრედებზე, 5) საბჭოთა აპარატის გაუმჯობესება, 6) საბჭოთა არჩევნებში გლეხების ფართო მასების მონაწილეობა და მათი აქტივობა, 7) კონტრაბანდის შემცირება, სათანადო კამპანიების ჩატარების და ადმინისტრატიული ზომების მიღებით, 8) კოოპერაციის ზედნადები ხარჯების შემოკლება და უკანასკნელ თვეებში წევრთა რიცხობრივი ზრდა და სხვა.

პლენუმმა დაავალა პრეზიდიუმს, რათა 1) გაძლიერებული იქნას მუშაობა პროფკავშირებში, განსაკუთრებით მიწატყის კავშირში.

2) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების თანახმად საჩქაროდ გადათვალიერებული იქნას სოფლის უჯრედების სოციალური შემადგენლობა.

3) მიქცეულ იქნას თემსაბჭოების მუშაობის გაუმჯობესება, გაფართოებულ და გაღრმავებულ იქნას სექციების მუშაობა.

4) ყველა დაწესებულებებში გატარებული იქნას სასტიკი მომჭირნეობა.

5) გლეხკომების რიცხვი იქნას შემცირებული და კომიტეტების გადარჩევის დროს ამ კამპანიას მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება წინასწარ ყველა თემებში მოწვეულ იქნას ღარიბ გლეხობის თათბირი.

6) გაჯანსაღებულ და გამოცხოველებულ იქნას კოოპერატივების სარევიზიო კომისიების მუშაობა და სხვა.

მეორე საკითხის შესახებ არჩეულ იქნა კომისია შემდეგი შემადგენლობით: პ. მუშანია, შაბანოვი, ნაზაროვი, ზისელია, ჯომარჯიძე, დუდუჩავა, სიმონიანი და სადიკოვი, რომელთაც დაევალათ გადაათვალიერონ ყველა დაწესებულებები, ხარჯების შემცირების მიზნით და პრაქტიკული წინადადებები წარმოადგინონ პრეზიდიუმში.

(ცკას პლენუმის შესახებ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ ახალციხის პარტკომი სავსებით უერთდება (ცკას პლენუმის დადგენილებებს და სამეურნეო დარგში გადადგმული ნაბიჯები მიაჩნია სავსებით სწორათ და დროულად.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი პლენუმმა მოხსნა და გადაიტანა ქალაქის ორგანიზაციის წევრთა საერთო კრებაზე.

N.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

მომჭირნეობა რკინის გზეზე

საგზაო კომიტეტი და მომჭირნეობის რეჟიმი.

ამიერ-კავკასიის რკინისგზებზე მომჭირნეობის რეჟიმის გატარებისათვის საგზაო კომიტეტი თბილისში იწვევს რკინისგზების საწარმოო კომისიების წარმომადგენელთა კონფერენციას.

ამ კონფერენციამ უნდა განიხილოს შრომის ნაყოფიერების აწევის და გზებზე რეჟიმის გატარების სფეროში საწარმოო კომისიების მუშაობის საკითხი.

საგზაო კომიტეტი შეუდგა აგრეთვე მომჭირნეობის რეჟიმის კამპანიის ჩატარებას ამიერ-კავკასიის რკინისგზელების საერთო კრებებზე. გარდა ამისა, დადგენილ იქნა სისტემატიური დახმარება გაეწიოს რკინისგზის ადმინისტრაციას ყველა იმ საკითხების მოწესრიგებაში, რომელნიც შეეხებიან მომჭირნეობის რეჟიმის გატარებას ამიერ-კავკ. რკინისგზებზე.

მომჭირნეობის რეჟიმის გამტარებელი კომისიები გზებზე.

ამიერ-კავკასიის რკინისგზათა გამგეობის დადგენილებით, მომჭირნეობის რეჟიმის გამტარებელი კომისიები დაარსებული იქნა თბილისის და ბაქოს რკინისგზის სახელოსნოებში, ყველა გზათა უბნების უფროსებთან, კავშირის და ელექტროტექნიკის უბნების განყოფილებათა უფროსებთან, კავშირის და ელექტროტექნიკის თბილისის სახელოსნოებში, გზათა უბნების და მოძრაობის განყოფილებათა უფროსებთან და თბილისის, ბათომის, ბალაჯარის და ბაქოს სადგურებში. გარდა ამისა, გამგეობამ ასეთივე კომისიები დაარსა მატერიალურ განყოფილებაში—გზათა მატერიალურ საწყობების მთავარ მაღაზიაში, თბილისში და ბაქოს მატერიალურ საწყობში. თვითეული ასეთი კომისია 5 პირისაგან შესდგება. კომისიაში აუცილებელი წევრები არიან: სამეურნეო ერთეულის ადმინისტრატორი, უჯრედის წარმომადგენელი და პროფორგანოს წარმომადგენელი; კომისიის დანარჩენ წევრებს ირჩევენ მუშები საწარმოო ეკონომიური თათბირების საშუალებით. ამ კომისიის მოვალეობას შეადგენს: საქმის ტექნიკურ გაუმჯობესება, საკრედიტო დისციპლინის გაღრმავება და განვითარება, სათბობი მასალის რაციონალური და მიზანშეწონილი ხარჯვა, ყველა სახის მუშაობის თვისების გაუმჯობესება, მივლინებების შემცირება, ზედმეტი საათების შემცირება, საკანცელარიო ხარჯების შემცირება, ანგარიშწარმოების გაუმჯობესება და მუშაობის სისწორით განაწილება.

ა/კ. რკინისგზების მუშათა და გლეხთა ინსპექციის თათბირი.

ამიერ-კავკასიის რკინისგზების მუშათა და გლეხთა ინსპექციამ ამიერ-კავკასიის რკინისგზებზე მომჭირნეობის რეჟიმის გატარების შესახებ დაადგინა:

1) გამოირკვეულ იქნეს ყველა თანხები, რომელიც ამიერ-კავკასიის რკინისგზებს ერგება სხვადასხვა პირებისა და დაწესებულებებისაგან და რომელთა მიღება რკინისგზათა სამმართველო საეჭვოთ თვლის; ასეთი თანხების ჩამოწერა მოხდეს მხოლოდ იმის შემდეგ, როცა გამოირკვევა, რომ მათი მიღება შეუძლებელია.

2) გამოირკვეულ იქნეს ყველა ის ხარჯები, რომელიც მიმდინარე წელს ვაიდო გზებმა ყოველგვარ განცხადებების დასაბეჭდათ და შესწავლილ იქნეს ეს საკითხი მომავალში ამ ხარჯების შემცირების მიზნით.

3) შემოწმებულ იქნეს, თუ რამდენად სწორათ მუშაობდა რკინისგზათა გამგეობა წარსულში და აღძრულ იქნეს საკითხი გამგეობის იმ მთავარ აგენტებისათვის, რომელნიც ჯამაგირს სპეც. განაკვეთით იღებენ, განსაკუთრებულ ჯილდოს მიცემის აკრძალვის შესახებ ისეთ სამუშაოებისათვის, როგორიცაა ხარჯთ-აღრიცხვების, ანგარიშის და გეგმების შედგენა და დამუშავება და სხვ.

4) გამოირკვეულ იქნეს მიზანშეწონილობა გადასახადიდან შემოსულ თანხების პროფტექნიკურ განათლებაზე ხარჯვის საკითხი.

5) გამოირკვეულ იქნეს ის თანხები, რომლიც დაიხარჯა 1925—26 წელს სხვადასხვა ანგარიშების და სახელმძღვანელოების გამოცემაში.

6) ეცნობოს ამიერ-კავკასიის რკინისგზების გამგეობას, რომ დაუშვებელია მრავალსიტყვიანი განკარგულებების ტელეგრაფით გაგზავნა, გარდა განსაკუთრებულ შემთხვევებისა.

7) გადაეცეს ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატს განსახილველად საკითხი ამიერ-კავკასიის რკინისგზებზე უფასო ტელეფონების რიცხვის შემცირების შესახებ.

რა მოგვცა შრომის დისციპლინის განმტკიცებამ

ს. მ. უ. ს. ტყავტრესტის პირველი ქარხნის ადმინისტრაციამ უკანასკნელ ხანებში ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა დანართი და არაწარმოებითი ხარჯების შესამცირებლად. პირველყოვლისა, შემცირებულ იქნა ცეცხლფარეშების მუშაობის ხანგრძლივობა და გაუქმებულ იქნა სამუშაოების მეორე რიგი, რაც იწვევს 736 მანეთის სათბობი მასალის და მუშა-ძალის დაზოგვას თვეში. ქარხნის სხვადასხვა განყოფილებებს შორის სამუშაოების ხელახალი განაწილების საშუალებით შესაძლებელი გახდა ზედმეტი სამუშაოების მოსპობა იმ განყოფილებათა გამოკლებით, სადაც მუშაობის ხასიათი ამის ნებას არ იძლევა. ზედმეტი სამუშაოების გაუქმება ქარხანას საშუალებას აძლევს თვეში 130 მანეთი დაზოგოს.

ქარხანამ უარი განაცხადა აგრეთვე ეტლზე, რომლის შენახვა თვეში 166 მანეთი ჯდებოდა. საზაფხულო შვებულებათა სეზონის მოახლოების გამო საჭირო იყო მიღება 30 ახალი მუშისა, რომელიც შვებულებაში წასულ მუშებს შესცვლიდენ. მაგრამ შრომის დისციპლინის განმტკიცების და აგრეთვე მომჭირნეობის რეჟიმის გატარებაში მუშების აქტიური მონაწილეობის გამო შესაძლებელი გახდა 30 მუშის ნაცვლად 10 დროებითი მუშის მიღება. ამ ღონისძიებების გატარებით წარმოებას საზაფხულო სეზონის განმავლობაში შეუძლია დაზოგოს 4.126 მანეთი.

რას მივაღწიეთ

(ტყავტრესტის ქარხნებში).

ეკონომიის რეჟიმის გამტარებელ კომისის მიერ ფეხსაცმელების ფაბრიკაში ჩატარებულია შემდეგი მუშაობა.

დამზადების განყოფილებაში შემოღებულია შრომის განაწილების ახალი სისტემა, რომელიც საგრძნობლად ამცირებს დამზადებულ საქონელზე სანარდო ფასების რაოდენობას და ამავე დროს ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას.

უკვე თვალსაჩინოა ახალი სისტემის შემოღების ნაყოფიერი შედეგები. მაგალითად, იანვარსა და თებერვალში, როდესაც ხელფასის გადახდა ხდებოდა ძველი სისტემის მიხედვით, 2.200 წყვილი ფეხსაცმელის დასამზადებლად შეფასების საშუალო ნორმის მიხედვით მუშებს მიეცათ 1.800 მანეთი, ხოლო სანარდო ფასების შემცირების შემდეგ 18.000 წყვ. ფეხსაცმელის ნარდობა დაჯდა მხოლოდ 2.000 მანეთი. ამგვარად, სანარდო ფასების ნორმა შემცირებული იქნა 25 პროცენტით, რაც თვეში, დაახლოებით, 6.500 მანეთის დაზოგვას იწვევს.

ფეხსაცმელების გამომჭრელ განყოფილებაში შემოღებულ იქნა ხელოსანთა პრემიალური დაჯილდოვება. ამ ღონისძიების შემდეგ ხელოსნები დაინტერესებული არიან ტყავი სავსებით იქნას გამოყენებული, ე. ი. ცდილობენ ტყავის ნარჩენი ნაჭრები ერთი-მეორეს გადააკერონ და მოიხმარონ ფეხსაცმელებისათვის. ამიტომ უკვე ადგილი არა აქვს ნარჩენი ნაჭრების უსარგებლოდ გადაყრას. საქონლის ამ საშუალებით დაზოგვა იძლევა თვიურად 1500—3000 მანეთის მოგებას.

მექანიკურ განყოფილებაში ყველა მანქანების რაციონალური გამოყენების საშუალებით ადგილი არა აქვს მანქანების უქმად შეჩერებას და ამაღლებულია მათი შრომის ნაყოფიერება. ცენტრალური კომისია გაეცნო ფეხსაცმელების ფაბრიკაში ჩატარებულ მუშაობას და შემდეგი მუშაობისათვის საჭიროდ დაინახა ღონისძიებების ჩატარება სამუშაო დღის სრულ დასატვირთავად და შტატების შესამცირებლად.

2.900 მან. დავზოგეთ

(აჭარისტანის ცეკავშირი).

აჭარისტანის ცეკავშირის მიერ მომჭირნეობის რეჟიმი მტკიცედ იქნა გატარებული. პირველ რიგში შემცირებულია ხარჯები შტატის შესანახად, თანხები მივლინებისათვის, ანარიცხები სხვადასხვა ქველმოქმედებისათვის და სხვა ზედმეტი ხარჯები.

მოსამსახურეთა შტატი შემცირებულ იქნა 11 კაცამდე. შეშისა და საქონლის საკვები მასალის საწყობები სრულიად დახურულ იქნა, რადგან ისინი ზარალის მეტს არაფერს იძლეოდენ. თავის სავაჭრო ოპერაციები აჭარისტანის ცეკავშირმა განსაზღვრა პირველი საჭიროების სამრეწველო საქონლის ვაჭრობით. ყველა ამ ღონისძიებების გატარებამ აჭარისტანის ცეკავშირის თვიური გასავალი 5.000 მანეთიდან 2.100 მანეთამდე შეამცირა.

პრესა მომჭირნეობის შესახებ

ფარული ჯამაგირების წინააღმდეგ

მომჭირნეობის რეჟიმი, რასაკვირველია, არ უნდა იქნას გაგებული, როგორც მუშა-მოსამსახურეთა ნივთიერ მდგომარეობის შემზღუდავი ღონისძიება, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არ უნდა ვებრძოლოთ ხელფასის ხელოვნურად გადიდებას, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ფარულად ხდება. ეს მით უფრო ასე უნდა იყვეს, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ხელფასის ამგვარი გადიდება უმეტეს შემთხვევაში ვრცელდება ისეთ მუშაკებზე, რომელნიც შედარებით უკეთ არიან ნივთიერად უზრუნველყოფილნი, ვიდრე მუშა-მოსამსახურეთა უმრავლესობა.

მოსკოვის „იზვესტია"-ში ამის საილუსტრაციოთ ვკითხულობთ შემდეგ ცნობებს:

„ფინანსთა სახალხო კომისარიატის საფინანსო-საკონტროლო სამმართველომ გზათა სახალხო კომისარიატის ოპერაციათა რევიზიის დროს ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ გზათა კომისარიატი ზოგიერთ განსაკუთრებულ შემთხვევებში ფართოდ სარგებლობს მოსამსახურეთა ჯამაგირის გადიდების უფლებით.

ასე მაგალითად, პასუხისმგებელ თანამშრომლებს საფინანსო და სახარჯთაღრიცხვო-საანგარიშო დარგიდან ეძლევათ განსაკუთრებული ჯილდო მათ პირდაპირ მოვალეობის შესრულებისათვის (ხარჯთ-აღრიცხვის და ანგარიშების შედგენა).

თანამშრომლები, რომელთა მოვალეობასაც შეადგენს შემოწმონ ტრანსპორტის სხვადასხვა ორგანოები ჩატარებულ შემოწმების შესახებ წარდგენილ მოხსენებისათვის ღებულობენ ცალკე ჯილდოს. შემდეგ ეს მოხსენებები იბეჭდება საუწყებო პრესაში და აქაც მოხსენების ავტორებს ეძლევათ ლიტერატურული ჰონორარი".

გაზეთს მოჰყავს გზათა კომისარიატის მუშაობიდან მრავალი ასეთი მაგალითები და, სხვათა შორის სწერს:

„გზათა სახალხო კომისარიატის მხოლოდ ადმინისტრატიულ სამმართველოს მიერ, ასეთ თანამშრომლებზე, რომლებიც ღებულობენ პერსონალურ ჯამაგირს, გაცემულია დამატებითი ჯილდოს სახით ხვადასხვა სამუშაოებისათვის (ხარჯთ-აღრიცხვის, ანგარიშების, მოხსენებების და სხვათა შედგენა) 59.248 მ. 74 კაპ.".

ჩვენ მეტს აღარ გავაგრძელებთ. მოყვანილი ფაქტებიც სრულიად საკმარისია, რომ აშკარა გახდეს, რამდენათ აუცილებელი და სამართლიანია ბრძოლა ასეთი სახის „ხელფასთან", რომელსაც ჩვენს სინამდვილეშიაც საკმაო ფართე ნიადაგი აქვს.

ზომები მიღებულია

(მევენახეთა ამხანაგობა „კახეთი")

გაზ. „კომუნისტ"-ის № 125-ში, მოთავსებული იყო ცნობა: „კახეთში" ყველაფერი რიგზე არაა! იმ საკითხებს, რომელზედაც წერილი მიგვითითებს, გამგეობამ უკვე წერილის გამოქვეყნებამდე მიაქცია ყურადღება და შეუდგა საქმის გამორკვევას. თანამშრომელი, რომელსაც წერილის შინაარსი ეხება, უკვე მოხსნილია, რის შესახებაც გამგეობას გამოტანილი აქვს სათანადო დადგენილება. ყოველივე ცნობები საქმის გამორკვევის შემდეგ გადმოეცემა რედაქციას გამოსაქვეყნებლად.

პ. გელაშვილი.

ქრონიკა

ბრძოლა ფასების დაკლებისათვის

თბილისის საქონლის ბირჟის კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა, კიდევ შეამციროს საბირჟო გარიგებებზე სარეგისტრაციო ანარიცხები.

აღნიშნული ანარიცხები ფართო მოთხოვნილების საქონელზე დაკლებულ იქნება 1 მეათ. პროცენტამდე, ხოლო არა ფართო მოთხოვნილების საქონელზე 0.15 პროცენტამდე.

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

ტრაქტორები

სოფლის მეურნეობის მექანიზაციისათვის, რომელიც ჩვენი სამეურნეო ცხოვრების დღის წესრიგშია დასმული, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტრაქტორების შემოღებას სოფლის მეურნეობაში.

ტრაქტორი არა თუ შესცვლის ცოცხალ ძალას, არამედ მისი საშუალებით შეიძლება სხვადასხვა სამეურნეო წარმოებების (ელექტრო-სადგური, წისქვილი და სხვა) მოწყობა.

ამიერ-კავკასიის, კერძოდ საქართველოს, კლიმატიური და ნიადაგის პირობები ყველგან ერთნაირი არ არის; ამიტომ ასეთ პირობებში შეუძლებელია ერთი რომელიმე სისტემის ტრაქტორების გამოგონება.

გამორკვეულია, რომ საქართველოში უფრო გამოსადეგია ფორძონის და ხოლდის სისტემის ტრაქტორები, სომხეთში—„კეისი", აზერბეიჯანში—ფორძონი და „ზ. დ.".

საქართველოს ცალკე რაიონებიდან დასავლეთ საქართველოში და კახეთში უფრო გავრცელებულია ფორძონის სისტემის ტრაქტორები, რომლებიც უფრო ეგუებიან იქაურ კლიმატიურ და ნიადაგის პირობებს. დანარჩენ რაიონებში უფრო გავრცელებულია ხოლდის სისტემის ტრაქტორები.

ამჟამად ამიერ-კავკასიაში მუშაობს 730-ოდ ტრაქტორი. სამელიორაციო მუშაობის გეგმის განხორციელების შემდეგ ამიერ-კავკასიას ყოველწლიურად დასჭირდება 400 ტრაქტორი.

ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობის მოთხოვნილების სრულად დასაკმაყოფილებლად საჭირო იქნება 3.000 ტრაქტორი. სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, რომელზედაც გამოფენილია ყოველგვარი სისტემის ტრაქტორები, დაამტკიცებს, თუ რომელ კუთხეში რა სისტემის ტრაქტორები გამოდგება.

ტრაქტორების გამოცდა გამოფენაზე ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ ექსკურსანტ-გლეხების გამოცდილი თვალი უკვე ამჩნევს, თუ რომელი ტრაქტორი უფრო გამოსადეგი იქნება მათთვის.

ჯერ-ჯერობით ფორძონებთან და ხოლდთან ერთად გამოფენაზე ყურადღებას იპყრობს გერმანული ფირმა „კომინკ"-ის ტრაქტორები. ამ ფირმას ჩვენში ნაკლებად იცნობენ. დემონსტრაციის დროს „კომინკ"-ის ტრაქტორებმა დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა. ტრაქტორებთან ერთად ყურადღებას იპყრობს ფირმა „სიმენს-შუკერტ"-ს ავტოფრაზები.

გამოფენაზე წარმოდგენილია ფორძონის, კეისის, ინტერნაციონალის, ამის ჩალმერის, ემერსონის, ლანცის, „ვ.დ."-ს, ფიატის, ხოლდის, კლეტრაკის, ავანსის და კომინკის სისტემის ტრაქტორები. მათი გამოცდა დაიწყება 20 ივნისიდან.

შ—ა.

გუთნები

ტრაქტორებთან ერთად ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე გუთნების გამოცდას; სისწორით უნდა გამოირკვეს, თუ რომელი ტიპის და მარკის გუთანი უფრო გამოსადეგია ამიერ-კავკასიის ამა თუ იმ რაიონში.

1906—1914 წლებში ამიერ-კავკასიის სხვადასხვა რაიონებში მოხდა რუსეთის და საზღვარგარეთის სხვადასხვა ტიპების და მარკის გუთნების გამოცდა. ახალციხის მაზრისა, აფხაზეთისა, ცხინვალისა, ქვემო-ახტისა, ელენოვკისა და სემიონოვსკისათვის უფრო მიზანშეწონილად იქნა ცნობილი მიწის მოხვნა 2,5 ვერშოკის სიღრმეზე. გორის მაზრისა, აწყურისა, კახეთისა, ალაზნის ველისა, შირაქის ველისა, ეჩმიაძინის მაზრისა და ნახიჩევანის მხარის ნაწილისათვის—მიწის მოხვნა 3,5 ვერშოკის სიღრმეზე.

ომამდე გუთნების მთელი რაოდენობის 70 პროც. ამიერ-კავკასიაში შემოდიოდა რუსეთიდან; უმთავრესად შემოჰქონდათ ფირმა „აქსაი"-ს გუთნები. დანარჩენი რაოდენობა მოდიოდა საზღვარგარეთიდან.

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე წარმოდგენილია სინდიკატ „სელმაშ"-ში შემავალი ყველა ქარხნების გუთნები; უცხოეთის ფირმებიდან გუთნები გამოფენილი აქვთ რ. საკს, ებერგარდტს, ეკკერტს, ფლეტერს, ერბეხერს და შვეციის ფირმებს.

მათი გამოცდა დაიწყება ახლო ხანში. გუთნები გამოცდილი იქნება სხვადასხვა ნიადაგზე მუშაობის დროს, რაც საშუალებას მისცემს სასოფლო-სამეურნეო იარაღებით მოვაჭრე ორგანიზაციებს და გლეხებს გამოარკვიონ, თუ რომელ კუთხეში რა ტიპის და მარკის გუთანი უფრო გამოსადეგია.

ტრაქტორების და გუთნების გარდა, გამოცდაში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებიც: სათესი და სალეწი მანქანები, ფორცხები, რძის მეურნეობაში საჭირო მანქანები და სხვა.

დღეს, ნაშუადღევის 3 საათზე, გამოფენის ტერიტორიაზე მოხდება შემდეგი მანქანების დემონსტრაცია:

ხვნა ამერიკულ ფირმა „ემერსონ ბრანტინგ"-ის ტრაქტორით, ხვნა ტრაქტორით „ინტერნაციონალ", კულტივატორის მუშაობა, „სიმენს-შუკერტ"-ის ფირმის ელექტრომანქანების და ხელსაწყოების მუშაობა, სახანძრო საქაჩავის მუშაობა და შვეციის ფირმა „ალფალავალ"-ის სეპარატორების და კარაქის დამამზადებელ მანქანის მუშაობა.

გამოფენის ქრონიკა

ამერიკული პავილიონი.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ამერიკული განყოფილება გაიხსნება ოთხშაბათს, 16 ივნისს.

ამერიკული პავილიონის გახსნის დღეს მოხდება სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების დემონსტრაცია. ამას გარდა, ამერიკულ განყოფილებაში დაიდგმება „ფორდზონის" სისტემის ტრაქტორი, რომელიც ამუშავებს პატარა ელექტროსადგურს. ამგვარ ელექტროსადგურებს ამერიკაში იყენებენ ფერმებსა და სოფლებში გასანათებლად.

ეს ელექტროსადგურები, ტრაქტორის გარდა, ჯდება 400 მანეთი.

მანქანების გამოცდა.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე წარმოდგენილ იარაღ-მანქანების გამოსაცდელად ეწყობა ამ მანქანების გამოცდა.

გარდა ამისა, განზრახულია ქალაქში ჩამოატარონ ტრაქტორები და ცეცხლის საქრობი ავტომობილები. ამერიკული ფირმის დიდი ავტობუსი „ინტერნაციონალი" ამ დღეებში დაიწყებს ქალაქში მუშაობას. იგი მსურველებს მიიყვანს გამოფენაზე. ავტობუსში ეტევა 16 კაცი.

ამერიკული ფირმები

ამერიკულ ფირმების პავილიონები მზათ იქნება ამ დღეებში; პავილიონები გაიხსნება 16 ივნისს.

10.000 სანთლიანი შუშა

გამოფენის მომწყობ კომიტეტს განზრახული აქვს შეიძინოს 10.000 სანთლიანი ელექტრო-შუშა თბილისის მოედნების გასანათებლად.

ქარის წისქვილი

ამ დღეებში დამთავრდება ქარის წისქვილის საბოლოო მოწყობა: დემონსტრაცია დაიწყება მომავალი კვირიდან.

გლეხთა ექსკურსია

გამოფენის დასათვალიერებლად ახალქალაქის მაზრიდან ჩამოვიდა გლეხთა ექსკურსია.

ექსპონატების შეძენა

ინდივიდუალური გარიგებები გამოფენაზე აკრძალულია. სახელმწიფო ორგანოების მიერ შეძენილი მანქანების და იარაღების სწორად და მიზანშეწონილად გასანაწილებლად შესდგა მთავრობის კომისია.

გამოფენა ეკრანზე

გამოფენის მომწყობ კომიტეტის მიერ ეკრანზე გადაღებული იქნება მანქანების დემონსტრაცია და გამოცდა. განზრახულია შედგენილი იქნეს დიდი აგრონომიული სურათი სოფლებში გასაგზავნად.

სიმფონიური კონცერტი

დღეს გამოფენაზე გაიმართება ქართული საოპერო სტუდიის სიმფონიური ორკესტრის მორიგი კონცერტი.

წითელ ჯვარში

გორის საავადმყოფოს გაფართოება.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების პრეზიდიუმის დადგენილებით, წითელი ჯვრის გორის საავადმყოფოში საწოლების რაოდენობა 30-დან გადიდებულ იქნა 50-მდე.

საავადმყოფოსთან მოწყობილია რენტგენის კაბინეტი და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია.

დახმარება პიონერებს.

პიონერთათვის სექიმო დახმარების აღმოჩენის მიზნით, საქართველოს წითელ ჯვარმა დანიშნა თავისი ექიმი და იკისრა ოცდახუთამდე შინაურ აფთიაქების უფასოდ მოწყობა პიონერთა ორგანიზაციებისათვის.

სამალარიო სადგური ქობულეთში.

აჭარისტანის წითელი მთვარის კომიტეტი საქართველოს წითელი ჯვრის ცკას დახმარებით, ამ მოკლე ხანში ქობულეთში აწყობს სამალარიო სადგურს.

687.542 მან. საქართველოს მრეწველობისათვის

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად, მიმდინარე სამეურნეო წლის მეორე ნახევრისათვის საქართველოს ტრესტების წარმოებათა კაპიტალური ხარჯები ძირითადი კაპიტალის აღსადგენად უნდა განისაზღვროს 687.542 მანეთით. ეს თანხა გათვალისწინებულია წარმოებების მოსაწყობად და აგრეთვე მშენებლობისათვის საჭირო ხარჯები.

მოწყობილობათა შეძენას უნდა მოხმარდეს 440.000 მანეთი, მშენებლობას 246.000 მანეთი. საკავშირო ბიუჯეტის წესით უკვე მიღებულია 100.000 მანეთი ხე-ტყის წარმოებათა მოსაწყობად და 85.000 მანეთი საქ. სათბობი მასალის სახელმწიფო სამმართველოს საჭიროებისათვის. კაპიტალურ ხარჯების რაოდენობა აბრეშუმის ხვევის ფაბრიკისათვის 60.000 მანეთით განისაზღვრება, აქედან 20.000 მანეთი საჭიროა მოწყობილობისათვის და 40.000 მან. მშენებლობისათვის.

პოლიგრაფიულ წარმოებათა მოწყობილობისათვის განზრახულია დაიხარჯოს 48.000 მანეთი. მიღებული იქნა დადგენილება—ეთხოვოს ლითონის მრეწველობის მთავარ სამმართველოს გაადიდოს ავანსი 80.000 მანეთით, რომელიც ლითონის ტრესტს ესაჭიროება მრეწველობის გასაფართოებლად.

„კომუნისტი"
გრძელდება ხელისმოწერა
მთავარი კანტორა: რუსთაველის პრ. № 34.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

გრიგალი რაჭაში.

ონი, 11 ივნისი. 10 ივნისს საღამოთი ძლიერი გრიგალი ამოვარდა, რომელსაც მოჰყვა სეტყვა. ნათესები დაზარალდა. გზები მისილულია. სოფლებში—საკაოში, ზევმეში, უწერაში და გებში გრიგალმა [illegible] წაიქცია და დაანგრია სახლების სახურავები. სოფ. საკაოში ხეების წაქცევის დროს [illegible] საქონელი.

ბრძოლა ბოროტმოქმედებთან

ფოთი, 11 ივნისი. აღძრულია ბრალდება: კოლხიდის ჭაობების ამომშრობ სამუშაოთა გამგის ინჟინერ კუზნეცოვის წინააღმდეგ. კუზნეცოვს ბრალათ ედება უყაირათობა და გამოუსადეგარ და არა უზრუნველყოფი ხელშეკრულებათა დადება.

საქართველოს წყლის მეურნეობის ფოთის კანტორის მოანგარიშეს ვასილ მელქაძეს ბრალად ედება, საქმის უწესრიგო წარმოება და 2,108 მან. გაფლანგვა. მელქაძე დაკავებულია.

იმავე კანტორის პიკეტაჟისტი პეტრე მელიქოვს ბრალად ედება 539 მან. მითვისება.

სტუდენტების ჩამოსვლა

ახალციხე, 11 ივნისი. ჩამოვიდნენ, აღმოსავლეთის მშრომელთა უნივერსიტეტის ჯგუფი, სულ 18 კაცი. ჩამოსულნი, ადგილებზე პრაქტიკული მუშაობისათვის განაწილებული არიან უდის, ვალის და ადიგენის თემებში.

გლეხთა ექსკურსია

ახალციხე, 11 ივნისი. ამიერ-კავკასიის სასოფლო მეურნეობის გამოფენის დასათვალიერებლათ ეწყობა გლეხთა ექსკურსია. სამგზავრო ხარჯებს კისრულობს სამაზრო აღმასკომი.

აჭარისტანი

თავშესაფარი უპატრონო ბავშვებისათვის

ბათომი, 11 ივნისი. უპატრონო ბავშვებისათვის მოეწყო კოლექტორი, რომელშიაც მოთავსებულია 40 ბავში. კოლექტორთან გახსნილია ფეხსაცმელების სახელოსნო და სადურგლო.

სახლი მუშებისათვის

ბათომი, 11 ივნისი. ნავთის კომიტეტმა მუშებისათვის ააგო სახლი 8 ბინით.

ჩაის ახალი ფაბრიკა

ბათომი, 11 ივნისი. საზოგადოებამ „საქართველოს ჩაი“ დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვა ჩაქვში ჩაის ახალი ფაბრიკის ასაგებათ. ფაბრიკა დაამზადებს 300.000 გირ. ჩაის წელიწადში. ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცებულია 350.000 მანეთის რაოდენობით.

ქობულეთის სანატორიუმში

ბათომი, 11 ივნისი. საზამთრო სეზონის დამთავრების გამო ხარჯების შესამცირებლათ ისურება ქობულეთის სანატორიუმი.

ნახიჩევანის მხარე

წერილები

ჯაში არ ისვენებს
(ს. ვანი, გურია)

რედაქციას ალბად თავი მობეზრდა ზაქრო ჯაშის საგმირო საქმეებზე, კიდევ უფრო გაუწყალა გული იმ ყოფილ მასწავლებლის მოქმედებამ ვანის გლეხკაცობას, მაგრამ რას იზამ, როცა მისი მოჭკუიანება დღემდის კიდევ ვერ მოხერხდა.

ჯერ იყო და ზაქრო თავის უზნეო ქცევისათვის მოხსნეს სკოლის გამგის თანამდებობიდან. შემდეგ სცადა მოწაფეთა გაფიცვა მოეწყო იმ მიზნით, რომ გამგეთ აღედგინათ თავის ძველ თანამდებობაზე. ზაქროს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

ამის შემდეგ ის მიწყნარდა, თითქოს შეურიგდა კიდეც თავის ხვედრს, მაგრამ ამას წინად ყოფილ გამგეს ძველმა სენმა ისევ წამოუარა და მერე ისეთი სიძლიერით, რომ მთელი სოფელი აალაპარაკა.

საქმე შემდეგში. ვანის შვიდწლედში, ადგილობრივ მასწავლებლების თაოსნობით გაიმართა საღამო-წარმოდგენა, რომლის შემოსავალიც უნდა მოხმარებოდა ამავე სოფლის ერთ-ერთ სიკვდილით დაზარალებულ გლეხის ოჯახს. მზადებას წინდაწინვე შეუდგნენ, რომ საღამოს მეტი საზოგადოება მიეზიდა და შემოსავალიც მნიშვნელოვანი ყოფილიყო. იყო მოწყობილი ლატარია, ალეგრა და ბუფეტიც.

ზაქრომ ღვინის სუნი შორიდანვე მოისუნა და მაშინვე აქ გაჩნდა. ის მთელ უბანში ცნობილი თამადაა, რომელსაც ხშირად ხუმრობით საგუბერნიო ტოლუმბაშსაც კი ეძახიან. ზაქრომაც, რასაკვირველია, თავის ყადრი იცის: მოსვლისთანავე სუფრის თავში წამოსკუპდა. თამადის არჩევანიც მასზე შეჩერდა.

დაიწყო პრტყელ-პრტყელი რეჩები და, როგორც მოსალოდნელი იყო, მალე იმაზე გადავიდა, რაც მას აწუხებდა. „ვისაც რა სტკივა, ისიც მაზე სჩივა“-ო ამბობს ანდაზა. ზაქროს ენას სიგრძე ისედაც არ აკლდა და ღვინომ ის კიდევ უფრო გაუგრძელა. დაუძახა თავიანთ ყოფილ მოწაფეებს, ირგვლივ წიწილებივით შემოისხა, ჯერ თვით გადაჰკრა—დალია, მერე მათ დაულია და მოჰყვა მოთქმა-გოდებას: „დამღუპეს, დამაქციეს, უდანაშაულოდ ჯვარზე მაცვეს, თქვენს თავს მომაშორეს, რა ვქნა, ვის მივმართო, ვის შევაფარო თავი“-ო. ამ სიტყვებზე ტოლუმბაშს ცრემლებმა მოუსწრო და ჩვენი ზაქრო გულსაკლავად აზლუქუნდა. მოწაფეებმაც ველარ გაუძლეს ამ შემაძრწუნებელ სურათს და მოჰყვენ ქვითინს დაშუშებულ ღომივით.

როგორც იქნა ტირილი დასრულდა. ზაქრომ სახელოების ნაპირებით მოიწმინდა ცრემლები, ცხვირი მოიხოცა, ჩაახველა და მოსდგა იქ დამსწრე ამხანაგების გინებას. გიჟი არავინ იყო, რომ მისთვის თავი გაეყადრებიათ და ამ უშვერ გინებაზე ყველამ დუმილით უპასუხა. ზაქრო ამან კიდევ უფრო გააბრაზა. როგორც ცეცხლი, ისე აინთო. ახლა მან იერიში მასწავლებელ ქალებზე მიიტანა.

დამფრთხალი ქალები თავის გადასარჩენათ სამასწავლებლოში შეცვივდნენ. ტოლუმბაშმა მიატოვა თავის საპატიო ადგილი და მასწავლებელ ქალებს უკან დაედევნა. თუმცა ზოგიერთებმა სცადეს გონება-წასული ჯაში დაეშოშმინებიათ, მაგრამ ზაქრომ ყველა მიფერთხ-მოფერთხა და დაჭრილ ნადირივით შეიჭრა ქალებთან სამასწავლებლოში. ატყდა ერთი ყიჟინ-კივილი. ქალებმა იმდენი მოახერხეს, რომ მთვრალ ჯაშს, ხელიდან გაუსხლტნენ და შეუმჩნევლად მიიმალნენ.

ზაქრომ აქ სრულიად დაჰკარგა გრძნობა. კაცი რომ ველარავინ ჩაიგდო ხელში, გადასწყვიტა უსულო საგნებზე ამოეყარა ჯავრი კედლებზე შპალიერი ჩამოფხრიწა, ირგვლივ ყველაფერი მილეწ-მოლეწა და მუქარით და ლანძღვა-გინებით გამოვიდა გარეთ. ბოლოს, როგორც იყო, ის მოთურგნეს და სახლში წაიყვანეს.

როგორც უკვე ვსთქვი, მობეზრდა ყველას ზაქრო ჯაშის „გმირობაზე“ წერა და ლაპარაკი. ის კი მაინც არ ისვენებს. ნეტავი იცოდეს კაცმა, უკანასკნელი წერილი იქნება თუ არა ეს კორესპოდენცია, ზაქარია ჯაშის საძრახ საქმეების შესახებ?

ხაფანგი.

პირველი ნაბიჯები
(წერილი ახალციხის მაზრიდან)

ჩვენი მაზრა სწავლა-განათლების მხრივ ჩამორჩენილია და იმიტომაც აქ დიდი გასავალი ჰქონდა და აქვს კერძო ვაჭრების ოინებს. სამაზრო პარტიულმა კომიტეტმა და სამაღმასკომმა მიაქციეს ამ გარემოებას ყურადღება და სათანადო ღონისძიებებიც მიიღო. გადაახალისა და გამოაცოცხლა ახალციხის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა. მზრაღმასკომმა გაუხსნა ამხანაგობას თავისი სათადარიგო თანხებიდან კრედიტი 75.000 მანეთი საშუამავლო-სავაჭრო ოპერაციებისათვის და დაავალა მას სოფლის ღარიბ გლეხობის დაცვა გაყვლეფა და მოტყუებისაგან.

როცა ამ ამბავმა მიაღწია გლეხების ყურამდი, ისინი მოაწყდნენ ამხანაგობას. ახალი გამგეობის პირველი მიზანი იყო სამუშაო გეგმის შედგენა და ეს შესრულებულიც იქნა. აღნიშნული გეგმის თანახმად ამხანაგობა უკვე შეუდგა მუშაობას.

პირველი ცდები კარგ შედეგებს იძლევა. გლეხები დიდი ნდობით და იმედით უყურებენ ამ საქმეს და მადლობელიც არიან.

მხოლოდ ეხლა დაიბადა მაზრაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის იდეა. თამბაქოს კულტურის გასაუმჯობესებლად საცდელ მინდვრისათვის ამხანაგობამ გასცა 2.000 მან. დაუბრუნებელი თანხა, გლეხები დიდის სიხარულით შეხვდნენ ამ საქმეს. გარდა ამისა, ამხ-ბამ გახსნა საშუამავლო--სავაჭრო დამამზადებელი განყოფილება და შეუდგა გლეხებისათვის დახმარების აღმოჩენას. მათი ნაწარმოების გასაღება-გაუმჯობესებაში. ამ დღეებში ამხანაგობა ხსნის ყველის და ერბოს ქარხანას. ამხანაგობა შეუდგა აგრეთვე ადგილობრივი მაღალი ხარისხის ხილის ექსპორტის და გასაღების ორგანიზაციის და მომავლისთვის გათვალისწინებულია სხვადასხვა საწარმოების გახსნა და მოწყობა. რასაკვირველია, ამ საქმიანობაში არ არის საკმაო ის თანხები, რაც დღეს ამხანაგობის განკარგულებაშია, მაგრამ იმედია, რომ ცენტრიც დაგვეხმარება წარმატებით დაწყებულ საქმის გაგრძელება-განვითარებაში.

ხმარი.

ეს მიუტევებელი დანაშაულია
(გამოჩ. თემი, ქუთ. მაზრა)

არჩევნების შემდეგ საბჭოს ორი კრება შესდგა, სადაც ჩამოყალიბდა სხვადასხვა სექციები. თავის თავად ცხადია რა დიდი სამუშაო აქვს ასეთ სექციებს ჩვენს სოფლებში, თუ მათი არსებობა მარტო ქაღალდზე არ არის აღბეჭდილი. გასაკეთებელი კი ბევრია გამოჩინებულის თემში, მაგრამ გამკეთებელი არავინაა, გზა არ ვარგა, შენობები კეთდება სრულიათ უგეგმოთ და ულამაზოთ, ვერაა კოოპერაციის საქმე რიგიანათ მოწესრიგებული, ჯანმრთელობის საქმეც მოიკოჭლებს. მაგრამ ყოველივე ამას უნდა ინიციატორი, ხელმძღვანელი. სექციების ხელმძღვანელათ ჩვენ მიგვაჩნია აღმასკომი მთლიანათ და მისი თავმჯდომარე, მაგრამ ჩვენი თავმჯდომარე სრულიათ არ იწუხებს თავს საქმეებით. ის მოიწვევს კრებებს და შემდეგ თვით არ ესწრება მას.

მაგალითად, კვირას, 30 მაისს, მოწვეული იყო მთელი თემის მცხოვრებთა კრება, სადაც ქუთაისის სამაზრო გლეხკომის წარმომადგენელს უნდა გაეკეთებია მოხსენება გლეხკომების ახალი სტრუქტურის შესახებ. მაგრამ წარმოიდგინეთ, აღმასკომის თ-რე და მისი ამხანაგი საქეიფოთ წასულიყვნენ თავიანთ სოფელში. მდივანი ქუთაისში წასულიყო და აღმასკომში საქმის მწარმოებელის მეტი არ იყო. გლეხები მოდიოდნენ და მიდიოდნენ. ეს მიუტევებელი დანაშაულია.

ჩვენ ვამბობთ, რომ ხალხი არ ესწრება კრებებს. ამავე დროს ჩვენ თვით ვაძლევთ ამის მაგალითებს. საჭიროა ამ თემისაღმასკომმა გაანძრიოს თავი და ყოველივე დეფექტები დროზე გამოასწოროს. აგრეთვე საჭიროა დაჩქარებით შეკეთდეს აღმასკომში ასასვლელი კიბე, თორემ ის მალე ჩაინგრევა და მსხვერპლს მოიტანს.

საბჭოს წევრი.

სოფლის ქრონიკა

— **ხიდი.** შორაპნის აღმასკომმა გადასწყვიტა საჩხერეში მდ. ყვირილაზე ააგოს ხიდი.

— ჭიათურაში შეუდგნენ წყალსადენის გაფართოებას.

მუშათა ცხოვრება

მუშათა საბინაო ამხანაგობები

ყოფ. „საბინაო კოოპერატივის“ (ცეკოოპის“) უყაირათო და უხეირო „საქმიანობამ“ მუნიციპალიზაცია ქმნილი (საბჭოთა და მუშათა) სახლები განადგურების და ნგრევის გზაზე დააყენა. იხარჯებოდა უამრავი თანხა „საბინკოოპის“ ურიცხვი შტატის შენახვაში და საქმე კი არ კეთდებოდა.

„საბინკოოპმა“ მიიღო ერთდროული სესხის სახით ბანკებიდან სამოცათას მანეთამდე. ამას გარდა, იგი სისტემატიურად კრეფდა 200—300 სახლებიდან ბინის ქირას. მიუხედავად ამისა, არც ერთს სახლს მან არ გაუკეთა ასე თუ ისე მისაღები (საშუალო) რემონტი. კაპიტალურ რემონტებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ამ გარემოებამ აიძულა ქალ. აღმასკომი ჩამოერთმია აღნიშნული სახლები ამ უხეირო „ხაზეინებისგან“ და მათი მოვლა-პატრონობა წარსულ წლის 1 სექტემბრიდან დაავალა თვით ამ სახლებში მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეთ მათი საბინაო ამხანაგობათა სახით. აღნიშნული სახლების გადაცემის პირველ დღიდანვე ყველგან დაარსდა საბინაო-საარენდო ამხანაგობები; არჩეულ იქნენ ამხანაგობათა გამგეობები და სარევიზიო კომისიები; ამხანაგობათა ნორმალური წესდება ყველგან მიღებული და იურიდიულად ჩამოყალიბდა სტრუქტურა აღნიშნულ ამხანაგობათა და მუშა-მოსამსახურეები გაეცნენ მათ ამოცანებს, ყველგან სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა: საბინაო თანხები ხმარდება მხოლოდ სახლების საჭიროებათ; ყველგან მიმდინარეობს რემონტები, არამც თუ მცირე, საშუალო, არამედ შეძლების და გვარად კაპიტალური რემონტებიც.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ამ მხრივ № 184 საბინაო ამხანაგობა „იმედი“-ს საქმიანობა. აღნიშნულმა ამხანაგობამ მხოლოდ საბინაო ქირის საშუალებით რამოდენიმე ბინას გაუკეთა კაპიტალური რემონტი; კაპიტალური რემონტი გაუკეთდა აგრეთვე სახლის კანალიზაციას, სახლის ყველა ფეხის ადგილებს, ყველა ბინებში წყალსადენ მილებს და სხვ.

აქვე ნაყოფიერად საქმიანობენ და სრულიად უსასყიდლოდ ზრუნავენ მათ გამგებლობაში მყოფ სახლებზე მუშათა სხვა საბინაო ამხანაგობებიც.

მიუხედავად ამისა, აღნიშნულ ამხანაგობათ ბანკები კრედიტებს არ აძლევენ იმის მომიზეზებით, რომ მათთან დღემდე აღმასკომს ვერ დაუდვია სათანადო საარენდო ხელშეკრულება, თუმცა უკვე თითქმის ხუთი თვე სრულდება მას შემდეგ, რაც აღმასკომის პრეზიდიუმს გადაეცა დასამტკიცებლად ნორმალური საარენდო ხელშეკრულების პროექტი. იგი კი იქ დღემდე განისვენებს.

ეს გარემოება ძალზე აფერხებს საბ.-ამხანაგობათა უფრო ნაყოფიერ მუშაობას.

საჭიროა, აღმასკომმა დააჩქაროს საბინაო ამხანაგობებთან საარენდო ხელშეკრულებათა დადება და ამით მათ მისცეს საშუალება, რათა ისინი, როგორც სრულუფლებიანი იურიდიული პირნი, გამოვიდნენ ბანკების წინაშე და მიიღონ საჭირო კრედიტები მათდამი რწმუნებული სახლების საქმეთა ნაყოფიერად საწარმოებლად.

კეთილი.

მუშათა კლუბში

15 მაისს ამხ. **ს. ორჯონიკიძის** სახ. კლუბში მოწვეულ იქნა ახალგაზრდათა კლუბის ნ. ძნელაძის და ოქროევის სახ. კლუბის წევრთა საერთო კრება. გამგეობის მუშაობაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ვასაძემ.

სარევიზიო კომისიის სახელით კვირკველიამ. გამგეობის მუშაობა კრებამ სცნო დამაკმაყოფილებლად. ახალ გამგეობაში აირჩიეს 15 წევრი. სარევიზიო კომისიაში კი არჩეულ იქნა 5 კაცი. დასასრულ დაიდგა უფასო წარმოდგენა, რომელსაც დაესწრნენ ბევრი მუშები. ახალგაზრდების არჩევნები მოხდა წესიერ ფარგლებში.

მუშკორი ი. თბილისელი.

ბორჯომის შუშის ქარხანა

ბორჯომის შუშის ქარხანაში მუშაობს სამას კაცზე მეტი. მუშაობა სამ-ცვლიანია. შიგა და შიგ მუშებში არიან ისეთები, რომლებსაც დიდათ აინტერესებს ჟურნალ-გაზეთები, მაგრამ მათ სამისო ხელმძღვანელობა არა აქვთ. ჰყავთ ქარხკომი და კულტკომისია. მხოლოდ ამათი მუშაობა, მუშებში ჟურნალ-გაზეთების გავრცელების საქმეს სრულებით არ ხმარდება. მუშების ასე უხელმძღვანელოდ მიტოვებას მოჰყვა ის, რომ გამოიწერეს ნისიათ გაზეთები და გადახდა დავალიანებას კი ვერ მოახერხეს, ვინაიდან ამას არ ხელმძღვანელობდა ადგილკომი და არც კულტკომისია. შუშის ქარხანას დაედვა ვალი რედაქციის და მუშებს გაზეთების გზავნა შეუწყდათ.

ჩვენ მუშები არა ვართ დამნაშავენი ამაში, ჩვენი ადგილკომი და კულტკომისიაა აქ დამნაშავე. ან რა უნდა გააკეთოს თვით იმ კულტკომისიამ, რომლის თავმჯდომარეს თვითვე სამი თვის გაზეთის ფული არ გადაუხდია?

მუშების დიდი უმრავლესობა მსურველია გაზეთების გამოწერის, მხოლოდ საჭიროა ამ საქმის ხელმძღვანელობა. ასეთი კი შუშის ქარხანას ჯერ-ჯერობით, არ გააჩნია, ასეთი მდგომარეობა ყოვლად მიუღებელია.

საჭიროა პროფბიურომ მიიღოს სათანადო ზომები.

მათე გოგუაძე.

კამოს სახელობის ქარხანაში

კამოს სახელობის საფაბრიკო-საქარხნო სახელოსნოს სკოლაში მუშაობს 73 მუშა-მოსამსახურე. მათ შორის 7 ქალია.

სახელოსნოში სისუფთავე დაცულია, კარგი საექიმო დახმარებით მათი ჯანმრთელობა უზრუნველყოფილია. ქარხნის სახელოსნოს ტეხნიკური მხარე დამაკმაყოფილებელია.

შრომის ხელფასი დაყოფილია ამგვარად: შავ მუშას ეძლევა 30 მან. და 80 კაპეიკი. ამასთან ერთად უსასყიდლოდ ეძლევა მას სადილი; ხელოსნებს 105 მანეთი; ხელმძღვანელებს კი 140 მანეთიდან 210 მანეთამდე.

მუშა-მოსამსახურეებს წელიწადში ეძლევათ შვებულება ერთი თვით. შვებულების მიცემა უკვე დაწყებულია და ნორმალურად სწარმოებს.

ეძლევათ მუშა-მოსამსახურეებს წელიწადში ერთხელ სპეც-ტანსაცმელები დროზე და კარგი ხარისხის.

ეკონომიის რეჟიმის კომპანიის ჩასატარებლად არჩეულია განსაკუთრებული კომისია, რომელიც უკვე შეუდგა საკითხის გამოკვლევას.

კოლექტიური ხელშეკრულება დადებულია მუშებსა და ადმინისტრაციის შორის. კოლექტიური ხელშეკრულების ყველა მუხლები გატარებულია ცხოვრებაში. მუშებში დაცულია შრომის დისციპლინა. სიმულიაცას აქ ადგილი არა აქვს. ადმინისტრაციას და მუშებს შორის კარგი განწყობილებაა.

მუშები დაზღვეული არიან.

არსებობს ურთიერთ დამხმარე სალარო, რომელიც დახმარებას უწევს მუშებს.

მუშა ვ. სალუქვაძე.

მუშათა ქრონიკა.

— **თბილისის მტვირთველ მუშებში.** აღნიშნული მუშები ა.-წ. პირველ ივნისიდან გადარიცხეს ქალ. დამზღვევ სალაროში. ამით მათ ეკარგებათ რკინისგზელთა ის პრივილეგიები, რომლებითაც ისინი მანამდე სარგებლობდნენ. აღნიშნულ მუშებმა ავადმყოფობის დროს უნდა იარონ ქალ. პირველ საავადმყოფოში (ავლაბარში). ეს ყველაფერი მუშებში იწვევს ერთგვარ უკმაყოფილებას, რასაც რკინისგზის უბკავშირმა უნდა გაუწიოს ანგარიში.

— **მასალის შეძენა.** საარტ. ქარხნის საწარმოო კომისიამ სთხოვა ადმინისტრაციას, საჩქაროდ შეიძინოს მასალა საზეინკლო საამქროსათვის.

— **ერთდროული დასვენება.** ტყავტრესტის მუშათა კლუბის გამგეობამ სასულე ორკესტრის დამკვრელებისათვის საჭიროდ სცნო ერთდროული დასვენება.

პროფკავშირებში

ქ. ფოთის შინა-მრეწველ-ხელოსანთა კავშირში

ეს კავშირი არსებობს 1923 წლიდან. თავიდან ხელოსნობა დიდის ხალისით შეხვდა ასეთის დაარსებას. დიდი უმრავლესობა ხელოსნებისა ულარიბეს მდგომარეობაშია. მაგალითად: ხარაზს, ან მეჩექმეს არა აქვს საჭირო საკუთარი თანხა, რომ ტყავი შეიძინოს და დაამუშაოს, ამიტომ მუშტრისაგან აღებული შეკვეთით თავისი მასალით დაამუშაოს. ხელოსანი ამ შემთხვევაში გარბის კერძო ვაჭართან მასალის შესაძენად, საიდანაც ზოგ შემთხვევაში ნისიადაც გამოაქვს საქონელი, რომელიც, ძალზე ძვირად უჯდება მას.

ასეთი მუშაობით ჩვენი ხელოსნობა ულარესად ჩამორჩენილია ეკონომიურად.

ხელოსნობა მოელოდა როგორც სახელმწიფო გადასახადების შემცირებას, ისე სხვა მატერიალურ დახმარებებს, როგორიცაა, მაგალითად—წვრილი საკრედიტო ამხანაგობის დაარსება, საიდანაც მცირე პროცენტში ვაიტანდა ფულს თვითმშრომელი ხელოსანი, რაც შრომის ნაყოფიერებას გაზრდიდა და ის ეკონომიურადაც მომაგრდებოდა.

სამწუხაროდ, ეს იმედები ფოთის ხელოსნებს არ გაუმართლდათ, რამაც მათში გამოიწვია უკმაყოფილება. პასიობა, კავშირისადმი, რაც გამოიხატა საწევრო გადასახადის შეუტანლობაში და სხვა...

მხოლოდ ამ უკანასკნელ ერთი წლის განმავლობაში დაეტყო ფოთის ხელ-კავშირს გამოცოცხლება, რაც დაახლოებით გამოიხატა შემდეგში:

მან დაიჭირა მჭიდრო კავშირი ფინ-ინსპექტორთან, სადაც ჩვენი კავშირის წარმომადგენლები მუდამ ესწრებოდნენ დაბეგვრის დროს სხდომებს, რის შემდეგ იშვიათი შემთხვევაა უსამართლოთ გადასახადის შეწერვა ჩვენი კავშირის წევრ ხელოსანზე.

გაიჩინა განსაკუთრებული ბინა (წინათ კერძო სახელოსნოებში ჰქონდათ კანცელარია) და საქმის წარმოებაც კარგად მოაწყო.

მოაწყო საექიმო დახმარება: უფასო, ამბულატორიული და ექიმის სახლში მიყვანითაც.

გასცა ერთ-დროული დაუბრუნებელი ფულადი დახმარებები ულარიბეს წევრებზე.

განსაკუთრებულ შემთხვევებში წევრებს აძლევდა უპროცენტო სესხს და სხ.

მორიგ საკითხად იდგა ამ უკანასკნელ ხანებში წვრილი საკრედიტო ბანკის დაარსების საქმე, რომლის გარშემო გამგეობა აწარმოებდა ენერგიულ მუშაობას.

13 მაისს მოხდა კავშირის წევრთა საზოგადო კრება. გამგეობის მიერ გაწეული მუშაობით საზოგადოება კმაყოფილი დარჩა, რაც სათანადო რეზოლუციით აღინიშნა.

25 მაისს, ხელ-მეორედ იქნა მოწვეული საზ. კრება, სადაც საზოგადოებამ აირჩია ახალი გამგეობა და სარევიზიო კომისია.

კრებას დაესწრო სოციალური უზრუნველყოფის სახკომატის რწმუნებული ამხ. მ. მეუნარგია. რომელიც ჩვენ კავშირს მუდამ თანაგრძნობით ეკიდებოდა.

პ. ლეკი.

პროფმუშაობის ქრონიკა

— **სიმფონიური კონცერტები მუშათა კლუბებში.** ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილებაში შემუშავდა ცხრილი სიმფონიური კონცერტების გასამართავად მუშათა კლუბებში.

კვირაში კონცერტები გაიმართება სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

— **კულტთათბირი.** 9 ივნისს, დილის 9 საათზე, მუშათა სასახლის წითელ დარბაზში გაიმართა კავშირის კულტგანყოფილებათა და კლუბების გამგეების თათბირი. დღის წესრიგში იდგა საკითხები პოლიტგანათლების მთავარსამმართველოს მუშაობისა და ბიბლიოთეკების

ფასების მოძრაობა მაისში

თბილისის საქონლის ბირჟის გამოკვლევით, სამრეწველო და სასოფლო მეურნეობის საქონელზე ფასების მოძრაობა მაისში შემდეგ სურათს იძლევა:

სამრეწველო საქონელი.

ფასების მოძრაობა საფეიქრო ნაწარმოებზე აღნიშნულ თვეში არ არის თანაბარი; იმ დროს, როდესაც ბამბეული ნაწარმოები იაფდება, ახ ფასები მტკიცედ სდგას, მატყლის და სელის ნაწარმოებზე ფასები იწევა. მაგ., ჩითი № 5-ის ფასი შემცირებულია 4,4 პროცენტით. თეთრეულის ნარმის—7,1 პროცენტით და „მადეპალამის“—5,5 პროცენტით. შავ მაუდზე ფასები გადიდებულია 16,7 პროცენტით.

საბაკალეიო საქონელთა შორის ფასების აწევა ემჩნევა: ალდაშის ბრინჯზე—13,4 პროცენტით, მზესუმზირას ზეთზე—3,6 პროც. და სარეცხ საპონზე („მამალი“)—2 პროცენტით. დანარჩენ საქონელზე ფასები უცვლელია.

სასოფლო მეურნეობის ნაწარმოები.

სასოფლო მეურნეობის პროდუქტებიდან ადგილობრივ ხორბალზე ფასი ვადიდებულია—4,5 პროც., სიმინდზე—11,5 პროცენტით, პირველი ხარისხის პურის ფქვილზე—6,3 პროც., ადგილობრივი ფქვილი—4 პროც. ფასების დაკლება ემჩნევა ქერზე—18,4 პროცენტით.

რძის ნაწარმოებს აღნიშნულ თვეში გაიაფება ეტყობა, მაგ., კარაქი გაიაფებულია 4,6 პროცენტით, კვერცხი—15 პროცენტით და რძე—6,2 პროცენტით. გაძვირებულია მხოლოდ ერბო (10 პროცენტით).

ბოსტნეულის ფასებს სეზონის დადგომის გამო აწევა ეტყობა საერთოთ, გარდა ახალი კომბოსტოსი, რომლის ფასი უცვლელი დარჩა, აპრილთან შედარებით.

ხორცის ფასები აპრილში დიდ მერყეობას განიცდიდნენ და მაისშია ხორცის ფასი განმტკიცდა.

შრომის მოწესრიგება

ნორმაზე მეტის მუშაობა სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებებში

შრომის სახალხო კომისარიატმა გამოსცა დადგენილება, რომლის ძალით ნებადართულია ზედმეტი სამუშაოების წარმოება სასოფლო-სამეურნეო წარმოებებში, რომლებზედაც ვრცელდება შრომის საერთო კანონების მოქმედება. ასეთნი არიან — საბჭოთა მეურნეობანი, სამრეწველო ტიპის გლეხური მეურნეობანი და სხვა.

ზედმეტი სამუშაოები ნებადართულია მხოლოდ სასოფლო - სამეურნეო სეზონის პერიოდში სხვადასხვა დროს—იმის მიხედვით, თუ რა ხასიათის მეურნეობა არის. ამასთან ერთად დადგენილია, რომ ზედმეტი სამუშაოთა საათების რაოდენობა ორ საათს არ უნდა აღემატებოდეს. ზედმეტი სამუშაოების დაწესება ხდება დამქირავებელი დაწესებულების და პირის სათანადო პროფორგანოებთან შეთანხმებით.

ქალთა შრომის მოსაწესრიგებლად

ამიერ - კავკასიის პრეზიდიუმის დადგენილებით რესპუბლიკანურ შრომის სახალხო კომისარიატებს ეგზავნებათ დირექტივები იმის შესახებ, რომ გამოცოცხლებულ იქნეს ქალთა მდგომარეობის და შრომის გასაუმჯობესებლად არსებულ კომისიების მუშაობა.

ამიერ - კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატთან [illegible] რათა ქალთა მდგომარეობის და შრომის გამაუმჯობესებელი კომისიების წარმომადგენლების თათბირი შრომის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლებთან ერთად მოწვეულ იქნეს 20 ივნისისათვის.

სას.-სამ. პროდუქტების დამზადება

მეცხვარეთა საზოგადოება „მწყემსი“-ს თელავის განყოფილებამ დაამზადა 7 ათასი ფუთი გაზაფხულის ნაკრეჭი მატყლი. მწყემსები მთლიანად ასრულებენ თავიანთ ვალდებულებას მატყლის ჩაბარების შესახებ. „მწყემსი“-ს დანარჩენი ორგანიზაციების მიერ ივნისის დამდეგამდე დამზადებულია 5.200 ფუთი გაზაფხულის მატყლი.

მაისის განმავლობაში სხვადასხვა დამმზადებელ ორგანიზაციების მიერ დამზადებულია 300 ფუთი ჯაგარი უცხოეთში გასატანად.

სიმინდი

მიმდინარე წელს შინაური საჭიროების დასაკმაყოფილებლად საზოგადოება „ხლებოპროდუქტი“-ს მიერ დამზადებული იქნება 50 ათასი ფუთი სიმინდი. წელს „ცეკავშირ“-მა ხელი აიღო სიმინდის უშუალო დამზადებაზე, რადგან უცხოეთის ბაზარზე სიმინდის ფასი საგრძნობლად დაეცა.

არაყი

სახელმწიფო ღვინის ტრესტთან დადებულ ხელშეკრულების თანახმად ა. წ. ივნისამდე ცეკავშირმა დაამზადა 400 ათასი გრადუსი არაყი.

თამბაქო

მიმდინარე წლის ივნისამდე ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობა — „ზაკსოიუზ“-მა აფხაზეთის თამბაქოს მეურნეობის რაიონებში დაამზადა 75 ათასი ფუთი თამბაქო. ამ დღეებში თამბაქოს პირველი პარტია გაგზავნილ იქნება გასასაღებლად უცხოეთის ბაზარზე.

ძვირფასი ბეწვეული

ა.-კ. ვაჭრობის საპაიო ამხანაგობამ აფხაზეთში დაამზადა 500 ცალი კვერნის ტყავი. ბეწვეულის პირველი პარტია უკვე გაიგზავნა საზღვარგარეთ, სადაც ბეწვეულის დიდი მოთხოვნილებაა.

სოციალური დაზღვევა

დღიური დახმარების ნორმა აგარაკზე გაგზავნილებისათვის

სოციალური დაზღვევის მთავარმა სამმართველომ დაადგინა კურორტ წყალტუბოსა და კურორტ ახტალაზე გაგზავნილ დაზღვეულ მუშა - მოსამსახურეებს, რომელთაც თვიური ხელფასი 50 მანეთს არ აღემატება, დახმარების სახით მიეცეს დღეში ერთი მანეთი. დაზღვეულ ავადმყოფების მკურნალობა და მოვლა-პატრონობა კურორტებზე სწარმოებს სოციალური დაზღვევის ორგანოების ხარჯზე.

მტვირთავ მუშების დაზღვევა

სოციალური დაზღვევის სამმართველოს დაადგენილებით, რკინისგზელი მტვირთავი მუშების დაზღვევა უნდა სწარმოებდეს იმ ადგილის მიხედვით, სადაც მტვირთავნი მუშაობენ.

დღიური მუშების დაზღვევა

სოციალური დაზღვევის მთავარმა სამმართველომ გამოიმუშავა ახალი დებულება დღიური მუშების დაზღვევის შესახებ.

უმუშევართა დახმარების ახალი წესები

საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებების მუშა - მოსამსახურეთა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ გამოიმუშავა უმუშევრებზე დახმარების გაცემის ახალი წესები, დახმარების გაცემა იწარმოებს სამი კატეგორიის მიხედვით. პირუმუშევრები, რომელთაც აქვთ 5 წლის ან მეტი სამსახურის და პროფესიული სტაჟი, მიიღებენ სახელმწიფო მინიმუმს; 3 წლიდან — 5 წლამდე პროფსტაჟის მქონე უმუშევრები დახმარებას მიიღებენ სახელმწიფო მინიმუმის ნახევარს, ხოლო სახელმწიფო მინიმუმის 25 პროცენტს მიიღებენ უმუშევრები, რომელიც პროფსტაჟი სამს წელიწადს არ აღემატება. უმუშევრები, რომლის სტაჟი სამს თვეს არ აღემატება, დახმარებას ვერ მიიღებენ.

„ზაკსოიუზ“-ის საორგანიზაციო თათბირი

მე-2-ე და მე-3-ე სხდომები.

11 ივნისის დილის სხდომაზე გაიმართა კამათი პირველ სხდომაზე გაკეთებულ მოხსენებების გარშემო. კამათში მონაწილე ორატორები უმთავრესად უთითებენ ინსტრუქტაჟის ფუნქციების მეტათ გაფართოებაზე.

ამხ. დნეპროვსკის მოხსენება.

იმავე დილის მეორე სხდომაზე მოსმენილ იქნა „ცენტროსოიუზ“-ის ინსტრუქტორის ამხ. დნეპროვსკის მოხსენება სამეურნეო ინსტრუქტაჟის შესახებ.

რათა გატარებულ იქნეს სამეურნეო ინსტრუქტაჟი სამომხმარებლო კოოპერაციაში მომხსენებელს აუცილებლად მიაჩნია ინსტრუქტორების გარკვევა და წარმოდგენის ქონა როგორც „ცენტროსოიუზ“-ის, ისე ადგილობრივ ორგანიზაციების მუშაობაში.

ამასთანავე ინსტრუქტორებს უნდა აინტერესებდეს და ისინი უნდა ერკვეოდნენ იმ აპარატის სტრუქტურაში, რომელშიაც მათ უხდებათ მუშაობა, სახელდობრ იმაში, თუ როგორია გამგეობა და როგორ აწარმოებს იგი მუშაობას.

ინსტრუქტორებმა უნდა იცოდნენ დაწვრილებით ბალანსის ანალიზი, საქონლის შესყიდვის წესი და საქონელზე ფასების დადება. ინსტრუქტორებმა თვალყური უნდა ადევნონ საქონლის განაწილებას, ხელმძღვანელობა გაუწიონ ორგანიზაციებს საფინანსო მუშაობას და სათამასუქო საქმეს.

განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულონ ინსტრუქტორებმა გამგეობის საქმიანობის გეგმების შედგენაში.

კამათი.

ამხ. დნეპროვსკის მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი.

ყველა მათ მომხსენებელმა საბოლოო სიტყვაში სათანადო პასუხი გასცა და მისცა დამატებითი განმარტებები წამოყენებულ საკითხზე.

კომისიის არჩევა.

დასასრულ თათბირმა აირჩია სპეციალური კომისია გაკეთებული მოხსენებების შესახებ რეზოლუციების შესამუშავებლად.

საქონლის ჭირი

ერევანი, 11 ივნისი. მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატის ცნობით, **საქონლის ჭირი სომხეთის ფარგლებში საბოლოოდ მოისპო.**

ეილაღი

ერევანი, 11 ივნისი. მთიან ადგილებში წვიმები შესწყდა. კარგი ამინდის გამო მომთა-ბარების მოძრაობა ეილაღისაკენ ნორმალურ პირობებში მიმდინარეობს.

მიმდინარე წელს სომხეთში მორეკილ იქნება 500.000 სული საქონელი.

პარტიულ ინფორმატორების თათბირი

ერევანი, 11 ივნისი. **გაიხსნა სომხეთის პარტიულ ინფორმატორების პირველი თათბირი.** დღის წესრიგში სდგას—მოხსენებები ადგილებიდან და პარტიულ ინფორმაციის მორიგი ამოცანები.

პლანერის გამოცდა

ამ რამდენიმე დღის წინათ საქართველოს ავიაქიმის თბილისის საბჭოს სასპორტო სექციამ გამძლეობის გამოსარკვევად მოახდინა პლანერის გამოცდა. ამ პლანერს აშენებს ავიაქიმი საკავშირო შეჯიბრებაზე მონაწილეობის მისაღებად. გამოცდამ, რომელსაც აწარმოებდა სპეციალური კომისია ავიაქიმის უჯრედების მდივანთა თანადასწრებით, დამაკმაყოფილებელი შედეგი გამოიღო.

მოვიხადოთ ჩვენი საგადასახადო მოვალეობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამჟამად ჩვენში მიმდინარეობს დაკვრითი მუშაობა სახელმწიფო პირდაპირ გადასახადების ნარჩენების ლიკვიდაციისათვის. საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის საგადასახადო აპარატი, მიუხედავათ მრავალ გვარ დაბრკოლებისა, ენერგიულ მუშაობას აწარმოებს ამ ამოცანის შესასრულებლად.

ფინინსპექტორების მიერ ჩატარებული კამპანია, თავის უბნის გადამხდელთა საერთო კრებების მოწვევის სახით, სისტემატიური გახსენება, თვითეულ გადამხდელის პირადი ჩამოვლით, აი ის პრაქტიკული ზომები, რომლებსაც ფინინსპექცია ატარებდა, რათა მოქალაქეებს დროზე და უმტკივნეულოდ მოეხადათ თავისი დავალიანება. ხაზგასმულია ის გარემოება, რომ-ის ორგანოები, რომელნიც მოვალენი არიან თავისი ბეჯითობით მაგალითი მისცენ კერძო გადამხდელთ. სახელდობრ, სახელმწიფო-სავაჭრო-სამრეწველო და კოოპერატიული დაწესებულებანი, ხშირად თვით ივიწყებენ თავიანთ მოვალეობას და საგადასახადო აპარატს უხდება ამის წინააღმდეგ გადამჭრელ ზომებისათვის მიმართვა.

უნებლიე დაისმის საკითხი, იქნებ მოქალაქეს არ ძალუძს გადასახადის გადახდა? იქნებ ფინინსპექტორმა ვერ შეისწავლა მისი მეურნეობის შეძლებულობა და გააწერა მას ძალზე დიდი რაოდენობა გადასახადისა? ცალკე შემთხვევებში შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ ამჟამად ეს გამამართლებელ საბუთად არ გამოდგება, და აი რატომ: კანონმდებლობა ითვალისწინებს ამ შეცდომათა დაშვების შესაძლებლობას და უფლებას ანიჭებს ყველა გადამხდელს, საგადასახადო ფურცლის ფინინსპექტორისაგან მიღების დღიდან ერთი თვის განმავლობაში, გაასაჩივროს, თუ რაიმე უსწორობას შენიშნავს. საჩივარს, ადგილობრივ წინასწარ კვლევა-ძიების მოხდენით, იხილავს საუბნო კომისია, შემდეგ მას განიხილავს სამაზრო კომისია, და თუ საჭირო შეიქნა საბოლოო დასტურს აძლევს რესპუბლიკანური კომისია.. ყველა ჩამოთვლილ კომისიებში, რომელთა შემადგენლობაში შედიან როგორც კერძო, აგრეთვე სახელმწიფო სავაჭრო-სამრეწველო და სათანადო პროფორგანიზაციების წარმომადგენლები [illegible] ეძლევათ სრული საშუალება დამტკიცონ შეწერილ გადასახადის უსწორობა. ასეთი წესით სავსებით სწორდება შეცდომები, დაშვებულნი გადასახადის გაწერის დროს, მცირდება ჯამი შეცდომით შეწერილ დიდი რაოდენობის გადასახადისა, ღარიბთ ეძლევათ შესაძლო შეღავათები, უძლურნი მეურნეობანი ხშირად სრულიად თავისუფლდებიან გადასახადისაგან; ერთი სიტყვით, ხსენებულის შემდეგ ყველასათვის ნათელი უნდა იქნეს, რომ საბოლოოთ შეწერილი გადასახადის სისწორე ყოველ ეჭვს გარეშეა; ფინსახკომის გადასახადთა განყოფილება ყოველგვარ შესაძლო საშუალებას მიმართავს, რათა გადამხდელთ გაუადვილდეს მათზე შეწერილი გადასახადის უმტკივნეულოდ და დანიშნულ ვადაში გადახდა.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო გადასახადების ნარჩენების ჯამი ამ ბოლო ხასებში გაიზარდა და მნიშვნელოვან რაოდენობათ იქცა, ცხადია, რომ გადამხდელების ნაწილი განზრახ გაურბიან თავის საგადასახადო მოვალეობის შესრულებას სახელმწიფოს წინაშე.

ასეთ მდგომარეობის დატოვება შეუძლებელია. ის მოქალაქე რომელიც განზრახ გაურბის გადასახადის გადახდას, მტერია მუშურ-გლეხურ ხელისუფლების; ის მოქალაქე, რომელსაც შეგნებულად არ შეაქვს მუშურ-გლეხურ სალაროში თავის წილი გადასახადისა, რომელიც კვლავ მშრომელთა კეთილდღეობას უნდა მოხმარდეს, — ძირს უთხრის არსებულ ხელისუფლებას; ასეთ ურჩ და ბოროტ არაგადამხდელთა მიმართ დროა სათანადო ზომების მიღებისა, ვიდრე თვით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემამდე.

ფინაპარატი უკვე ემზადება ამ იძულებითი კამპანიისათვის. უბნებში სწარმოებს ურჩ და ბოროტ არაგადამხდელთა ქონების აღწერა. აგრეთვე განზრახულია რამოდენიმე ბოროტ არაგადამხდელთა საჯარო გასამართლება.

საჭიროა გადამხდელებმა საქმე არ მიიყვანონ უკიდურეს ზომების მიღებამდე და მოიხადონ თავისი საგადასახადო ვალდებულება სანამ კიდევ გვიან არ არის.

დ. მუჯირი.

ბრძოლა სიმულიაციასთან

ყოველგვარ ცუდ სოციალურ მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს შორის (ლოთობა, სამუშაო დროს გაცდენა და სხვა) საკითხი სიმულიაციასთან ბრძოლისა არის ერთი უდიდესი საქმე: ყველამ, ვისაც რაიმე საერთო დამოკიდებულება ჰქონია ოდესმე საექიმო-საკონტროლო კომისიების მუშაობასთან და აგრეთვე ჩვენს დამზღვევ სალაროებთან, კარგად იცის თუ როგორ იზრდება სიმულიანტების რიცხვი. სიმულიაცია ზარალს აყენებს არა მარტო დამზღვევ სალაროებს, არამედ ძირს უთხრის თვით სახალხო მეურნეობას.

შესაძლებელია თუ არა, რომ ამ უბედურებას გაუმკვლავდნენ მარტო ექიმები? უდავოა, რომ არა. მართალია, ექიმ-კონტროლიორის სინდისს ამ მხრივ ბევრი რამ შეუძლია გააკეთოს. კეთილ-სინდისიერი გაბედული ექიმი ასეთ შემთხვევებში პირდაპირ უწოდებს ყველა მოვლენებს თავის საკუთარ სახელს და სიმულიანტს დროზე ასწავლის ჭკუას, მაგრამ მარტო ექიმი ამ შემთხვევაში უძლური მებრძოლია.

ამ საკითხის უმტკივნეულოდ გადაწყვეტაში კი დაინტერესებული უნდა იყვნენ როგორც ექიმები, ისე ყველა ჩვენი პროფკავშირები. პარტიული და აგრეთვე დამსჯელი ორგანიზაციები და დაწესებულებანი.

ყოველი ცნობები სიმულიაციის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დამსჯელ ორგანიზაციებს სათანადო ზომების დროზე მისაღებად (ცნობილია, რომ საკურორტო სეზონებზე სიმულიაცია ერთი-ათად მატულობს) ექიმი ვალდებულია ყოველგვარი ცრუ „დასნეულებულება“ ამხილოს და სიმულიანტი მისცეს ხელში სახელმწიფოს გასასწორებლად.

სამწუხაროდ ამ დარგში შინიშნულია ერთ[illegible] სისუსტე. „ბეჰია - პროტექცია“ ამ შემ[illegible] შიაც ღუპავს საქმეს. გლეხების და მუ[illegible] [illegible] კაპიკებს ასეთი პროტექ[illegible] [illegible] საფრთხეს უწზადებენ. ჩვენი საბჭოთა [illegible] სასტიკად სდევნის და სჯის გამფლანგველებს. მაგრამ არსებობს ე. წ. პირდაპირი და არა პირდაპირი გამფლანგველი. ის დამნაშავენი ორივე ერთნაირად უნდა იქნენ დასჯილი. სიმულიაცია — ეს იგივე მფლანგველობაა; ვინც არ უნდა იყოს ამაში დამნაშავე — სასტიკი პასუხი უნდა მოეთხოვოს მას.

ჩვენს ექიმებს შეუძლიათ ამ დიდ საქმეში თვალსაჩინო როლი ითამაშონ.

საჭიროა აგრეთვე, რომ საექიმო - საკონტროლო კომისიები იქნან შევსებული საზოგადოებრივი მუშაკებით და მუშათა ორგანიზაციების მუდმივი წარმომადგენლებით.

თუ ამ მიმართულებით ვიმუშავებთ ჩვენ, ეჭვი არ არის სიმულიაციას მოვერევით და მას კიდეც მოვსპობთ. ამით დღეს სახელმწიფოს გადაურჩება არა ერთი და ორი ასი ათასი მანეთი.

ექ. ვ. მჭაჭანაძე.

გურიის ნავთი

ახლო ხანში საზღვარგარეთიდან მიღებული იქნება საბურღავი დაზგები, რომლებითაც დაიწყება ნავთის წყაროების გამოკვლევა გურიაში.

გურიის ნავთის წყაროების გამოკვლევა დაიწყო ჯერ კიდევ ომამდე, ომის დროს კი მუშაობა შეჩერებული იქნა. მუშაობა განახლებული იქნა მხოლოდ 1919 წელს „გურიის სინდიკატის“ მიერ, რომელშიაც შედიოდა ინგლისის რამოდენიმე სავაჭრო - სამრეწველო კამპანია. ნავთის წყაროების გამოკვლევაზე მუშაობდნენ გალიციელი ინჟენერ - გეოლოგები ინგლისელ ინჟენრების ბოვერდონ რედვუდის და ისტლეკის ხელმძღვანელობით. მუშაობის მთავარ ხელმძღვანელად დანიშნული იყო ვენის უნივერსიტეტის პროფ. ნოტი, ცნობილ ნავთის მკვლევარ პროფ. ნოტის შვილი.

გეოლოგიური გამოკვლევა აღნიშნული საზოგადოების მიერ დამთავრებული იქნა 1913 წლის შემოდგომაზე და გადაწყვეტილი იყო სარეწავების მოწყობა. პირველ ხანებში მოწყობილი იქნა სუფსის სარეწავი, რომელმაც მუშაობა დაიწყო 1914 წელს; იმპერიალისტური ომის დაწყების დროს ჭის სიღრმე უდრიდა 400 მეტრს; ჭა ამოთხრილი იყო თითქმის ნავთის ჰორიზონტამდე. სუფსის სარეწავის შემდეგ მოწყობილი იქნა სუსკურის და სამხეთის სარეწავი.

ომის გამოცხადების შემდეგ მუშაობა შეწყდა და, როგორც აღვნიშნეთ, განახლებული იქნა 1919 წელს, მაგრამ ხელახლა დაწყებული მუშაობაც ჩქარა შეწყდა.

გურიის ნავთის დამუშავება, ზღვის სიახლოვის გამო, შეიძლება ფართოდ იქნეს განვითარებული საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ, რომელმაც დაადგინა დაწყებული იქნეს მუშაობა გურიის ნავთის წყაროების გამოსაკვლევად და ომამდე არსებულ სარეწავების აღსადგენად.

გურიის ნავთის წყაროების გამოკვლევა და დამუშავება დაკისრებული აქვს აზერბეიჯანის ნავთის სამმართველოს, რომელიც მუშაობას შეუდგება საზღვარგარეთიდან გამოწერილ მანქანების მიღებისთანავე.

განზრახულია გურიის ნავთის წყაროების გამოკვლევა ფართო მასშტაბით იქნეს წარმოებული.

ხელფასის გამოკვლევა

ამჟამად თბილისში მიმდინარეობს საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკების ხელფასის რაოდენობის გამოკვლევა.

გამოკვლევას მიზნად აქვს დასახული თვითეულ პროფესიის და სქესის მოსამსახურეთა ხელფასის მდგომარეობის შესწავლა, მოსამსახურეთა განაწილება ჯამაგირების რაოდენობის მიხედვით, და ხელფასის უნიფიკაციის ცხოვრებაში გასატარებლათ ცნობების შეკრება.

საამისოდ შესაფერი მუშაობა დაიწყო 9 ივნისს და დასრულდება 20 ივნისს. თბილისში გამოკვლევის დასრულების შემდეგ, ასეთივე გამოკვლევა ჩატარდება პროვინციაშიაც. გამოკვლეული იქნება 7 სანიმუშო მაზრა.

მთელი მასალები გამოკვლევის შემდეგ გადაეცემა საბჭ. და სავაჭ. მუშაკების პროფკავშირის ცენტრალურ გამგეობას.

პოლიტგანმანათლებელი მუშაობა სოფლად

(ქოხ-სამკითხველო)

სოფლის ერთ-ერთ კულტურულ კერათაგანს წარმოადგენს ქოხ-სამკითხველო. მოზრდილ მოსახლეობის განათლების სისტემაში ქოხ-სამკითხველო ყოველ წლობით იზრდება, როგორც მასსიური ორგანიზაცია. სამწუხაროთ ქოხ-სამკითხველოს მიზნები და ამოცანები ჯერ კიდევ ვერ აქვთ საკმაოთ გარკვეული ყველა კულტურულ ძალებს.

ჩვენი მიზანია თუნდაც მოკლე განმარტების მიცემა იმის შესახებ, თუ რა უნდა მისცეს გლეხობას ქოხ-სამკითხველომ და საითკენ უნდა მისწრაფოდეს ის.

1. ქოხ-სამკითხველო უნდა დაეხმაროს გლეხს მისი მეურნეობის გაუმჯობესებაში—აგრონომიული, კოოპერატიული და სანიტარული პროპაგანდის რაციონალური დაყენების გზით.

2. მანვე უნდა გაუწიოს დახმარება საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობას; საბჭოთა კანონიერების პოპულიარიზაციით, საარჩევნო კამპანიებში მონაწილეობით და სამხედრო პროპაგანდის წარმოებით.

3. ის უნდა უწყობდეს ხელს საბჭოთა საზოგადოებრიობის განვითარებას.

4. მან უნდა აამაღლოს სოფლის საერთო კულტურული დონე—წიგნით, გაზეთით და წრეების მუშაობით, განსაკუთრებით თვითგანვითარების წრეების საშუალებით.

აგროპროპაგანდა. გლეხების მეურნეობრივი და კულტურული აქტივობის ზრდა ჰქმნის ხელსაყრელ პირობებს პოლიტგანდაწესებულებათა სამუშაოთ სოფლის მეურნეობის აღდგენა-გაუმჯობესებისათვის. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და პოლიტგანათლების მთავარსამართველოს შეთანხმებულ ცირკულიარის შედეგათ აგრო-პროპაგანდა შეიქნა ნაწილი საპოლიტგანმანათლებლო მუშაობისა. ლიტერატურა პროპაგანდისათვის ჩვენში ყოველდღე მატულობს. თუ დღემდის ჩვენში აგროპროპაგანდა ტარდებოდა სასოფლო სამეურნეო ლექციებისა და საუბრების გზით, ეხლა ყოველ დროს გადავიდეთ გაღრმავებულ მუშაობაზე წრეების საშუალებით. საჭიროა გვქონდეს მტკიცე პროგრამა, რომელიც გამოდგება ჩვენი ქვეყნის ყველა სამეურნეო რაიონისათვის.

უნდა მიექცეს ყურადღება სასოფლო-სამეურნეო ექსკურსიებს (საცდელ მინდვრებში, საბჭოთა მეურნეობებში, გამოფენებზე და სხვა). როგორც ამა თუ იმ აგრონომიულ ღონისძიებათა თვალსაჩინო შესწავლას. ეს წრეები ხელს შეუწყობენ გლეხობას თავისი მეურნეობის გაუმჯობესებაში, დაუახლოვებენ მათ სოფლის მეურნეობის კოლექტიურ ორგანიზაციას, ჩაუნერგავენ ტეხნიკის გამოყენების საჭიროებას სასოფლო მეურნეობაში. ამ წრეებს შეუძლიათ გააუმჯობესონ კოოპერაციის საქმეც, თუ მათში ჩააბამთ აგრონომს, კოოპერატორს და სხ. რომლებიც დაკავშირებული არიან მეურნეობასთან. აგროპროპაგანდას უნდა დაუკავშირდეს ტყის საქმის გარკვევაც. აგროპროპაგანდის პროგრამაში უნდა ჩართულ იქნას მეცნიერულ საბუნებისმეტყველო საგნებიც, როგორც აგროპროპაგანდის გატარების საფუძველი.

კოოპერატიული პროპაგანდა. ქოხ-სამკითხველო მოვალეა დაეხმაროს კოოპერატიულ ორგანოებს და მოსახლეობას გლეხის მეურნეობის გარდაქმნის საქმეში, იმავე დროს, კარგათ დაყენებული კოოპერატიული პროპაგანდა წარმოადგენს საუკეთესო მეთოდს მოზრდილ მოსახლეობის მოსაზიდავათ ქოხ-სამკითხველოში.

მასსიურ კოოპერატიულ აგიტაცია-პროპაგანდის პირველ მეთოდათ უნდა ჩაითვალოს ლექციები, საუბარი, კითხვა, კოოპერატიული კამპანიები, კოოპერატიული გასამართლებანი, გამოფენა და სხვ.

კოოპერატიული პროპაგანდის შემდეგი საფეხურია გაღრმავებული მუშაობა ქოხ-სამკითხველოს კოოპერატიულ წრეებში, რომლის საშუალებითაც მიიმართება მასსიური კოოპერატიული მუშაობის შემდეგი განვითარება. კოოპერატიული წრეების ძირითადი ამოცანები უნდა იქნეს: 1. შესწავლა კოოპერაციის ეკონომიური და პოლიტიკური როლისა საბჭოთა აღმშენებლობაში; 2. კოოპერაციისადმი კლასიურ მიდგომის გაშუქება; 3. კოოპერაციის ორგანიზაციული კითხვების შესწავლა და 4. კოოპერაციის ტეხნიკის ცოდნის და პრაქტიკის მიღება.

საბჭოთა კანონიერება და ქოხ-სამკითხველო. მთელი რიგი მასალებისა ადგილებიდან მოწმობს, რომ ამ ჟამად სოფელი ბევრგან უკმაყოფილოა ზოგი ადმინისტრატორის და საზოგადოთ ზოგი სოფლის მუშაკების ან უყურადღებო ან და თვითნებური მოპყრობით. გლეხი უნდა გრძნობდეს, რომ საბჭოთა ხელისუფლება არის მისთვის ყველაზე უფრო შესაფერი ხელისუფლება. ქოხ-სამკითხველომ ამ მხრივ უნდა შეასრულოს დიდი სამუშაო. უწინარეს ყოვლისა მან უნდა აწარმოს მუშაობა საბჭოთა ხელისუფლების ყველა დეკრეტის და დადგენილების გასაშუქებლათ. ამასთანავე უნდა მოწესრიგდეს საცნობარო მუშაობა რაც ჩვენში კარგ ნაყოფს იღებს. საცნობარო მუშაობის ერთ უკეთეს ფორმათ უნდა ჩაითვალოს კითხვა-პასუხების საღამო. სასურველია ამ საქმეში სახალხო მსაჯულების ჩაბმა, სადაც ასეთები არიან.

სოფლად საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებათა გატარების საქმეში ერთ საშუალებათ უნდა ჩაითვალოს გაზეთის გავრცელება და ქოხ-სამკითხველოში კედლის გაზეთის გამოცემა. სოფლად კედლის გაზეთის გამოცემის საქმეში არ უნდა ქონდეს ადგილი პარალელიზმს სხვადასხვა ორგანიზაციებს შორის. საჭიროა სარედაქციო კოლეგია, რომელიც უხელმძღვანელებს კედლის გაზეთის მუშაობას. კედლის გაზეთი უმთავრესად უნდა გამოხატავდეს ადგილობრივ ცხოვრებას, ადგილობრივ ორგანიზაციების და დაწესებულებათა მუშაობას, უნდა უწყობდეს ხელს მათი ნაკლის აღმოფხვრას და აძლევდეს გლეხს განმარტებებს. ის უნდა ჰქმნიდეს ცენტრალურ გაზეთებისათვის კორესპონდენტების კადრს.

სამხედრო პროპაგანდა. საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობაში დიდი ადგილი უჭირავს წითელი ლაშქრის ორგანიზაციას, ტერიტორიალურ სისტემის საქმეს. საპოლიტგანმანათლებლო მუშაობამ ამაშიც უნდა მიიღოს მონაწილეობა.

მას შემდეგ, რაც წამოყენებული იქნა ლოზუნგი მოსახლეობის სამხედრო მომზადების შესახებ, სამხედრო პროპაგანდა სწარმოებს სოფლადაც, სადაც მისი მესვეურები შეიქნენ დემობილიზაციაქმნილი წითელარმიელები. [illegible] გამოხატულება ამ მუშაობამ ჰპოვა ქოხ-სამკითხველოშიაც, სადაც არიან სამხედრო კუთხეები. ამ მხრივ დიდ დახმარებას უწევენ ტერარმიელები, სასწავლო წრეები, რომელთა წარმომადგენლები ბევრ შემთხვევებში არიან სამხედრო წრის ხელმძღვანელები.

თავის მხრივ სამაზრო ფიზკულტურის საბჭოები იჩენენ კავშირს ქოხ-სამკითხველოსთან და აძლევენ მათ ზოგჯერ სპორტმოედანის მოსაწყობათ საშუალებებს.

დახმარება საბჭოთა საზოგადოებრიობის განვითარებაში. ქოხ-სამკითხველო მუდამ უნდა აძლევდეს ახსნა-განმარტებას გლეხობის შეკითხვებზე, განსაკუთრებით კი ურთიერთ დახმარების საკითხებში.

გლეხკომები კი თავის მხრივ ყოველგვარ დახმარებას უნდა უწევდენ ქოხ-სამკითხველოს, ისინი უნდა შველოდენ მატერიალურადაც მას ბინის შეკეთებას, მოწყობილობის, ინვენტარის, ლიტერატურის და სხვ. საქმეში.

გლეხ ქალთა შორის მუშაობა. გლეხ ქალთა შორის მუშაობა უნდა ჩაითვალოს ქოხ-სამკითხველოს მუშაობის ერთ ძირითად ამოცანათ. გლეხი ქალი ჯერ კიდევ ნაკლებათ არის ჩაბმული საზოგადოებრივ მუშაობაში. ნაკლებათ არის მოზიდული საპოლიტგანმანათლებლო მუშაობაში, ვიდრე გლეხი მამაკაცი. მისი დატვირთვა ოჯახურ საქმეებით, ქმრისაგან დამოკიდებული მდგომარეობა, ნაკლები კულტურული მოთხოვნილება—აშკარად საგრძნობია.

გლეხთან ერთად ყველგან ვერ ვხვდებით ჩვენ გლეხ ქალს. ამავე დროს [illegible] ქალები შეადგენენ სოფლის მოსახლეობის ნახევარს. სანამ გლეხი ქალი არ ჩაბმულა საზოგადოებრივსა და საბჭოთა მუშაობაში. მანამ არ შეიძლება ითქვას, რომ გლეხი ქალი მასსიურად მონაწილეობს საბჭოთა აღმშენებლობაში. ამ სამუშაოს საგრძნობი ნაწილი უნდა შეასრულონ საპოლიტგანმანათლებლო დაწესებულებებმა და კერძოთ ქოხ-სამკითხველოებმა. საუბედუროთ მუშაობის ამ დარგს ჯერ-ჯერობით კიდევ არ აქვს დიდი მიღწევები. საერთო მდგომარეობა შეიძლება დახასიათდეს როგორც სუსტი. არის ქოხ-სამკითხველოები, რომლებიც სრულებით არ აწარმოებენ გლეხ-ქალთა შორის მუშაობას. ქოხ-სამკითხველოთა დიდ ნაწილს თავის სამუშაო გეგმაში არც კი შეაქვს გლეხ ქალთა შორის მუშაობა, განისაზღვრე[illegible] საყურადღებო მომენტებში მათთვის ყურადღების მიქცევით (8 მარტი მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღე და სხვ.).

სხვადასხვაგვარათ შეუძლია ქოხ-სამკითხველოს გლეხ-ქალთა შორის მუშაობა. შეიძლება ქოხთან მოეწყოს გლეხი ქალის კუთხე, სადაც თავს იყრის მათთან მთელი მუშაობა; შეიძლება ქოხ-სამკითხველომ კვირაში ერთი ან ორი დღე დაუთმოს გლეხ-ქალთა მუშაობას და სხვა. გლეხ-ქალთა შორის მუშაობის ყველაზე სწორ მეთოდათ უნდა ჩაითვალოს მათთან სხვადასხვა პრაქტიკულ თემებზე საუბარის გამართვა.

სანიტარული განათლება. სოფლად საპოლიტგანმანათლებლო მუშაობის გეგმაში შედის სანიტგანათლების საქმე. უმისოდ ძნელია სხვა საპოლიტგანმანათლებლო მუშაობის გატარებაც. საბუნებისმეტყველო მეცნიერული კითხვები უფრო ადვილია გატარდეს სანიტგანათლების მუშაობის გეგმით. ახალი ყოფა - (ცხოვრების საკითხები სოფლად ვერ იქნება გადაწყვეტილი გარეშე ვრცელი სანიტგანმანათლებელი მუშაობისა. სანიტგანათლება შეეხება სოფლის კეთილ-მოწყობის, მისი საბინაო მშენებლობის ყოფა-(ცხოვრებრივი ზნეჩვეულებათა შეცვლის საქმეს.

საჭიროა გამოყენებულ იქნას და გატარდეს ცხოვრებაში შეთანხმება პოლიტგანათლების მთავარმართველობასა და ჯანსახკომ შორის. უნდა ჩავაბათ ქოხ-სამკითხველოს მუშაობაში სანიტმომუშავენი და გადავიდეთ წრეებში მუშაობაზე.

წიგნი და წიგნით მუშაობა. გლეხკომების კეთილდღეობის აწევის საქმეში წიგნს აქვს უდიდესი მნიშვნელობა. თვითგანვითარება უწიგნოთ წარმოუდგენელია. ჩვენი წიგნთსაცავების საშუალებით ყველას დაკმაყოფილება შეუძლებელია. ამიტომ თვითგანვითარების ზრდა სოფლად აყენებს ახალ ამოცანას—შევაჩვიოთ გლეხი (განსაკუთრებით ახალგაზრდა) მისთვის საჭირო წიგნის შეძენას. ჩვენი ქოხ-სამკითხველო ამ მხრით შეასრულებს დიდ მუშაობას, თუ ის შესძლებს სწორათ დააყენოს წიგნის პოპულიარიზაციის საქმე და გაუღვივებს გლეხობას წიგნის მოთხოვნილებას და შეძენის სურვილს. ამასთანავე გამგეებმა [illegible] უნდა იცოდნენ თუ რომელ წიგნს კითხულობს გლეხობა, რომელი წიგნი სჭირია გლეხს სამუშაოთ. უნდა გვქონდეს აგრეთვე მოძრავი ბიბლიოთეკები. ქოხ-სამკითხველოს მთელი მუშაობის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს წიგნი.

გაზეთით მუშაობა. გაზეთით მუშაობის ყველაზე უფრო ხელსაყრელ მეთოდათ უნდა ჩაითვალოს გაზეთის ხმა-მაღალი კითხვა. ეს მეთოდი შეუძლია გაატარონ მასწავლებლებმა, კომკავშირელმა, მოწინავე გლეხმა და სხვა მოხალისე კულტურულ პირმა. ქოხის გამგემ გაზეთი უნდა გამოიყენოს ცნობების მისაცემად, ყოველდღიურ მუშაობისათვის საჭირო ალბომის შესაქმნელად და სხვ.

გარდა ამისა, საჭიროა ზეპირი საუბრების გამართვა გაზეთში წამოჭრილ საკითხების განსამარტავათ.

საზოგადო განათლების მიღების საქმეშიც ლიკსკოლის და მოზრდილთა სხვა სკოლების ხაზით ქოხ-სამკითხველომ საგრძნობი როლი უნდა შეასრულოს, საჭიროა შესწავლა წ.-კ. უცოდინარ მოზარდთა, სკოლის ჰასაკის გადაშორებულთა, პიონერ მოძრაობისა და სკოლის ჰასაკამდე აღზრდის საკითხების, რათა ქოხ-სამკითხველო ჭეშმარიტათ იქცეს სოფლის მთელი კულტურული ცხოვრების ცენტრათ.

თავის თავად ცხადია, რომ მარტო ქოხ-სამკითხველოს გამგე ამ ვეებერთელა სამუშაოს ვერ დასძლევს, თუ ის არ გამოიჩენს კარგ ორგანიზატორულ უნარს, თუ ვერ შესძლებს ყველა ადგილობრივ ორგანოთა გამოყენებას კულტურული ძალებით. ამ საქმის სწორი დაყენება არის ჩვენი გამარჯვებისა და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების თავდები.

სამაზრო განათლების განყოფილებათა და პოლიტგანყოფილებათა გამგეების ყრილობამ ამ დღეებში ჩვენ ფაქტებით ხელში უნდა დაგვანახვოს ის კონკრეტიული მიღწევანი, რომლებიც გვაქვს საპოლიტგანმანათლებლო დარგში.

ლ. რუხაძე.

გამოიწერეთ
ჟურნალი
სოფლის კომუნისტი

საკპცკ ორგანო

შინაარსი:

ფ. მახარაძე—„სოფლის კომუნისტი“ და სოფელში მუშაობა

მ. ორახელაშვილი—მესამე საკავშირო

„სოფლის კომუნისტი“ საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის ერთად-ერთი ჟურნალია, რომელიც მიზნად ისახავს გააშუქოს სოფლად პარტიული და საბჭოთა მუშაობის პოლიტიკა.

„სოფლის კომუნისტი“ არკვევს პარტიულ მუშაობის ამოცანებს სოფლად მუშაობის სხვადასხვა დარგში; **პარტიული ცხოვრება, სოფლის საბჭოების მუშაობა, სამეურნეო მშენებლობა, სასოფლო მეურნეობის საკითხები, სოფლად ახალი გაუმჯობესებული სამეურნეო იარაღების შეტანა, სარწმუნოების და ადგილობრივი ყოფა-ცხოვრების საკითხი, გლეხკორების მოძრაობა და სოფლის სხვადასხვა კულტურული საქმეები ჟურნალში პოულობს ახსნა-გაშუქებას.**

ჟურნალი არკვევს აგრეთვე საერთაშორისო პოლიტიკურ მდგომარეობას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს.

„სოფლის კომუნისტს“ უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოფლად მომუშავე ამხანაგების გათვითცნობიერების საქმეში, ამიტომ ამ ჟურნალს აუცილებლად უნდა კითხულობდეს უჯრედის თითოეული წევრი.

არ უნდა დარჩეს არც ერთი ამხანაგი, რომელსაც არ ექნება გამოწერილი **„სოფლის კომუნისტი“.**

ჩვენი ლოზუნგია: **მიმდინარე წელში 10 ათასი ტირაჟი „სოფლის კომუნისტი“-ს!**

საჭიროა და აუცილებელი ჟურნალის გავრცელება უპარტიო აქტივს შორის. ეს საქმე უნდა იკისრონ განსაკუთრებით უჯრედის აქტიურმა წევრებმა.

„სოფლის კომუნისტი“-ს გავრცელებაში, ხელისმოწერის მიღებაში უნდა ჩავითრიოთ ქოხ-სამკითხველოს გამგე, მასწავლებელი და სხვა. ამით შევძლებთ ამ ჟურნალის მასსიურ გავრცელებას.

ხელისმოწერის პირობები:

1 წლით	2 მანეთი
ნახ. „	1 „
3 თვით	60 კაპ.
ცალკე ნომერი	20 „

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

თბილისი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბეჭდვითი განყოფილება, რუსთაველის 22.

ქრონიკა

დახმარება მეცხვარეებს

მიმდინარე წლის აპრილის ცუდმა ამინდებმა შირაქის ველზე და ზოგიერთ სხვა რაიონებში საქართველოს მეცხვარეობას საგრძნობი ზარალი მიაყენა ცხვრის მასიურად გაწყვეტის სახით.

საქ. უმაღლეს ეკონომიურმა საბჭომ მიიღო რა მხედველობაში აღნიშნული მდგომარეობა, მიწად-მოქ. სახ. კომისარიატს დაავალა დაინტერესებულ უწყებებთან ერთად გამოარკვიოს ამ ზარალის რაოდენობა და შესაფერი მოხსენება წარმოუდგინოს საბჭოს მეცხვარეთათვის დახმარების გასაწევათ.

საპნის წარმოება

საქ. უმაღლეს ეკონომიურმა საბჭომ დაავალა სახელმწიფოს საგეგმო კომისიას დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად გამოარკვიოს საპნის წარმოების ნედლეულით მომარაგების საკითხი და მოხსენება საჭირო ზომების მისაღებათ წარმოუდგინოს საბჭოს.

მეცხვარეთა კომიტეტი

ამიერ-კავკასიის უმაღლეს ეკონომიურმა საბჭომ გადასწყვიტა აღძრას შუამდგომლობა ქ. უმაღლეს ორგანოების წინაშე საკავშირო შრომის და თავდაცვის საბჭოსთან დაარსდეს მეცხვარეობის კომიტეტები.

მიწად-მოქ. სახ. კომისარიატში

— **ახალი სანერგე.** კომისარიატმა ქრებალოში მოაწყო ამერიკული ვაზის სანერგე, სადაც წელს დამზადდება 200 ათასი ნამყენი ვაზი.

— **სასოფლო-სამეურნეო აღწერის** მიხედვით, საქართველოში ამჟამად ითვლება 25 ათასი დესეტინა ვენახი.

— **მიმდინარე წელში** საზღვარ-გარეთიდან გამოწერილია 4.300 ათასი მეტრი ამერიკული ვაზის ლერწი.

— **გლეხთა ცენტრალურ სახლთან** კომისარიატმა მიამაგრა კომისარიატის კოლეგიის წევრი ამხ. მელაძე.

სოციალ. უზრუნველყოფა

— **გაძლიერებული პენსიები.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა მაისში დამსახურებულ საზოგადო მოღვაწეებს გაძლიერებულ პენსიების სახით დაურიგა 3.149 მანეთი და 60 კაპიკი.

— **პენსიები და ერთდროული დახმარებები.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის თბილისის საპენსიო განყოფილებამ მაისში პენსიების და ერთდროული დახმარებების სახით ინვალიდებს და ღარიბებს მისცა 4.100 მანეთი.

— **ინვალიდთა სახლები.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს მაისში ინვალიდთა სახლების შენახვა დაუჯდა—3.975 მანეთი და 59 კაპიკი.

— **შეღავათი.** მაისში სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატიდან შეღავათიანი რკინისგზის ლიტერებით ისარგებლა 84 ინვალიდმა.

— **გაცემულ დახმარებების რაოდენობა.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მთავარ სამმართველოდან მაისში დახმარების სახით დაურიგდა გაჭირვებულებს და ღარიბებს 2.926 მანეთი და 80 კაპიკი.

აგარაკებზე

— **წყალტუბოში, ბახმაროსა და ცემში** საგარაკო სეზონის განმავლობაში მოწყობილი იქნება დროებითი ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებები.

— **ბავშვები აგარაკებზე.** 15 ივლისიდან თბილისიდან დაიწყება ბავშვების გაგზავნა კოჯორსა, აბულაღსა, ხევსურეთსა და სხ. საგარაკო ადგილებზე.

— **ბახმაროში** წლის ოთახები ღირს პირველ კატეგორიის 1 მ. 50 კ. არშინი, მე-2 კატეგორიის—1 მ. და მე-3 კატ. 80 კ.

— **საკურორტო მაჩვენებელი.** გამოვიდა საკურორტო გზის მაჩვენებელი. წიგნს დართული აქვს ქარტები და ახსნა-განმარტებები აგარაკების შესახებ.

სხვადასხვა

— **საბინაო მშენებლობა.** ტროცკის სახელობის საბინაო-სამშენებლო ამ-ბას საამშენებლო ფონდიდან მიეცა მუშაობის გასაცხოველებლად 5000 მან.

— **თამბაქოს ნათესები.** უკანასკნელ ხანებში აფხაზეთში მოსულმა დიდმა წვიმებმა და გრიგალმა ძლიერ დააზიანა თამბაქოს მეურნეობა.

— **საზღვარგარეთ წასვლის** ნება გასულ წელს მიეცა 1828 კაცს. მათ შორის 131 მუშაა, 105 გლეხი, 134 ინტელიგენტი, 323 ვაჭარი და დანარჩენი სხვა წოდების მოქალაქენი.

— **ჩაუბარებელი დეპეშები.** წნორის წყალიდან—გუნცაძეს, ლენინაკანიდან—არხიპოვს, ზოკულტუკიდან—ლხიპოვს, დინსკოიდან—აგიაიანცს, ახალციხიდან—შუშანიას, მოსკოვიდან—ილინს, ბათომიდან—გაბრილოვიჩს, მინ. წყლებიდან—გოგის, ეჩმიაძინიდან—სუბარიანცს, ერევნიდან—მორრეტის.

შემთხვევები

დაჭრა

ხუთშაბათს 10 ივნისს, საღამოს დ. ყიფიანი, ღვებუაძე და კიკნაძე საქეიფოდ შევიდნენ ბაღ-რესტორან „არტოში". კომპანია დილამდე განაგრძობდა ქეიფს. დილის 5 საათზე, ჩხუბი მოუვიდათ. მიქელაძე, რომელიც მეორე სუფრაზე ქეიფობდა ჩაერია გამშველებლად. ჩხუბის დროს ხანჯლით მსუბუქად დაიჭრა დ. ყიფიანი.

ყიფიანი მოთავსებულია საავადმყოფოში. საქმე გადაეცა სახალხო სასამართლოს.

— **ბავშვის გვამი.** გუშინ ღამით მდ. მტკვარში იპოვნეს ბავშვის გვამი მამრობითი სქესისა. გამორკვეულია, რომ ბავშვი გადაგდებული იყო წყალში თვით დედის მიერ დაბადების შემდეგ. ბავშვის დედა აღმოჩნდა ტოხო-საბი-ოღლი, მცხოვრები დიდუბის ქ. № 7.

ბავშვის დედა დაპატიმრებულია.

— **დაიკარგა ბავშვი.** 7 ივლისს, ქ. გორიდან გამოიპარა და დაიკარგა 9 წლის ბავშვი გრიშა მეზვრიშვილი. ვინც რაიმე იცის მის შესახებ —თხოვნაა აცნობოს თბილისში, ლარის ქუჩა, № 3, ა. მურჩაშვილს.

— **თვითმკვლელობა.** გუშინ ღამით გოგოლის ქ. № 24 გაბრიელ გულიაშვილმა 75 წლ. თვითმკვლელობის მიზნით დანით გადიჭრა ყელი. დაჭრილი გადაგზავნილია საავადმყოფოში. მიზეზი გამოურკვეველია.

— **ქურდი ძიძა.** 10 ივნისს ლენინის სახელობის ძუძუმწოვარ ბავშვთა სახლის (№ 1) ძიძამ ნინა მენაფირემ მეორე ძიძას მოჰპარა სხვადასხვა ნივთები. დამნაშავე შეიპყრეს.

— **ქურდი.** 10 ივ. ლენინის ქ. № 59 მიხეილ ხითაროვის ბინაზე შეიპყრეს ჩინელი ასი-ასი, რომელსაც უნდოდა გაექურდა აღნიშნული ბინა.

— **დაჯახება.** 10 ივნისს რიყის ქუჩაზე დილით ტრამვაის რონოდა № 117. დაეჯახა კარაპეტიანცის ეტლს და დაამსხვრია. მსხვერპლი არ ყოფილა.

— **დაჭრა.** 10 ივნისს ვასილ ლუკაშვილმა სასიკვდილოთ დაიჭრა [illegible].

— **თავდასხმა.** სოფ. წიკლაანთ კარში ნადირა ერთი დამცემელთაგანი ტონა დალაური შეპყრობილია.

— **უბედური შემთხვევა.** სოფ. საგარეჯოში სოლომონ ოტიაშვილს ხის მოჭრის დროს თავში დაეცა მოჭრილი ხე და მოჰკლა.

— **დახრჩობა.** სოფ. პრიუტიდან 7 ვერსით დაშორებით მდ. ალგეთში გასვლის დროს დაიხრჩო დავით ნანობაშვილი.

— **შეპყრობა.** 10 ივნისს ჯიბგირობისათვის შეიპყრეს ყურბან-ოღლი და ალი მოჩაილ-ოღლი.

— **ქურდობა.** 10 ივნისს ხოჯევანქის ქ., № 15, გაქურდეს სერგო ბეგოიანცის ბინა.

— ამავე დღეს კირკის ქ. № 21 გაქურდეს ლიუბა ცაავას ბინა.

— **ქურდი ცოლი.** 10 ივნისს ყორღ. ქ. № 38 გიორგი მერაბიშვილის ბინა გაქურდა მისმა ცოლმა ოლღამ.

ხელოვნება

სურათების გამოფენაზე.

ამ ერთი კვირის წინათ რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიხსნა პროფ. თოიძის სტუდიელების სურათების გამოფენა.

გამოფენაზე მონაწილეობას იღებენ უმთავრესად მოზარდი მხატვრები. აქ წარმოდგენილია დასრულებული და ორიგინალური სურათები.

გამოფენილ სურათებს შორის აღსანიშნავია „თეთრი ღამე"-ს სურათების სერია მინიატურებში (თავისუფალი ფანტაზია). სურათები ეკუთვნის ახალგაზრდა მხატვარ კეცხოველს. აღსანიშნავია „თბილისის ქუჩა"—გრიბანოვასი და მ. თარიშვილის სურათების სერია საღებავების სიუხვით და რელიეფობით.

გამოფენაზე თავისებურათაა წარმოდგენილი აგრეთვე რევოლიუცია („ქალის განთავისუფლება", „მჭედლები" და სხვა).

გამოფენა საკმაო ინტერესს იწვევს საზოგადოებაში; მას ყოველდღიურად ათვალიერებს რამოდენიმე ასეული კაცი.

გამოფენა დაიხურება 16 ივნისს.

დ.

ხელოვნების ქრონიკა

— **განათლების მუშაკთა სახლში.** შაბათს, 12 ივნისს, საღამოს 8 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში გაიმართება უფასო კინო.

— **ქალ. 1-ელ საავადმყოფოს კლუბში.** კვირას, 13 ივნისს, ავლაბრის მუშათა კლუბთან არსებული ქართული დრამწრის მიერ წარმოდგენილი იქნება „ხანუმა". ხანუმას როლს შეასრულებს ძველი სცენის მოყვარე ბესო მაისურაძე.

— **საღამოს გადადება.** საღამო-სეირნობა, რომელსაც აწყობს საქართველოს ავიაქიმი სავაჭრო და საბჭოთა მოსამსახურეების საზაფხულო კლუბში, გადადებულია 20 ივნისისათვის.

— **ნინო ხოზერილის კონცერტი.** დღეს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება ქართულ რომანსების და ხალხურ სიმღერების შემსრულებლის ნინო ხოზერილის კონცერტი.

— **დიდი საღამო-სეირნობა.** დღეს საბჭოთა მუშაკების კლუბში გაიმართება დიდი საღამო-სეირნობა.

— **მფრინავი ბალეტი.** მცირე წითელ თეატრში დღეს გაიმართება მფრინავი ბალეტი.

— **სომხური აკადემიური დრამა** დღეს რუსთაველის თეატრში დადგამს „ტარტიუფს".

— **კინო „მაჯის"-ში** დაიწყო „კუნძულის საიდუმლოებანი" მე-3-ე სერიის ჩვენება.

— **ახალი თეატრი.** ქობულეთში დაიწყეს ახალი თეატრის აგება. თეატრი დაიტევს 400 კაცს.

დღეს კინოებში.

ეთერი—„ქალი მთის მწვერვალებიდან".
აპოლო—„შუქი სიბნელეში" პიკფორდის მონაწილეობით.
სოლეი—„მიხაელ".
პალას—„კუნძულის საიდუმლოება".
ოაზის—„ნათელა" ნატა ვაჩნაძის მონაწილეობით.

აგარაკებზე

საგარაკო სეზონი დაიწყო

თელავის სამაზრო პროფბიურომ შუამთის ყოფილ მონასტერში მოაწყო დასასვენებელი სახლი, სადაც მიმდინარე საგარაკო სეზონში გაგზავნილი იქნება 50 მუშა-მოსამსახურე.

დასასვენებელი სახლი შუა-მთაში

თბილისის დამზღვევი კასა სამშაბათ 15 ივნისიდან ახტალაში გზავნის იმ დაზღვეულ მუშა - მოსამსახურეებს, რომელნიც ახტალის ტალახით მკურნალობას საჭიროებენ.

ავადმყოფების გაგზავნა ახტალაში

მიუხედავათ ცივი და წვიმიანი ამინდებისა, მაისის უკანასკნელ კვირიდან დაიწყო მოაგარაკეების გამგზავრება თბილისის მაზრის აგარაკებზე. ყველაზე ადრე, საგარაკო სეზონი დაიწყო მანგლისში, სადაც საგარაკო სახლების დიდი ნაწილი დაკავებულია ჩამოსულ მოაგარაკების მიერ.

ოთახების ჩამორთმევა თბილისის აგარაკებზე

იმ პირებს, რომელთაც მიცემული ჰქონდათ ოთახები თბილისის მაზრის აგარაკებზე და დანიშნული ვადაზე საიჯარო ქირა ვერ გადაიხადეს, დაკვეთილი ოთახები ჩამოერთმევათ.

აგარაკებზე მიმავალთა საყურადღებოდ.

თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების საკურორტო სექციის განკარგულებით მოაგარაკენი, რომელნიც თბილისის მაზრის აგარაკებზე მიემგზავრებიან და აგარაკებზე ოთახები უკვე დაკვეთილი აქვთ, ვალდებულნი არიან შეიარონ ჯანმრთელობის განყოფილების საკურორტო სექციაში, იმ მიზნით, რომ მიიღონ ცნობა აღებული ოთახის ინვენტარის და მორთულობის შესახებ.

ცაკში

საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა სათემო საბჭოებს მიანიჭა სავალდებულო დადგენილებების გამოცემის უფლება, რასაც ისინი დღემდე მოკლებული იყვნენ, თუ სათანადო ნებართვას არ მიიღებდენ ზემოთ მდგარ ორგანოებიდან.

ამასთანავე ცაკმა მიიღო დადგენილების პროექტი სათემო აღმასკომების მიერ გაცემულ სავალდებულო დადგენილებების დარღვევისათვის ადმინისტრატიულ სასჯელის შემოღების შესახებ.

ცაკმა დაადასტურა აგრეთვე თემაღმას კომების უფლება, გარიგებების, ხელშეკრულებების და საბუთების შემოწმების შესახებ. აღნიშნული დადგენილებები ცაკის მიერ გამოქვეყნებული იქნება ცალკე.

საგეგმო კომისიაში

საკონტროლო ციფრების დამუშავება.

საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა დაავალა თავის სექციებს დაუყოვნებლივ შეუდგენ 1925—26 წლის სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრების შეჯგუფებითი ცხრილის შევსებას. მასთან საჭიროდ იქნა ცნობილი ხსენებულ მუშაობაში ჩაბმული იქნეს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის, ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს და ფინანსთა სახალხო კომისარიატის თანამშრომელნი.

საურთიერთო ნდობის საზოგადოება ქ. ზუგდიდში.

პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად და საჭიროდ სცნო ქ. ზუგდიდში საურთიერთო ნდობის საზოგადოების დაარსება.

კარაქისა და ყველის ქარხნები.

კარაქისა და ყველის დამამზადებელ ქარხნის კოოპერატიულ საფუძველზე მოწყობისათვის საჭირო ხარჯთაღრიცხვა გადაეცა წინასწარ განსახილველად სამრეწველო - საამშენებლო სექციას.

საძოვრების მომწესრიგებელ ცენტრის შექმნა.

პრეზიდიუმმა განიხილა და მიიღო აზერბეიჯანის ცენტრ. აღმ. კომიტეტის მიერ წარმოდგენილი გეგმა ამიერ-კავკასიის საძოვართა მეურნეობის მთლიანი საერთო ფედერატიულ მომწესრიგებელ და ხელმძღვანელ ცენტრის შექმნის შესახებ.

რაც შეეხება საზოგადო საძოვრებით სარგებლობის საკითხს, პრეზიდიუმმა სასურველად სცნო, რომ საქართველოს მიწსახკომმა ყოველწლიურად გამართოს თათბირი აზერბეიჯანის და სომხეთის წარმომადგენლებთან ამ დარგში სათანადო შეთანხმების მისაღწევად.

მალარია სვანეთში

წარსულ წელში ჯანმრთელობის კომისარიატმა გაგზავნა ექსპედიციები საქართველოს სხვადასხვა ადგილებში მალარიის გამოსაკვლევად.

ერთ-ერთი ექსპედიცია წითელი ჯვრის საექიმო-სანიტარო განყოფილების გამგის ექიმ ოქროპირიძის მეთაურობით გაგზავნილი იყო სვანეთში. დაბრუნებისას ექსპედიციამ თან ჩამოიტანა მასალები, რომელთა დამუშავების შემდეგ წითელი ჯვრის ლაბორატორიაში გამოირკვა, რომ ქვემო-სვანეთში მალარიის კოღო „ანოფელეს"-ი მოიპოვება ყველა ადგილებში. გარდა ამ კოღოსა, აღმოჩენილ იქნა ცამეტამდე შემთხვევა ადგილობრივი მალარიისა, რომლითაც დაავადებული აღმოჩნდენ უმეტესად ბავშვები ერთიდან ათი წლის ჰასაკამდე. ეს სენი ქვემო-სვანეთს არ გასცილებია.

გარდა ამისა, ქვემო-სვანეთის ლენტეხის საზოგადოებაში აღმოჩენილ იქნა რამდენიმე შემთხვევა მალტის ცხელებისა.

რაც შეეხება ზემო-სვანეთს, აქ მალარიის კოღო „ანოფელეს"-ი ექსპედიციის მიერ აღმოჩენილ იქნა 1.600 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან; ამაზე ზევით კოღო ვერ ნახეს.

ტელეფონი სოფლად

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატი შეუდგა სატელეფონო ქსელის გაფართოებას სოფლად. ვინაიდან ტელეფონის და ტელეგრაფის ქსელის გაბმა ყველგან პირველ ხანებში შეუძლებელია, ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატი იღებს მთელ რიგ ზომებს იმისათვის, რომ ტელეგრაფით ისარგებლონ ისეთმა სოფლებმაც, სადაც არ არის არც ფოსტა, არც ტელეგრაფი და არც ტელეფონი.

ამ მიზნით გამოყოფილია წერილის დამტარებლები, რომლებიც სოფელში გლეხებისაგან იღებენ დეპეშას და მიაქვთ ის უახლოეს პუნქტში, სადაც არის ტელეფონი; აქედან დეპეშა ტელეფონით გადაცემული იქნება შემდეგ პუნქტში სადაც არის ტელეგრაფი, აქედან კი უკვე ტელეგრაფის მავთულით გაიგზავნება დანიშნულებისამებრ.

ასეთივე წესით ხდება დეპეშის გადაცემა ქალაქიდან იმ სოფელში, სადაც არ არის ტელეგრაფი; ამ შემთხვევაში დეპეშა მიდის ტელეგრაფის უკანასკნელ პუნქტამდე; აქედან ტელეფონით გამოუძახებენ იმ სოფლის წერილების დამტარებელს, სადაც დეპეშა იგზავნება, ეს უკანასკნელი კი მას მიიტანს დანიშნულებისამებრ.

აღნიშნული მუშაობის გარდა ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატი ამჟამად აწარმოებს მუშაობას ავტომატიურ ტელეფონების დასადგმელად ამიერ-კავკასიის დიდ ქალაქებში. ავტომატიური ტელეფონები მოწყობილი იქნება ამ.-კავკასიის იმ ქალაქებში, სადაც აბონენტთა რიცხვი ათასზე ნაკლები არ არის.

ავტომატიური ტელეფონების დადგმა დამთავრდება ორი წლის განმავლობაში.

აღწერა

1926—27 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გლეხებზე შესაფერისად და თანაბრად განაწილების მიზნით, ფინსახკომმა მისწერა ყველა სამაზრო აღმასკომებს შეუდგენ სოფლებში დასაბეგრ ობიექტების აღწერას.

აღმასკომებმა ამ მიზნით უკვე გამოჰყვეს საგადასახადო კომისიები და ზოგიერთ ადგილებში აღრიცხვის ჩატარებასაც შეუდგენ. აღრიცხვა მიმდინარეობს ამჟამად ზუგდიდის, შორაპნის, ახალციხის და სხვა მაზრებში.

აღრიცხვის დაწყების წინ იწვევენ გლეხების სასოფლო კრებებს, სადაც გლეხებს უხსნიან სას.-სამეურნეო გადასახადის წარმატებით ჩატარების მნიშვნელობას, დაბეგვრის ჩატარების მიზნებს და სხვ.

იშვიათი მცენარეები

თბილისის გარეთ, ორთაჭალაში, გამასწორებელი სახლის ახლოს მოთავსებულია საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საცდელ-კულტურული სატყე. ის უკვე 30 წელიწადია რაც არსებობს.

სატყეო მიზნად ისახავს საქართველოში არსებულ ჯიშების გაუმჯობესებას და ახალი ჯიშების შემოღებას.

კულტურულ სატყეოსთან მოწყობილია ტყის სანერგე, სადაც ამრავლებენ იშვიათი მცენარეების თესლს; სანერგეს უჭირავს დიდი მოედანი, რომელიც დაფარულია ტყით და ხეების კულტურული ჯიშებით. სანერგე საჭირო მცენარეულობის თესლს იწერს როგორც რუსეთიდან, ისე საზღვარგარეთიდან.

საცდელ-კულტურულ სატყეოში მრავალი იშვიათი მცენარე იზრდება; მათ შორის აღსანიშნავია ელდარის ცაცხვი, რომელიც მხოლოდ შირაქის ველზე იზრდება, ისიც მხოლოდ 25 დესეტინის მანძილზე; გარდა შირაქის ველისა, ეს იშვიათი მცენარე არ იზრდება მსოფლიოს არც ერთ კუთხეში.

სანერგეში სწარმოებს მუშაობა ელდარის ცაცხვის თესლის გასამრავლებლად და ამ მცენარის გასავრცელებლად საქართველოს სხვა კუთხეებში.

სანერგეში დადგმულია გაუმჯობესებული ტიპის თესლის საშრობი მანქანა, რომელიც მოწყობილია პროფ. ქორდიანის პროექტის მიხედვით. ეს მანქანა საშუალებას იძლევა 12 ფუთ კოლოდან დამზადებული იქნეს 10—15 გირ. თესლი.

კულტურული სატყეოს მუშაობა თანდათან ფართოვდება. ახალი ტყეების მოშენების და არსებული ტყეების გაუმჯობესების საქმისათვის მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ავტო-მიმოსვლა

ამ დღეებში საქართველოს ყველა გზა-ტკეცილებზე გაიხსნება ავტომიმოსვლა, რომელსაც აწყობს ამიერ-კავკასიის საავტომობილო სავაჭრო-სამრეწველო საზოგადოება („ზაკავტომპრომტორგ").

მიმოსვლა ზოგიერთ გზებზე უკვე დაწყებულია; მაგალითად, გახსნილია საქართველოს სამხედრო გზა, მოძრაობა სწარმოებს თბილის-მანგლისის, ბორჯომ-აბასთუმანის და სხვა გზებზე. სულ წელს მოძრაობა სწარმოებს 1.042 ვერსის მანძილზე.

ავტომობილებით მიმოსვლა იწარმოებს შემდეგ ხაზებზე: თბილისი-კავკავი, თბილისი-კოჯორი-მანგლისი, თბილისი-აბულაღი, ბათომი-მწვანე კონცხი, ბათომი-ხულო, ბორჯომი-ახალციხე-აბასთუმანი, ბორჯომი-ახალქალაქი, წნორის-წყალი-ლაგოდეხი-ზაქათალი, სოხუმი-ათონი-გუდაუთი-გაგრა, სოხუმი-ოჩემჩირე, სოხუმი-ცებელდა, ახალ-სენაკი-ზუგდიდი-სოხუმი, ქუთაისი-ონი-შოვი, ქუთაისი-ბაღდადი, ქუთაისი-ხონი და სხვა.

შარშანდელთან შედარებით ავტომობილების რიცხვი საქართველოს გზა-ტკეცილებზე წელს გადიდებული იქნება. აღნიშნული გზების გარდა „ზაკავტომპრომტორგ"-ის ავტომობილები იმუშავებენ თბილისშიაც, თავისუფლების მოედანსა და ვაგზალს შორის.

„ზაკავტომპრომტორგ"-ის გარდა ზოგიერთ გზებზე ავტო-მიმოსვლას აწყობს აგრეთვე შოფერების კოოპერატიული ამხანაგობა. აღნიშნული ამხანაგობის მანქანები ივლიან თბილის-კოჯორი-მანგლისის, თბილის-კავკავის, თბილის-დუშეთის, თბილის-აბულაღის და სხვა ხაზებზე. მგზავრების გადაყვანასთან ერთად იწარმოებს ტვირთის გადატანაც.

„ზაკავტომპრომტორგ"-ს გზატკეცილებზე სამუშაოდ ყავს როგორც მსუბუქი ავტომობილები, ისე ავტობუსები; ეს უკანასკნელები იმუშავებენ, უმთავრესად გრძელ ხაზებზე.

მიმდინარე წელში ავტო-მიმოსვლა გაძლიერებული იქნება აგრეთვე სომხეთის და აზერბეიჯანის გზატკეცილებზე.

ნადირობა

ამჟამად აღმოსავლეთ საქართველოში მოიპოვება შემდეგი იშვიათი ჯიშის ნადირი: ჯიხვი, ირემი, შველი, ჯეირანი, ფოცხვერი, წავი, თურაჯი, შურთხი, როჭო და სხვ.

უკანასკნელ ხანებში ბევრი ამ გარეულ ცხოველთაგანი თითქმის სრულიად განადგურდა. ასე, მაგალითად, ყარაიაზის ტყეებში 1913 წ. ყოფილა 3.000 ირემი და 15 ათასამდე გარეული ღორი. რევოლიუციის შემდეგ უკანასკნელ წლებში აღნიშნულ ცხოველებზე ნადირობას არავინ კრძალავდა და ირმები თითქმის სრულიად მოსპეს. გადარჩა რამოდენიმე ეკზემპლიარი, რომლებიც გადაიხიზნენ ბორჯომის ხეობისაკენ.

მონადირეთა კავშირის მიერ მიღებულ საორგანიზაციო ხასიათის ზომების წყალობით, აიკრძალა კავშირის არაწევრ მონადირეთა ნადირობა, რაც ხელს შეუწყობს იშვიათი ჯიშის ნადირების მოშენებას.

მეცხენეობა

ჯიშის გაუმჯობესებისათვის.

ცხენთსაშენის განყოფილებამ ქ. ჩესმენკაში შეიძინა იშვიათი წმინდა სისხლის დაგრილებული ფაშატი ცხენი. ცხენი დაგრილებულია ბრაბილიური ჯიშის ულაყით.

დოღისთვის.

აფხაზეთიდან ჩამოიყვანეს მარულებში განთქმული წმინდა სისხლის ჯიშის ცხენი „მარსელ", რომელიც მონაწილეობას მიიღებს კვირას გამართულ დოღზე.

ცხენების გაყიდვა.

ცხენთსაშენის განყოფილება კვირას მოახდენს ცხენების საჯარო გაყიდვას. გაყიდვაზე მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას.

სასამართლო

განაჩენი ნოე სიხარულიძის მკვლელის საქმეზე

სასამართლომ სცნო, რომ ბრალდებულ ურთმელიძის მიერ მკვლელობა ჩადენილია წინასწარი განზრახვით იჭვიანობის ნიადაგზე და მიუსაჯა მას 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ მხედველობაში მიიღო ბრალდებულის სოციალური მდგომარეობა და გაუნათლებლობა, სასჯელი შეუცვალა 4 წლით თავისუფლების აღკვეთით წინასწარი პატიმრობის ჩათვლით.

დოლიძის საქმე

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში გაირჩა გიორგი დოლიძის საქმე.

დოლიძეს ბრალდებოდა საგამომძიებლო საქმის მოპარვა.

დოლიძე ჩვენების ჩამოსართმევად გამოწვეული იყო გამომძიებელ ლორთქიფანიძესთან. რადგან მას ბრალი ედებოდა მოქ. გობრონიძის მოკვლაში. ბრალდებულმა გამომძიებლის ოთახში არ ჰყოფნის დროს გაიტაცა საქმე და მიიმალა.

სასამართლოში ბრალდებულმა თავი არ სცნო დამნაშავედ და დასძინა, რომ საქმე დაკარგულია ან თვით გამომძიებლის მიერ, ან და მოპარულია დაზარალებულის ნათესავების მიერ.

მოწმეების დაკითხვიდან დადასტურდა დოლიძის მიერ საქმის მოპარვის ფაქტი.

სასამართლომ ბრალდებული დოლიძე სცნო დამნაშავედ და მიუსაჯა მას ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ შესაძლებლად სცნო მისი გამოსწორება და სასჯელი შეუცვალა პირობით.

საზიზღარი მკვლელობა

20 ივნისს, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლო ლენინის უბანში (ნაძალადევი) აწყობს რკ. გზ. მთავარ სახელოსნოების მომუშავე პავლე მაკაროვის საზოგადოებრივ-საჩვენებელ გასამართლებას.

მაკაროვს ბრალდება თავისი ცოლის მოკვლა.

საქმის შინაარსი ასეთია: რამოდენიმე თვე ცოლ-ქმარი კარგად ცხოვრობდენ. შემდეგ მაკაროვმა დაიწყო უმიზეზოთ იჭვიანობა და სხვა.

მაკაროვს შეუყვარდა სონა ქავთარაშვილი. აღუთქვა ცოლათ შერთვა, მაგრამ ქალმა უარი უთხრა, ვინაიდან ის გათხოვილი იყო. ბრალდებულის ცოლმა [illegible] აიღო ქავთარაშვილის ქალზე და ერთ დღეს, ქუჩაში შეხვედრისას უშვერი სიტყვებით მიმართა მას. ეს ამბავი ქავთარაშვილის ქალმა უამბო ბრალდებულ მაკაროვს. მაკაროვმა სიმთვრალის დროს თოფით მოჰკლა თავისი ცოლი.

მეცნიერება და ტეხნიკა

18 ვერსის სიღრმე ჭა

არაფერი არ არის გამოულევი. გამოილევა, რასაკვირველია, ახლა არსებული საწვავი მასალის წყაროებიც. მართალია, სანამ ეს მოხდებოდეს მრავალი ასეული წლები გაივლის, მაგრამ მეცნიერება უკვე ახლა აწარმოებს ცდებს ენერგიის უფრო სიმძლე წყაროების აღმოსაჩენათ. ერთი ასეთი წყაროთაგანია დედამიწის შინაგანი სითბო.

იტალიაში, ჩრდილოეთ ტოსკანაში, გამოყენებულია მიწიდან ამომავალი ცხელი წყაროების ენერგია, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს 10.000 ცხ. ძალიანი მანქანა. ამ ენერგიის საშუალებით ელექტროფიკაცია-ქმნილია უზარმაზარი რაიონი და, სხვათა შორის, ქალაქის ტრამვაი ფლორენციაში.

ინგლისელმა გამომგონებელმა ჩ. პარსონსმა შეიმუშავა მიწის შინაგანი თბილების გამოყენების გრანდიოზული პროექტი. პარსონსის გეგმით გათხრილი უნდა იქნეს 18 ვერსის სიღრმის ჭა. ამ სიღრმეზე არსებული ტემპერატურა აადუღებს წყალს სპეციალურ რეზერვუარში, რომელიც ჭაშია ჩადგმული. წყალი რეზერვუარში ჩავა ზევიდან ერთი მილით, მეორე მილით კი ზევით ავა ორთქლი, რომელიც მოძრაობაში მოიყვანს ჭის თავზე დადგმულ მამოძრავებელს. ამ პროექტის განხორციელებას, რასაკვირველია, მრავალი დაბრკოლებები გადაეღობა წინ.

საკმაოა აღინიშნოს, რომ ასეთი სიღრმის ჭის ამოსათხრელად საჭირო იქნება განუწყვეტლივ მუშაობა 50 წლის განმავლობაში. შემდეგ, უკვე რამოდენიმე ვერსის სიღრმეზე, ტემპერატურა იმდენათ მაღალი იქნება, რომ შეუძლებელი გახდება იქ რაიმე მუშაობის წარმოება. მიუხედავათ ამისა, არა მარტო პროექტის ავტორი, არამედ მრავალი ინჟინერები, განსაკუთრებით ამერიკელები, შესაძლებლად თვლიან პროექტის განხორციელებას. დიდ სიღრმეზე მუშაობის გასაადვილებლად განზრახულია ცხელი ჰაერის ამოქაჩვა, სპეციალური ჰაერის გასაცივებელი მანქანების დადგმა და სხვ.

უხილავი გემები

ინგლისში ახდენენ ცდებს ე. წ. „უხილავ გემებზე". სამხედრო გემების წინა და უკანა ნაწილზე განსაკუთრებული კუთხით დგამენ შუშის კედლებს, რომელთა წყალობით უკვე ორასი მეტრის მანძილზე გემის დანახვა შეუძლებელია.

ხელოვნური წვიმა

ცნობილმა გერმანელმა მეტეოროლოგმა პროფ. კურტ [illegible] მოახდინა ცდები ხელოვნური წვიმის მისაღებათ გათხელებული ჰაერის საშუალებით. ამ თხელ ჰაერს აეროპლანიდან ღვრიდენ ღრუბლებში. ერთი სპეციალური გაფრენის დროს [illegible] გადმოღვრილ იქნა 25 [illegible] გათხელებული ჰაერი. ჩქარა წარმოიშვა [illegible] ღრუბელი, [illegible] ჩქარა გაითქვიფა.

გერმანელ მეცნიერის აზრით, გათხელებული ჰაერის [illegible] ღრუბლებში გამოიწვევს მხოლოდ ჰაერის [illegible] წარმოშობას.

გეოფონი

წყალსადენის ხაზის შეკეთება დღემდი დიდ სიძნელეს წარმოადგენს. თუ სადმე წყალსადენის მილი გასკდა, დაზიანების ადგილის აღმოსაჩენად საჭირო ხდება ქუჩის გათხრა ათეულ საჟენის სიგრძეზე. განსაკუთრებით დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს ის გარემოება დიდ ქალაქებში, სადაც წყალსადენის ხაზების ხშირი შეკეთების გამო მთავარ ქუჩებში მოძრაობა დიდი ხნით წყდება. ახლა ამერიკაში გამოგონებულია სპეციალური მოწყობილობა „გეოფონის" სახელწოდებით, მიწის აუთხრელად, შეიძლება გაიგება, თუ სად არის დაზიანებული წყალსადენის მილი. მოწყობილობა შესდგება ორ მგრძნობიარე ფირფიტისა და განსაკუთრებული კონსტრუქციის სასმენი მილისაგან. აპარატის მგრძნობიარობა იმდენათ დიდია, რომ მიწის ქვეშ გაყვანილ მილების დაზიანების აღმოჩენა შეიძლება ასეულ ფუტის მანძილზე გაფუჭების ადგილიდან. მთელი მოწყობილობა ადვილად ეტევა ტყავის პარკში და იწონის სულ 7½ გირვანქას. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ პრინციპზე აგებული აპარატების პირველი დანიშნულება როდი იყო ასეთი მშვიდობიანი: ომის დროს „გეოფონებით" სარგებლობდენ მტრის სანაღმო მუშაობის აღმოსაჩენად.

ევერესტის მწვერვალზე აეროპლანით

დღემდი ადამიანის ფეხი არ ყოფილა ევერესტის მწვერვალზე, რომელიც მდებარეობს 8.940 მეტრის სიმაღლეზე და მეტი ნაწილი წლის განმავლობაში ღრუბლებით არის დაფარული. ცნობილ ფრანგ მფრინავ კალიზოს, რომელმაც წარსულ წელში მოიგო პირველობა მაღლა ფრენაში (კალიზომ თავისი აპარატით მიაღწია 12.065 მეტრის სიმაღლეს), განზრახული აქვს ივლისში გაფრინდეს ევერესტის მწვერვალზე. კალიზოს არა აქვს მწვერვალზე დაშვების განზრახვა. ის გადაიღებს რამოდენიმე ფოტოგრაფიულ სურათს და გადმოაგდებს იქ ფრანგულ დროშას.

ნარევი

გასართობი სტატისტიკა

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ადამიანის საშუალო წონა 60 კილოგრამს (კილოგრამი=2½ გირ.) უდრის, მაშინ დედამიწის მთელი მოსახლეობის (1.500.000.000 მცხოვრები) წონა იქნება 90 მილიარდი კილოგრამი. კაცობრიობის საერთო წონა შეადგენს დედამიწის 1/66.000.000.000 ნაწილს. რომ დედამიწის მთელი მოსახლეობა ჩავამწკრივოთ კვადრატულ მოედანზე, მივიღებთ კვადრატს, რომლის ერთი გვერდის სიგრძე იქნება 13¼ კილომეტრი. ამ მოედანის შემოვლას ავტომობილით მოუნდება ერთი საათი.

— ათი ვაგონისაგან შემდგარი და საათში 70 კილომეტრის სისწრაფით მომავალი მატარებელი რომ უცებ შეაჩერონ, განთავისუფლდებოდა იმდენი ენერგია, რომელიც საკმაო იქნებოდა 500.000 კაცის ასაყვანათ 20 მეტრის სიმაღლეზე ან ერთი კაცის ასაყვანად 140 კილომეტრის სიმაღლეზე. რომ დედამიწამ შესწყვიტოს მოძრაობა მზის გარშემო, განთავისუფლებული ენერგია საკმაო იქნებოდა 938 ისეთი სიდიდის გაყინული ბურთის გასადნობათ, როგორიც დედამიწაა.

95.000 მკვლელობა წელიწადში

ბოროტმოქმედებათა სტატისტიკა ჩრდილოეთ ამერიკის დიდ ქალაქებში ამტკიცებს, რომ ატლანტიის ოკეანეს იქითა მხარეს მდებარე რესპუბლიკაში, რომელსაც ბევრი სამოთხეთ თვლის, ბოროტმოქმედებათა გავრცელება საშიშ ხასიათს იღებს. ღამით მოულოდნელი თავდასხმების დროს ნიუ-იორკის პოლიცია ყოველ კვირეში ათასობით აპატიმრებს მკვლელებს, თავდამსხმელებს, ქურდებსა და მეძავ ქალებს. [illegible] ერთი კვირის განმავლობაში ჩიკაგოში 41 მკვლელობას ჰქონდა ადგილი.

ოქროს ტანსაცმელები

საფრანგეთის ვაჭრობის მინისტრი და მთელი რიგი მოპატიჟებული პირები—ფრანგები და უცხოელები მიწვეული იქნენ ნადიმზე, რომელიც მოაწყო მოდების სახლების მოვაჭრეთა სინდიკატმა პარიზში. ნადიმის შემდეგ მოპატიჟებულთ უჩვენეს ახალი მოდის მიხედვით შეკერილი საშემოდგომო ტანსაცმელები. მოდის უკანასკნელ სიტყვას წარმოადგენს სამკაულები ოქროდან. ბრწყინვალე ლითონით, (რომელიც ასე ცოტაა საფრანგეთის ბანკის სარდაფებში) მორთული იქნება ქუდები, ფეხსაცმელები და კაბები.

ფიზიკური კულტურა

სამი შეჯიბრი

კვირას, 13 ივნისს, ლენინის სახელობის სტადიონზე, გაიმართება სამი შეჯიბრი ფეხბურთში.

დილის 10 საათზე გაიმართება მეორე კატეგორიის საუკეთესო გუნდების „პროლეტარი"-ს და „[illegible] ნაწილები"-ს საფინალო შეჯიბრი პირველობაზე.

დღის 2 საათზე გაიმართება პირველი კატეგორიის გუნდების—„დორუჯი"-ს და „ლენინაიონის" კალენდარული შეჯიბრი.

„დინამო"-ს და „პოლიტეხნიკური ინსტიტუტის" შეჯიბრი, რომელიც უნდა გამართულიყო ხუთშაბათს, გაიმართება კვირას, დღის 4 საათზე.

ფეხბურთელთა გუნდების შეჯიბრის შემდეგ იმავე მოედანზე გაიმართება ტანვარჯიშული შეჯიბრის გაგრძელება.

ტანვარჯიშული შეჯიბრი

ახლო ხანში თბილისში გაიმართება ტანვარჯიშული შეჯიბრი. ასეთი შეჯიბრი პირველია საქართველოს მასშტაბით და მეორე—საბჭოთა კავშირის მასშტაბით (პირველი ჩატარებული იყო მიმდინარე წელში ლენინგრადის სამხედრო სასწავლებლებს შორის).

შეჯიბრის პროგრამა ვარჯიშობის სიძნელის მიხედვით გაყოფილია სამ ნაწილად და გარდა იარაღებზე ვარჯიშობისა შეიცავს სპორტის ზოგიერთ სახეებსაც (რბენა, ხტომა და სხვა). შეჯიბრში მონაწილეობის მიღება შეუძლია რესპუბლიკის ყველა ფიზკულტურისნებს, რომლებიც შეასრულებენ ზოგიერთ სავალდებულო ნორმებს.

ჯერჯერობით შეჯიბრში მონაწილეობის მიღების სურვილი განაცხადეს თბილისის, ქუთაისის, ბათომის და საქართველოს სხვა ქალაქების ფიზკულტურის წრეებმა. ამას გარდა შეჯიბრში მონაწილეობას მიიღებენ აზერბეიჯანის და სომხეთის სპორტსმენები.

შეჯიბრში მონაწილეობას მიიღებს 500 მეტი კაცი. გარდა სასპორტო-აღმზრდელობითი მიზნებისა, შეჯიბრი მიზნათ ისახავს ფართო სამეცნიერო-საექიმო კონტროლის ჩატარებას შეჯიბრის მონაწილეებზე, რომ გამორკვეული იქნეს ამა თუ იმ ვარჯიშობის გავლენა მონაწილის ორგანიზმზე.

ტანვარჯიშული ციკლობის დამთავრების შემდეგ განზრახულია შეჯიბრის მოწყობა სპორტის ცალკე სახეებში (ცურვა, ფარიკაობა, მსუბუქი და მძიმე ატლეტიკა და სხვა).

იურიდიული რჩევა-[illegible]

სამსახურიდან გადაყვანის შ[illegible]

კითხვა

მე ვმსახურობდი ზემო-თავსურების 7 წლედში მასწავლებლათ. ა. წ. 13 აპრილიდან, განათლების ინსპექციის მიერ გადაყვანილ ვიქენ ძიმითის 4 წლედში. მე არ ვიყავი მსურველი ერთი ადგილიდან მეორეში გადაყვანის, გავასაჩივრე განათლების კავშირში და მოვითხოვე ჩემს ადგილზე დატოვება. თვით ადგილობრივი პედაგოგიური საბჭოც მოითხოვდა, რომ მე დავბრუნებულიყავი ჩემს ადგილზე.

ამის შემდეგ სამაზრო განათლების კავშირისაგან მივიღე ცნობა 22 აპრილის თარიღით, რომ გამოვცხადებულიყავი ახალ ადგილზე. მე შევასრულე გან. კავშირის განკარგულება და 24 აპრილს გამოვცხადდი აღნიშნულ სასწავლებელში იმ იმედით, რომ დამაბრუნებდენ ჩემსავე ადგილზე.

6 ივნისს მივიღე ცნობა სამაზრო აღმასკომისა და განათლების ინსპექციისაგან, რომ მე, ვითომდა თანახმად ჩემი განცხადებისა და ადგილზე დროზე გამოუცხადებლობის გამო განთავისუფლებული ვარ სამსახურიდან.

მე არავითარი განცხადება არ შემიტანია განათლების ინსპექციაში და თანახმად გან. კავშირის განკარგულებისა დროზეც გამოვცხადდი დანიშნულების ადგილზე.

გთხოვთ გაგვარკვიოთ, რამდენად სამართლიანია ჩემი სამსახურიდან მოხსნა და ჩემს ადგილზე ახალი მასწავლებლის დანიშვნა 6 ივნისს, როცა სწავლა სწყდება 9 ივნისს და რჩება მხოლოდ ორი დღე სწავლების და მით უმეტეს იმ დროს, როცა მთელი წლის ნამუშევარის შეფასება და მოწაფეთა დატოვება-გადაყვანის საკითხი წყდება ეხლა.

მეკუთვნის თუ არა ზაფხულის არდადაგების ჯამაგირი, [illegible] თუ არა [illegible]ცია დამაბრუნოს ადგილზე.

ვარ კავშირის წევრი და არც ერთი შენიშვნა არავისგან არ მიმიღია.

მასწ. ამბროსი ბარამიძე.

პასუხი

მუშა-მოსამსახურის გადაყვანა ერთ ადგილიდან მეორეში, შესაძლებელია დაშვებული იქნეს მხოლოდ მუშის, ან მოსამსახურის თანხმობით. თუ კი ასეთი შეთანხმება ადმინისტრაციასა და მუშა-მოსამსახურეს შორის არ მოხდა, ორივე მხარეს აქვს უფლება დაარღვიოს შრომის ხელშეკრულება (ე. ი. ადმინისტრაციას აქვს უფლება დაითხოვოს მუშა-მოსამსახურე, ამ უკანასკნელსაც აქვს სრული უფლება თავის ნებით დასტოვოს სამსახურის ადგილი) (იხ. შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 37).

ორივე შემთხვევაში ადმინისტრაციამ უნდა მისცეს გასასვლელი დახმარება, შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 89 თანახმად და გამოუყენებელ შვებულების საკომპენსაციო ჯილდო მუხ. 91-ის თანახმად.

ადმინისტრაცია არ არის ვალდებული დაგაბრუნოს ძველ სამსახურზე.

არდადაგების დროის გასამრჯელო ეძლევათ მხოლოდ სამსახურზე მყოფ მასწავლებელთ. თქვენ კი, როგორც თქვენი განცხადებიდან სჩანს უკვე მოხსნილი ხართ სამსახურ. და ასეთი არ მოგეცემათ. რაც შეეხება იმას, თუ რამდენად მიზანშეწონილია თქვენი სხვაგან გადაყვანა, ეს საკითხი სრულებით არ არის დაკავშირებული შრომის კანონმდებლობასთან და წარმოადგენს წმინდა სასკოლო (პედაგოგიურ-დიდაქტიური) საკითხს, რომლის წესიერად და ნორმალურად მოგვარება ევალება განათლების და არა შრომის დაცვის ორგანოებს.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 20

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის 1926 წლის ივნისის 9.

სოფლის მეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო სეზონის დროს ზედმეტ საათებში მუშაობის დაშვების შესახებ.

1. დაშვებული იქნას იმ სოფლურ მეურნეობაში, რომელიც ექვემდებარება შრომის საერთო კანონმდებლობას (საბ. მამულები, ფერმები, წარმოებითი სახის გლეხური ამხანაგობები და სხვა) სასოფლო-სამეურნეო სეზონის დროს დღეში ორი საათის ზედმეტი მუშაობა, პროფკავშირთა და დამქირავებელთა შორის შეთანხმებით და სამუშაო დღის გადიდებისათვის ხელფასის ანაზღაურებით.

უკეთუ პროფკავშირთა და დამქირავებელთა შორის არ მოხდა შეთანხმება ზედმეტი ნამუშევარის ანაზღაურების შესახებ, მაშინ ზედმეტ საათების ჯილდო საერთო წესით იცემა.

2. სასოფლო-სამეურნეო სეზონის გამო სამუშაო დღის გადიდება დაიშვება აპრილის 1-დან ოქტომბრის პირველამდე.

შრომის სახალხო კომისარი **ა. მიქაძე.**
შრ. დაცვ. განყ. გამგე **ბოგინაშვილი.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ორშაბათს, 14 ივნისს, საღამოს 5 საათზე, ს. კ. პ. (ბ) ც. კ. შენობაში შესდგება საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა.

დასწრება ქვემოდ აღნიშნულ ამხანაგების სავალდებულოა.

1. ქართველიშვილი ლავრენტი, 2. ლოლობერიძე (ს. კ. პ. (ც. კ.), 3. მაშკევიჩი (ს. კ. პ. (ც. კ.), 4. ინსტრუქტორები: კეკელია, მირიმანოვი, ხაცკევიჩი ტყაბლაძე, გაბუნია, მგალობლიშვილი ჯაფარიძე-ს. 5. ხუნდაძე, 6. ინფორმატორები 7. ლიცინოვი, 8 ჯაფარიძე (ც. კ. ქალთა განყოფილება), 9. ინსტრუქტორები ქალთა განყ. (ს. კ. პ. (ბ) 1. ჩერქეზიშვილი და ჯალალანია, 10. მუშიშვილი (ს. კ. პ. (ბ) ც. კ.) 11. სვანიძე (ს. კ. პ. (ბ) (ც. კ.), 12. გორდელაძე (ს. კ. პ. (ბ) ც. კ.), 13. მურავიოვი (ს. კ. პ. (ბ) ჯ საკ.). 14. მელნიკოვი, 15. ინსტრუქტორები: ხუხუა, ცაბაძე, შოგირაძე, ჩალაიანი, 16. გოგლიძე (ა.-კ. საგ. კომ. სანაპ. რაზმი), 17. ჯავახიძე (ს. ა. ლ. კ. კ. (ც. კ.), 18. მარკაროვი (ქართული დივიზია), 19. ბოგდანოვი (კ. წ. დრ. პოლიტ. სამართვ.), 20. აფციაური (შინ. სახ. კომისარიატი), 21. ფანცხავა (ს. პ. კ. ს.), მოწვეული არის ამხ. ტაბიძე (კ. კ. ცეკადან).

დღის წესრიგი:

1. ცეკას საორგ. განყ. სამუშაო გეგმის განხილვა. 2. მშენებელთა კავშირის ფრაქციის მოხსენება.

ცეკას ორგგანყოფილება.

საქ. რემედასის ცეკა იტყობინება ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგების საყურადღებოდ, რომ შაბათს, 12 ივნისს, საღამოს 6 საათზე კომინტერნის ქ. № 5, მეორე სართული, შესდგება საქ. რემედასის ცეკას პრეზიდიუმის მორიგი სხდომა. დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის:

1. ჩოდრიშვილი, ჯიჯაძე. მუშიშვილი, რუსაძე, ბელიაევი, ათაბეგოვი, ჯაიანი, გენიალიძე, გუდავაძე, ნაცვლიშვილი, მუმლაძე, არაზაშვილი, პელიძე, კიზირია, ნუცუბიძე, ალიხანოვი, ხახანოვი, შარაშიძე.

რემედასის მეორე რაიკომი იუწყება, რომ დღეს, შაბათს 12 ივნისს, საღამოს 5 საათზე რაიკომის ბინაზე მოწვეული იქნება რემედასის რაიკომის სხდომა.

სავალდებულოა ქვემოდ დასახელებული ამხანაგების დასწრება დაუგვიანებლად:

პერცოვი, გენიალიძე, მაკარჩუკი, მთერალაშვილი, შჩეკინი, შახვერდოვი, ტარაზოვი, სტრუჩალინი.

ქალაქის რაიკომის მუშა-გლეხ ქალთა განყოფილება იტყობინება, რომ კვირას 13 ივნისს ქალთა ორგანიზატორებთან ერთად იწყობა ქალაქის რაიონის დელეგატ ქალების ექსკურსია ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

მსურველი დელეგატი ქალები და ქალთა ორგანიზატორები უნდა გამოცხადდენ აღნიშნულ დღეს ქალაქის რაიკომში, დილის 10 საათზე.

გულმოკლული მშობლები: მამა დავით ქაიხოსროს ძე, დედა იუსტინა მაქსიმეს ასული, ძმები - უჩა და ანდრიუშა, დები - ქეთო, ანა, მარუსა, სონა, ვერა და თამარი, სიძე ლადო ტარიელის-ძე ამაშუკელი, უსაზღვრო მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ, ნათესავებს და მეგობრებს, რომ კვირას, ივნისის 13, სოფ. სავანეში (შორაპნის მაზრა) ადგილობრივ ეკლესიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება წლისთავი უდროოთ დაკარგულ, სახელმწიფო უნივერს. აგრონომიული ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდ.

შოთა (ილიოდორ) დავითის ძე ქავთარაძის

მოსაგონებლად. 2790

განუსაზღვრელი მწუხარებაში მყოფნი ცოლი ანა, შვილები არჩილ, ლევანი, გიორგი, სიმონი და ნინო, სიძე გუგუ პატარიძე და მარიამ ყიფიანი, აგრეთვე მახლობელი ნათესავები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ვასილ სიმონის ძე ყიფიანი

რომლის დაკრძალვა მოხდება კვირას, 13 ივნისს, 2 საათზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან, ვარდისუბნის ქ. № 27. 2791

საზაფხულო კინო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)
საზაფხულო
აპოლო
(არტოს ბაღში, პლეხ. № 105).
სოლეი
ნ. 1375 0—10

პრემიერა
ქალი მთის მწვერვალებიდან
ბარბალე ლა-მარის მონაწილეობით.
ანონსი: ამ დღეებში „ქალი ცეცხლში" ასტა ნილსენის მონაწილეობით.
შეუდარებელი მერი პიქფორდი სურათში
„შუქი სიბნელეში"
(კინოს ბილეთებით შეიძლება ბაღში შესვლა)
კინოს შენობა დახურულია; სეანსები ყოველ საღამოს.
მხატვრული დრამა 7 ნაწილად
„მიხაელ"
ანონსი: მალე „მეცხრე ზვირთი"

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის
სახელმწიფო ცხენთსაშენი
აცხადებს, რომ 13 ივნისს, დილის 11 საათზე თბილისის მთავარ საჯინიბოში, (ელისაბედის ქ. № 198), დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა 1 მუშა ცხენის გასასყიდათ. ნ. 1417

თბილისის აღმასკომის ადმინისტრატიული განყოფილება
ამით აცხადებს, რომ
კვირას 13 ივნისს დ. ლის 11 საათზე,
ადმგანყოფილების ეზოში ლადო დუმბაძის ქ. № 7 დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
სადაც გაიყიდება მრავალი სხვადასხვა ნაირი ნივთები და ქონება, როგორიც არის: ხალიჩები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საათები, საცვლები, პუდრი, დუხი, ადეკალონი, შპილკები, ჩულქები, ხეწარი, ხელსახოცი და სხვა.
ადმგანყოფილების უფროსი ხმალაძე.
2—1 სატინმატნაწილის უფროსი გვიაძე.

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 50—3

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული სნეულ. და სიფილისი
დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6—8 ნახ. საათამდე.
პლეხანოვის პრ. № 7 (შესავალი ამავე სახლის კუთხიდან).
25—7

თბილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოება
ამით აცხადებს, რომ კვირას, 13 ივნისს, დილის 11 საათზე, საზოგადოების ბინაზე, კომინტერნის ქ. № 6 (ყოფ. სასახლისა) დანიშნულია
საზოგადოების წევრთა არაჩვეულებრივი
კრება,
რომელიც, როგორც მეორედ მოწვეული ჩაითვლება კანონიერად, რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს.
მთავრობის სათანადო ნებართვით კრების საგანს შეადგენს:
1. გამგეობის ინფორმაციული მოხსენება საზოგადოების ექვსი თვის მოქმედების შესახებ.
2. არჩევა გამგეობის ორი წევრისა, ნაცვლად ვადამდე გასულებისა.
3. დამატებითი არჩევნები საბჭოს წევრთა.
4. მიმდინარე საკითხები.
ნ. 1419. გამგეობა.

კვირას, 13 ივნისს, 7 ნახ. საათზე
ლიუტერანების ეკლესიაში (პლეხანოვისა და კირკის ქუჩების კუთხე)
შესდგება სალამო მგალობელთა გუნდით
საეკლესიო კილოებით: ქართულ, რუსულ გერმანულ და სხვა ენებზე.
ივ. გრ. ელცოვის ლოტბარობით
ბილეთების მიღება შეიძლება, ქოლუბანისა და ლიუტერანების ეკლესიებში. ნ. 1416 2—1

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ნესტორ იზორია
ამით აცხადებს, რომ 16 ივნისს, 1926 წ. დღის 12 საათზე სახლში № 9, არღუთინის ქუჩაზე, საჯარო ვაჭრობით გაყიდის რუბენ კაცობაშვილის მოძრავ ქონებას: ბინის მოწყობილობას, შეფასებულს 100 მანეთად, თბილისის აღმასკომის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის მე-3 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 27 თებერვალს 1926 წ. თარიღით, № 1259 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 2789

ქ. ქუთაისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ვლად. კანდელაკი
ამით აცხადებს, რომ 23 ივნისს, 1926 წელსა, დილის 11 საათზე ქ. ქუთაისში, ზდანოვიჩის ქუჩაზე № 249 დანიშნულია საჯარო ვაჭრობა: გაიყიდება შალიკო ნესტორის ძე ბაზაძის უფლება $^{1}/_{6}$ ნაწილზე ქვიტკირის სახლისა, რომელიც შეიცავს ხუთ საცხოვრებელ ოთახს, აივანს, შუშაბანდს, სამზარეულოს და ხის ფარდულს, დახურული კრამიტით, დანარჩენი $^{5}/_{6}$ ნაწილი ეკუთვნის აკაკი, ლიუბა, თეო, მარუსია და ნინა აბაზაძეებს. აღნიშნული ქონება იყიდება სანდრო ტერ-მარკოზოვის, პავლე გოგებაშვილის და სხვ. ვალის დასაკმაყოფილებლად ყველა იმ პირმა, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში, უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 და 312 მუხლ. სამ. საპ. კოდექ. და 10 პროც. საწინდარი. ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან. ცნობების მიღება შეიძლება სასამართლოში. ნ. 1448

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ნესტორ იზორია
ამით აცხადებს, რომ 16 ივნისს 1926 წ. დღის 1 საათზე სახლში № 10 კომუნალური ქუჩაზე, საჯარო ვაჭრობით გაყიდის იბრაგიმ ალიევის მოძრავ ქონებას: სამი ხალიჩას, ერთი საწერი მაგიდას და სხვ. შეფასებულს 133 მანეთად, თბილისის აღმასკომის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-3 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 7 დეკემბრის 1925 წ. თარიღით № 7214 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 2788

მედიცინის დოქ. ა. ა. მონსე
დაბრუნდა და განაახლა მიღება.
მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი. იღებს დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. კამოს ქ. № 17, ზემო სართული ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად). 25—0

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.
შეშხაპუნება „914". ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—8 საათ., საღამოს 5-დან—9 საათამდე. ქალები 12—2 საათ. დღის.
მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ვორონცოვის ყოფილი ხიდის მახლობლად.

ექ. ი. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 12—2 საათ. დღე და 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთ. პროსპ. № 18, შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან.

ექიმი გ. მ. ფხალაძე
კანის და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606"—„914")
ავადმყოფების მიღება: კაცების— დილით 8—9 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ქალების საღამოთი 5—6 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ., № 4 ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემელის აფთიაქის პირდაპირ). 25—18

ექიმი
დ. ა. გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს, დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს. ძნელაძის ქ. (ყოფ. საპიორის № 32. 25—

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი
მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9-ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.
სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—2

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე.
საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—18

ექიმი ი. დ. თოფურიძე
კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 33. ღებულობს ავადმყოფებს კანის, სიფილისის და ვენერიულ (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები. დილით 6 ნახ.—7 ნახ. საათამდის საღამოთი 4—8 საათამდის.

ექიმი ი. ი. გერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8.

დაბრუნდა
ექიმი ზანდუკელი
შინაგან და ნერვიულ ავადმყ. ელექტრონის კაბინეტი
მიღება საღამოს 7—8 საათ. (ლენინის და ოლღას ქ. № 49) ტელ. 4—82. 25—1 ქვ. 2356

ექიმი
ნ. გ. ახვერდოვი.
ქალთა ავადმყოფობა და მეანობა (ელექტრონით და სინათლით მკურნალობა)
ავადმყოფების მიღება დილით 9—11 საათ., საღამოს 4—7 საათამდე, ელბაქიძის დაღმართი, № 5.

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბონ-მონდი").
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტ. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე 5—17

თვალის ექიმი
მაევსკი
პლეხანოვის პროსპექტი, (ყოფილი მიხეილის პრ.) № 53 (მთავარი ფოსტის პირდაპირ). მიღება დილის 9-დან 11 საათამდე (დღის 1-დან 3-დე, საღამოს 7-დან 8-მდე. 35—1

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3. 2215 3—1

ექიმი ა. დ. კიკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
მიღება დილის 8—11, საღ. 6—8. პლეხანოვის პროსპექტი, № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ.
537 25—12

ექიმი ნ. ტურიაშვილი
ქალის სნეულებანი და მეანობა
მიღება 2—5 ს. საბჭოს ქუჩა (ყოფილი ჩერქეზოვის) № 22. 25—1

დავკარგე საინვალიდო წიგნაკი ტალონით, № 124, გაცემული სტამბა „ზარია ვოსტოკა" კანტორიდან და ბავშვის დაბადების მოწმობა ქრისტეფორე ალექსის ძე ყანდარელის სახელზე, ჩ. გ. 2792

დავკარგე პირადი წიგნაკი, ფორმა № 4, № 1174, ისიდორე ზურაბის ძე სულავგანიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1443

დავკარგე სამხედრო - საღრიცხვო ბარათი № 551, მიღებული თბილისის მე-10-ე კომისარიატიდან 1924 წ. დიმიტრი კოსტავას ძე გოგოლიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1—1 ე.

[illegible] კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, [illegible]